სპარტაკ ჩეხვიაშვილი

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობის ისტორიიდან

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1977

902.7(Cu1)
902.7(47.922×47.9)
რ522

ნაშრომში მკითხველი გაეცნობა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ამსახველ კერძოკეთეობის ხალხურ ჩვეულებებსა და მასთან დაკავშირებულ ადათ-წესებს, მთიელთა დამაკავშირებელ საუღელტეხილო გზებსა და ბილიკებს, აგრეთვე ეკონომიური და კულტურული ერთიერთობის, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლისა და რევოლუციური თანამეგობრობის საკითხებს.

6367

Р $\frac{10602-153}{М\ 601\ (08)-77}$ 391—77

შესავალი

რაჭა თავისი ისტორიული წარსულითა და ყოფაცხოვრებით ფრიად საინტერესო კუთხეა. ისევე როგორც კავკასიონის მთავარ ქედზე შეფენილი სხვა მთიანი მხარეები, რაჭაც, გარკვეულ ფარგლებში, საკუთარი მეურნეობრივი ცხოვრებით ხასიათდებოდა. მაღალი და მოსერხებული მდებარეობა მას საიმედოდ იცავდა იმ მძვინვარე ისტორიული ქარტეხილებისაგან, რომლებიც საქართველოს ბარის რაიონებს რისხვად ატყდებოდა და ზოგჯერ სრულ მოსპობამდე მიიყვანდა. რაჭის, განსაკუთრებით მთის რაჭის ფარგლებში მტერი ვერ იჭრებოდა, რადგან ვასუშტის თქმით, ეს ადგილნი იყო „შეუალი გარე მტერისაგან". რაჭა უმეტესად შინაფეოდალური ბრძოლების ობიექტი ხდებოდა. ასეთმა ისტორიულმა პირობებმა, ბუნებრივია, გაკლენა მოახდინა ადგილობრივი მეურნეობის ბედზე; დღემდე შემოინახა სრულიად თავისებური ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები, უძველესი ადათ-ჩვეულებანი: მითვლით ნადირობა, კერძობა, მატერიალური კულტურის ძეგლები, ენის, ფოლკლორისა და ყოფის თავისებურებანი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან შესების ზოლში მდებარე მთის რაჭა, რომელიც თავისი ეთნოგრაფიული მრავალფეროვნებითა და სიძველეთა სიუხვით მრავალ მკვლევარს იზიდავს. რაჭის ისტორიით წარსულშიც ყოფილან დაინტერესებული. არაერთ მოგზაურს აუწერია იქაური ბუნება, ისტორია და ხალხის ზნე-ჩვეულებანი. მაგრამ უცხოელ მისიონერებსა და მოგზაურებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ მოეცათ ძველი რაჭის ნამდვილი სურათი და მისი ობიექტური ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა. მათმა უმრავლესობამ არ იცოდა ქართული ენა, ადათ-წესები, სხვისი დახმარებით შეგროვებულ-შეუმოწმებელ მასალებს თარგმნიდნენ დამახინჯებულად და ამ საშუალებით ცდილობდნენ მთიელთა ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიული წარსულის გაშუქებას; არ იცნობდნენ იმდროინდელი საქართველოსა და მისი ცალკეული სამთავროებისა თუ საერისთავოების პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებს, ამის გამო ისინი იძლეოდნენ არაზუსტ დასასიათებას. ამასთან, უცხოელ და მეფის რუსეთის წარმოგზავნილ მკვლევარ-მოგზაურებს სხვა მიზნებიც ამოძრავებდათ. ზოგ მათგანს აინტერესებდა კომერცია, სავაჭრო გზებისა და ბაზების დაზვერვა. ისინი ვაჭრული თვალთახედვით გადმოგვცემდნენ ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, ამიტომ ძნელია მათ აღწერილობაზე დაყრდნობით ქართველ და ჩრდილოკავკასიელ

მთიელთა ისტორიული წარსულის სწორი სოციალურ-პოლიტიკური სურათის დადგენა. რევოლუციამდელი ოფიციალური ისტორიოგრაფია ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიას სწავლობდა ცარიზმის პოლიტიკის შესაბამისად. ყოველნაირად ცდილობდა მთიელები წარმოეგვინა ჩამორჩენილ „ველურ ხალხად“ და აჩვენებდა ცარიზმის ე. წ. „საგანმანათლებლო“ მისიას ამ „ბნელ მხარეში“. ქვეყნის განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების, ქართველებ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა სანყრძლივი ურთიერთობის შესწავლაზე კი არავინ ფიქრობდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ რევოლუციამდელ მკვლევართა ნაშრომები, მიუხედავად ბევრი ნაკლოვანებისა, საინტერესოა იმით, რომ ისინი მცდარ კონცეფციებთან ერთად შეიცავენ ზოგიერთი საყურადღებო ფაქტის აღწერას, სტატისტიკურ ცნობებსა და ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობის ამსახველ მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მასალებსაც.

საქართველოს ისტორიის, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობის შემსწავლელი ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ისეთ საინტერესო თხზულებათა კრებულს, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ასახულია ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობის უმთავრესი მომენტები დასაბამიდან XVIII საუკუნემდე. აქვეა მოცემული ყურადსაღები ცნობები უშუალოდ კერძობის შესახებ; მრავალ ადგილას პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი სიტყვა კერძი.

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობაზე მოგვითხრიბენ თავის ისტორიულ შრომებში ჩვენი წელთაღრიცხვის XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსები, აგრეთვე XII-XIV საუკუნეების ქართულ ისტორიულ მატიანეებში ცნობილი ანონიმი ავტორები.

დროთა ვითარებაში თაობათა ცვლისა და ტერიტორიული განცალკევებულობის შედეგად მათი სიახლოვე თანდათან ნელდებოდა, ქრებოდა და მთლად დავიწყებას რომ არ მისცემოდა წარსული მოკეთეობა, ახლობლები ერთმანეთში სშირი მიმოსვლითა და ხელოვნური ნათესაობით ცდილობდნენ კავშირის განმტკიცებას, რაც შემდეგ თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამას საკუთარი ეკონომიური მდგომარეობაც უკარნახებდათ. ნათესაური გრძნობა რომ ედო საფუძვლად, ალბათ, ამიტომ არსად ისე არ ფასობდა ძმობა და ვაჟკაცური მეგობრობა, როგორც ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებში კერძობისა და ყონაღობის ჩვეულებების სახით გამოხატული. კერძმოკეთეობა თავდაპირველად ერთმორწმუნე, მონათესავე ქართველ საგვარეულოებს შორის მყარდებოდა. ასევე იყო ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც, სადაც ყონაღობა, უპირველეს ყოვლისა, ერთმორწმუნე და თვისტომ საგვარეულოებს შორის ვრცელდებოდა. შემდეგ ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიური პირობების ცვალებადობასთან ერთად ხალხური ჩვეულებების ხასიათიც და მნიშვნელობაც თანდათან შეიცვალა. კერძმოკეთეო-

ბა სხვა რწმენისა და ეროვნულ ჩრდილოკავკასიელ ხალხებშიც გავრცელდა, როგორც ურთიერთდახმარებისა და სავაჭრო-საალებმიცემო ურთიერთობის საუკეთესო საშუალება, რომელიც ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის საუკუნეების განმავლობაში არ შეწყვეტილა და დღემდე არსებობს.

ნაშრომში მიზნად დავისახე გამომეკვლინებინა და შემესწავლა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ნათესაობისა და მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის უძველესი ჩვეულებები, ურავალმხრივი ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობანი, ბატონყმობისა და თვითშპყრობელობის წინააღმდეგ ნაოი ერთობლივი ბრძოლა, კერძმოკეთეობისა და რევოლუციური თანამეგობრობის საკითხები. ამავე დროს ჩემი ამოცანა იყო განსაკუთრებული ყურადღება გამემახვილებინა იმ დაღებით წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გამომუშავდა და დიდი როლი შეასრულა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ისტორიულ მეგობრობაში. ეს თავისებურება ეამოისატება არა მარტო ურთიერთობათა ხანგრძლივობაში, არამედ მათ სიმჭიდროვეში, ამ ხალხთა ნასიცოცხლო ინტერესების მჭიდრო კავშირში, მათი ისტორიული ბედის ერთობაში. ამიტომ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უძველესი დროიდან მომდინარე მეგობრობის ხალხური ადათ-წესები, რადგან ყოველი დარგის დაუფლება მათი ისტორიის შესწავლას მოითხოვს. ამასვე მოითხოვს მეგობრობისა და კეთილშობილური ურთიერთობის ამსასველი ხალხური ჩვეულების ისეთი უძველესი ფორმა, როგორიცაა რაჭული კერძობა, რასაც ძირითადად ეს შრომა ეხება.

რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, მოსახლეობა

რაჭა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე. მას უჭირავს მდინარე რიონის სათავეები და ზემო წელი. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით რაჭა მოიცავს ონისა და ამბროლაურის რაიონებს, რომელთა საერთო ფართობი 2468,3 კვადრატული კილომეტრია.

ბუნებრივი ზღუდეებით შემოფარგლული მაღალმთიანი ადგილია რიონის ზემო წელი, დღეს მთის რაჭას რომ ეძახიან, მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 2.300 მეტრს აღემატება. ყველაზე მაღლა მდებარე სოფლებია: ღები (1550 მ), ჭიორა (1500 მ), გლოლა (1400 მ). კავკასიონის მთავარ ქედსა და შოდა-კედელას შორის მოქცეულ, რიონისა და ჭანჭახის ვიწრო ხეობებში ჩანთქმულ ამ ტერიტორიას დაახლოებით 650 კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს.

რაჭის მთავარი სიმდიდრე და მშვენება, მყინვარების სიუხვესთან ერთად, მისი მცენარეული საფარი და დიდძალი ტყის მასივებია. ტყეს უკავია რაჭის ტერიტორიის ნახევარი, ამიტომ აქაური ჰავა სურნელოვანია. მყინვარებისა და ტყეების სიმრავლე თავისებურ გავლენას ახდენს ჰავაზე. ამის გამო რაჭაში მთელი წლის განმავლობაში გრილა. საშუალოწლიური ტემპერატურა 5° -ია, ზამთარი 6-7 თვეს გრძელდება, იცის დიდი თოვლი, ყინვებსა და ქარბუქს ზამთრის თბილი დღეები სჭარბობს, ჩრდილოეთის ცივ ქარებს გზას უღობავს კავ-

კასიონის მაღალი ქედი, ქარბუქი აქ იშვიათია. ნოემბერ-დეკემბერში ჰაერის ტემპერატურა 20°-მდე ეცემა. იანვრის ტემპერატურა 12—18° უდრის, გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა—ადრე, ზაფხული გრილი და მოკლეა, ივლისის ტემპერატურა +10+14°-ია. ნალექების რაოდენობა წელიწადში 838—960-დან 1000 მმ-მდე აღწევს. იგი უმთავრესად თოვლის სახით მოდის. ჰავა იცვლება განსხვავებული მდებარეობის მიხედვით. ქვემო რაჭის ჰავა რბილია, ზაფხული — ცხელი; ზემო რაჭისა — გრილი; მთის რაჭა მკაცრი ჰავით ხასიათდება. ვახუშტის დახასიათებით რაჭა „ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხულ გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი".[1]

რაჭის მთები და მყინვარები უამრავ დიდსა და პატარა მდინარესა და ნაკადულს ასაზრდოებენ: მთავარი, უძველესი დროიდან ცნობილი მდინარე რიონი ძველ მატიანეებში ფაზისის სახელით მოხსენიებული, სათავეს ფასის მთიდან იღებს, ამბობენ, სახელწოდება ფაზისი მდინარემ მთის სახელიდან მიიღო.

რაჭის ჩრდილო საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ ქედზე. რომლის გაღმაც მდებარეობს: მალყარი, დიგორი, დვალეთი, „მინდვრის ოსეთი".

ჩრდილო-დასავლეთით რაჭას სვანეთისაგან გამოყოფს ე. წ. რაჭა-სვანეთის ქედი, რომლის უმაღლესი მწვერვალები: ჭითხარუ, ლაფიწყარი, ვაციწვერი, ლუხუმი ზღვის დონიდან 3.500 მეტრზე აზიდულან.

1809 წლის გეოგრაფიულ-სტატისტიკური აღწერილობით, სამხრეთ-აღმოსავლეთით რაჭის საზღვრად იმერეთია მიჩნეული, სამხრეთ-დასავლეთით — ლეჩხუმი, ვახუშტის სიტყვით, „რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩრდილოთ წარსრული კავკასიევ, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი; სამჯრით

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 770.

წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას...“[1]. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც რაჭისა და თაკუერის საზღვრების შესახებ წერს, არავითარი ცნობები არ მოგვეპოვებაო, იქვე დასძენს „რაჭა... ეხლაც არსებობს და დაახლოებით იგივე საზღვრები ექნებოდა, რაც მერმეც ჰქონდა“[2]. შეიძლება ითქვას, რომ მკვეთრად გამოხატულ რაჭის გეოგრაფიულ საზღვარს დღემდე ცვლილება არ განუცდია.

რაჭის თავისებურმა ბუნებამ და სოციალურმა გარემომ თავისი დაღი დააჩნია ამ მხარის ყოფასა და ხასიათს, დიდად იმოქმედა მის ისტორიულ განვითარებასა და მოსახლეობის ზრდაზე. მოსახლეობის ზრდას საგრძნობლად აფერხებდა მკაცრი ბუნება, საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობის მაშინდელი დონე და მასთან სისხლის აღების საშინელი ჩვეულებანი, საგვარეულოებს შორის გამუდმებული მტრობა და შუღლი, რასაც ერთეოდა ცხოვრების სიდუხჭირე და სამედიცინო მომსახურების უკიდურესი ჩამორჩენილობა, ეპიდემიური დაავადებანი. მიუხედავად ცხოვრების ასეთი აუტანელი პირობებისა, რაჭველები საოცარი სიდინჯითა და მოთმინებით იტანდნენ ყოველგვარ განსაცდელს, რა თქმა უნდა, კერძების დახმარებისა და თანაგრძნობის დიდი იმედით.

შინაური თუ გარეშე მტრების ძალმომრეობა, მკაცრი ბუნება, მიწის სიმცირე და სხვა მრავალი უბედურება მთიელ გლეხკაცს ოდითგანვე ძილსა და მოსვენებას უკარგავდა, აიძულებდა დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად შორს გადახვეწილიყო. XIX საუკუნის 60-იან წლებში რაჭის მოხახლეობის ნაწილი მშობლიური ადგილებიდან აიყარა და სხვაგან გადაიხვეწა. ზემორაჭველი გლეხების საცხოვრებლად ალაგირში გადასახლებამ მეტისმეტად შეაშფოთა ილია ჭავჭავაძე, რის გამოც საგანგებო წერილიც კი დაწერა „იმიგრაცია საქართვე-

[1] ვახუშტი. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 769.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 51.

ლოდან". სტატისტიკური მონაცემების გულმოდგინეე შესწავლის საფუძველზე ერის მოამაგემ დაასკვნა, რომ ამ მომაკვდინებელი ბიძგის სათავე სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობაში უნდა ვეძიოთო. ცხოვრებისეული ლოგიკის ძალით იგი ირწმუნება, რომ არავითარ სხვა ფაქტორს არ ძალუძს კაცს, გული აუყაროს მამაპაპეულ სამკვიდრებელზე, გარდა ხორცეული დამქლეევებისა და კარებთან ატუზული სიკვდილის შავი აჩრდილისაო. ავტორს მოჰყავს დამაჯერებელი სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ 1879 წლიდან რამდენი კომლი გადასახლდა რაჭიდან ჩრდილო კავკასიაში და, რა ეკონომიური ფაქტორები ახდენდნენ გავლენას ამ გადასახლებაზე. ზემო და მთის რაჭველები უმეტესად მთას იქით არჩევდნენ გადასახლებას, რადგან ნოყიერ მიწებს გარდა, იქ კერძები ეგულებოდათ და მათკენ ხალისით მიუწევდათ გული. ამრიგად, ეკონომიურ ფაქტორთან ერთად ჩრდილო კავკასიისაკენ მათი ლტოლვის ერთ-ერთ მიზეზად კერძმოკეთეობის მამაპაპური ტრადიციაც უნდა ჩაითვალოს. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო გახშირდა „მინდორში" რაჭველების გადასახლება, 1883 წელს გაზეთი „დროება" წერდა: „რაჭველებმა გასული წლიდან იწყეს გადასახლება და სამუდამოდ დაბინავება სოფელ ალაგირში, სადაც ერთობ ძვირად იძენენ შენობათა და სამოსახლო ადგილებს, სულ ამჟამად ალაგირში გადასახლებულია 70 კომლი იმერელი (რაჭველი—ს. რ) და ამის გარდა 50 ოჯახი მხოლოდ ზაფხულამდე დარჩება, მაგრამ მათაც სურთ შეიძინონ ადგილები და დარჩენ იქ".

აღნიშნულ პერიოდში უწყვეტ ნაკადად მიემართებოდა რაჭველთა ქარავანი შამისონის გზით ჩრდილო კავკასიისაკენ. ასე გაჩენილა რაჭველთა ახალმოსახლეობა ჩრდილო ოსეთს, ყაბარდოსა და სტავროპოლის მხარის სოფლებსა და ქალაქებში: ალაგირში, ზმეიკაში, დარკოხში, ვლადიკავკაზში, ნალჩიკში, პიატიგორსკში, კისლოვოდსკში.

რაჭიდან მოსახლეობის დენადობა უარყოფით გავლენას ახდენდა სოფლების განვითარების მომავალ ბედსა და სულადობის ზრდაზე.

პერიოდულად მეკომურთა რიცხვი მოსახლეობის სულა-

დობასთან შეფარდებით, განუხრელად იზრდებოდა; განსაკუთრებით რევოლუციის შემდგომ 1923-1926 წლებში. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დროთა ვითარებაში ხდებოდა ოჯახების დაწვრილერთეულება, რაც ცხოვრების ახალი პირობებით იყო გამოწვეული.

რაჭის სოფლებს განსაკუთრებული გამოცოცხლება და მოსახლეობის სიმრავლე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაეტყო, 1931-1932 წლებში სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ მასიურად მიიზიდა სამუშაოზე გასული რაჭველი მუშა-ხელოსნები, წვრილვაჭრები და საკოლმეურნეო ცხოვრების ფერხულში ჩაება ისინი. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

რაჭის მოსახლეობაში დამყარდა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება, სოფელში გაიგზავნენ ექიმები და ფერშლები, რამაც დიდი როლი შეასრულა ჯანმრთელობის დაცვისა და მოსახლეობის ზრდის საქმეში. შემცირდა ბავშვთა და მოზარდთა სიკვდილიანობა, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი მძიმე ეპიდემიური დაავადებანი. ამას გარდა, ღრმა სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდაქმნებთან ერთად, სოფლად მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცვლილებებიც მოხდა. საქართველოს ძველი სამაზრო და სასოფლო საზოგადოებების ძველი სისტემა წარსულს ჩაბარდა და მათ ადგილზე სადაბო და სასოფლო საბჭოები შეიქმნა. ამრიგად, თუ რევოლუციამდე რაჭის მოსახლეობა უმნიშვნელოდ იზრდებოდა, საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ზრდა თვალსაჩინო გახდა, რაც უფრო ნათლად წარმოგვიდგება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1942-1945 წლებში რაჭიდან მოსახლეობის მასობრივი ჩასახლება მოხდა საქართველოს ბარის სხვადასხვა რაიონებში. 1942 წელს მოსახლეობა ჩაასახლეს მთის რაჭის სოფელ ჭიორიდან ბოლნისში, 1944-45 წლებში ღებიდან, ჭიორიდან, გლოლიდან, უწერიდან, ნაკიეთიდან—ადიგენისა და ქლუხორის რაიონებში.

გარემომცველ პირობებთან ერთად რაჭაში ადგილი აქვს

შიდამიგრაციასაც; გაცილებით მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც წასული მოსახლეობა უკან ბრუნდება. რაჭველი კაცი ძნელად ეგუება სხვა პირობებს და, ამიტომ, ხშირია შემთხვევები, როდესაც სოფლიდან წასულნი კვლავ თავის მშობლიურ კერას უბრუნდებიან.

დღეს რაჭველ გლეხს აღარ სჭირდება სხვაგან წასვლა „საშოვარზე", წლობით აღარ იკარგება ოჯახიდან. აქვე, მშობლიურ კუთხეში, გამოჭედა მან თავისი ბედნიერი ცხოვრება.

ცხადია. მკაცრი ბუნება უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების პირობებზე, მაგრამ საზოგადოების განვითარების განსაზღვრელი გეოგრაფიული გარემო კი არა, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის მაშინდელი დონე იყო. პირქუში ბუნების წინაშე უძლური ქართველი მთიელი არსებობისათვის ბრძოლის საჭიროებამ აიძულა ხელი მოეკიდა ხელოსნობა-ვაჭრობისათვის და ამ მიზნით გადაელახა ძნელად სავალი უღელტეხილები და ურთიერთობა დაემყარებინა მეზობელ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან.

საუღელტეხილო გზები და გილიკები

მთის რაჭველებს, უძველესი დროიდან, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან. ეს ურთიერთობა, ერთი მხრივ, მყარდებოდა იმ საუღელტეხილო გზებით, რომელთაც ჩრდილო კავკასიაში მიეყავართ, ხოლო სამხრეთით, რამდენიმე საუღელტეხილო და ერთი მთავარი რაჭა-იმერეთის გზატკეცილით რაჭველები უკავშირდებოდნენ საქართველოს ბარს, ქვემო რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთსა და მთელ საქართველოს. ამ გზით ხორციელდებოდა რაჭის სამეურნეო ურთიერთობა საქართველოს სხვა მხარეებთან. ქართველი მთიელების სავაჭრო ურთიერთობა, ერთი მხრივ, საქართველოს ბართან, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიის მთასთან, თავისი ხასიათით იყო მთისა და ბარის ეკონომიური ურთიერთობა, რასაც განაპირობებდა განსხვავებული, ბუნებრივი და სამეურნეო პირობები, მთისა და ბარის ეკონომიური ურთიერთობის აუცილებ-

გზები მთის რაჭიდან საქართველოს ქარისაკენ



ლობა. ივ. ჯავახიშვილი ამ აუცილებლობას ასე ახასიათებს: „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი, უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეუძლიათო“[1].

რაჭველები ჩრდილო კავკასიაში ზამთარ-ზაფხულ ან ფეხით გადადიოდნენ უღელტეხილებზე, ან ტვირთი გადაჰქონდათ ცხენების, ჯორების, სახედრებისა და დაქირავებული მებარგულების საშუალებით. ასეთი მიმოსვლა უმთავრესად, დაკავშირებული იყო სავაჭრო-სააღებმიცემო და სახელოსნო საქმიანობასთან. სიახლოვის გამო მთის რაჭველისათვის დიგორში, მალყარსა და დვალეთში მგზავრობა უფრო ადვი-

[1] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 316-317.

ლი იყო, ვიდრე ქუთაისში. მთას იქით მას ერთი ან ორი დღის სავალი გზა რჩებოდა, იმ დროს, როდესაც ქუთაისში ჩასვლა-ამოსვლას ცხენ-ურმით შვიდ-რვა დღეს უნდებოდა. მართალია, კავკასიონის მთავარ ქედზე გადასასვლელ უღელტეხილებს მათი სიმაღლისა თუ მუდმივი მყინვარების გაელენით გარკვეული სიძნელეები ახასიათებდათ, რაშველებს მათი გადალახვა მაინც უხდებოდათ კერძმოკეთეობის ტრადიციის მიხედვით ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან აუცილებელი კავშირის დასამყარებლად. ხალხების დაახლოების დიდ მნიშვნელობაზე ივ. ჯავახიშვილი წერს: „მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზები იყო ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც ერთი! მხრივ საქართველოს მრავალ კუთხეს ერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე. ამიტომ ამ გზების მიმართულებისა და მდებარეობის ცოდნაა საჭირო“.[1] ამ შესწავლის საფუძველზე ბათილდება რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მცდარი აზრი მთიელთა შორის გამუდმებული მტრობისა და მათი „ქარჩაკეტილი“ ცხოვრების შესახებ, მაშინ, როცა კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე ყოველთვის ინტენსიური ისტორიული განვითარების პროცესი მიმდინარეობდა არა იზოლირებულად, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებთან კავშირში. ამრიგად, ქარწყლდება ყალბი წარმოდგენა დიდებულ კავკასიონზე—როგორც ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამთიშველ ბუნებრივ ზღუდეზე. კარგად უთქვამს მ. ყიფიანს,—კავკასიელ მთიელთა სასიცოცხლო არტერიები კავკასიონზე გადიოდა[2]. და, მართლაც, კავკასიონი იყო ის ოქროს ხიდი, რომლითაც საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილო კავკასიას, აქედან რუსეთს და მთელ ევროპას და პირიქით, მთას იქიდან მომავალი ყველა გზა საქართველოზე გადიოდა. ამ

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 68.

[2] М. Кипиани. От Казбека до Эльбруса, 1864, стр. 4.

გზებზე დაიბადა კაცთმოყვარეობისა და სიკეთის მთესველი კერძმოკეთეობის კარგი ტრადიცია.

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ცხოვრებაზე, მათ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაზე რომ ნათელი წარმოდგენა შეექმნას მკითხველს, საჭიროდ მიმაჩნია უფრო დაწვრილებით გავაცნო სამიმოსვლო გზები, რომელნიც რაჭას აკავშირებდა გარე სამყაროსთან.

ბზაკი ძველი რაჭიდან ჩრდილო კავკასიისაკენ


ალაგირი
ზეკარ მაღარი
ალაგირ(ლეგი-ალაგირ)
ალაგირ(ბურაკ-ალაგირ)
ნაღარიანი
ალაგირ
ბურაკიანი
ალაგ(ბურაკ-ალაგირ)
ალაგ
ბურაკიანი
ალაგ
ნოწარა
ზეკიანა
ალაგ
ალაგ
ალაგ

(გურძი-ვცეკი), კირტიშო (ღები-ვცეკი), ფასა (გეზე-ვცეკი) და ვაციწვერი.

მ ა მ ი ს ო ნ ი ს უ ღ ე ლ ტ ე ხ ი ლ ი ღები-ჭიორა-გლოლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. გზა მოკლე და მოხერხებული იყო იქვე მთის ძირას მცხოვრებ გლოლელებისათვის. წარსულში რაჭველები მამისონის საცალფეხო ბილიკებით ქვეითად მგზავრობდნენ, გზის შეკეთების (1854-1894) შემდეგ, როცა უკვე ეს გზა ფართო შარაგზად მოიხსენიება, რაჭის გზა კი—რაჭა-იმერეთის გზატკეცილად, მგზავრებს ცხენ-ურმით სიარული დაუწყიათ. მამისონის გზა დიდ როლს ასრულებდა რაჭის ეკონომიურ ცხოვრებაში, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობა მარცვლეულის ნაკლებობას განიცდიდა და იგი ჩრდილო ოსეთიდან ძირითადად ამ გზით შემოჰქონდათ. მამისონის უღელტეხილით უკავშირდებოდნენ დვალეთს, „მინდორს“ (ჩრდილო ოსეთის ბარს), ყაბარდოს, მალყარს, ყარაჩაის და აქედან სხვა მეზობელ მხარეებს. დვალეთი რომ საქართველოსთან მრავალმხრივ ყოფილა დაკავშირებული, კარგად ჩანს ვახუშტის აღწერილობიდან: „და ჟღელესა და გლოლას შორისს კავკასზედ... გარდავლენან გზანი გლოლას. ამის მდინარის სათავიდამ გარდავალს გზა კედელის კავკასსა ზედა კუდაროს, და რაჭას, და ქართლს“[1]. ამ გზით დღეს მხოლოდ ტურისტები სარგებლობენ.

კ ა რ ა გ ო მ ი ს უ ღ ე ლ ტ ე ხ ი ლ ი ღები-ჭიორა-გლოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. აღნიშნული სოფლებიდან გზა კარაგომისაკენ ტყითა და ალპური მდელოებით შემოსილი მთა-გორებით მიემართება. მგზავრები ამ გზით დიგორში ჩადიოდნენ და ურუხის ხეობას უკავშირდებოდნენ. დიგორს მგზავრობა ჭიორელი კაცისათვის კარაგომის ბილიკით უფრო მოსახერხებელი იყო უღელტეხილთან სოფლის სიახლოვის გამო, ამას გარდა, ჭიორლებს დიგორლებთან უაღრესად ახლო კერძმოკეთეობა და მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებდათ. კარაგომის უღელტეხილი ძნელად სავალია. მთას აქეთ მგზავრები ჯერ ციცაბო აღმართებს აივლიდნენ, შემდეგ მთას იქით უზარმაზარი კარაგომის მყინვარი ან, როგორც

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 645.

რაჭველები ამბობენ, სკორე უნდა გაევლოთ, სადაც ალაგ-ალაგ დახეთქილი და შემზარავად ხახადაღებული მყინვარის ნაპრალები გამოუცდელ მგზავრებს დაღუპვას უქადდნენ. მიუხედავად ამისა, კარაგომის მთით მგზავრობა ზამთარ-ზაფხულ არ წყდებოდა. ზაფხულის დიდ დღეს მთის რაჭიდან მგზავრს შეეძლო დიგორში გადასვლა და იმავე დღეს შინ დაბრუნება. მთას იქით მდებარე კარაგომის მყინვარის პირზე კლდეში უზარმაზარი ბუნებრივი ქვაბული, ე. წ. კარაგომის ქვაბი, დაღლილ-დაქანცულ მგზავრთა თავშესაფარს წარმოადგენდა. ამ გზით დიგორიდან პირველი შემხვდური აულები იყო ნავაყავი და ჯინალავი. კარაგომის უღელტეხილზე სატრანსპორტო საშუალებას ვერ იყენებდნენ, ბარგს ზურგით ეზიდებოდნენ. ამჟამად მივიწყებული კარაგომის საუღელტეხილო გზა წარსულში დიდ როლს თამაშობდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობაში.

კირტიშოს უღელტეხილი გლოლა-ჭიორა-ღების ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. კირტიშოს გზა სოფელ ღებიდან მდინარე ჩეშურის ხეობით მიემართება. სალ კლდეებს შორის გველეშაპივით გაწოლილ კირტიშოს უზარმაზარ მყინვარს რომ გაივლიდნენ მგზავრები, მთას იქით ძალზე დახრილ თოვლიან ფერდობს ჩაუყვებოდნენ და ვიწრო დაკლაკნილი ბილიკით პირველ შემხვდურ აულ კუსუს ესტუმრებოდნენ. ისე, როგორც კარაგომის მყინვარი, კირტიშოც ძნელადსავალია, სატრანსპორტო საშუალებებისათვის მეტად მოუხერხებელი, ტვირთს ზურგით ეზიდებოდნენ, გზა აქაც ერთი დღის სავალი იყო მთის რაჭველი კაცისათვის, ზაფხულში ამ გზით დიდი სიფრთხილით გადმოჰყავდათ პირუტყვი. გიულდენშტედტი, რომელსაც 1771 წელს აღნიშნული უღელტეხილით მგზავრობა განუზრახავს, წერს: „ონში მომიწონეს, რომ მე არ ავირჩიე გზა სტურდიგორიდან ღებისაკენ, რადგან ამ გზაზე ცხენები ყოველთვის ვარდებოდნენ და იღუპებოდნენ“[1]. ვახუშტის მიხედვით, დიგორიდან გზა ღებში გადადიოდა. ოღონდ ამ გზაზე ზაფხულში ცხენებით დადიოდნენ, ისიც ძნელად, სხვა

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., ტ. 1, 1962, გვ. 107.

დროს ქვეითნიც ვერ ახერხებდნენ გადასვლას. მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, მთას შეჩვეული რაჭველები კირტიშოს უღელტეხილის გადალახვას ზამთრის დღეებშიც არ ერიდებოდნენ. კერძებთან ურთიერთობა მთებზე ხშირ მიმოსვლას მოითხოვდა, ამ მხრივ დიდი იყო კირტიშოსა და კარაგომის გზების ნაშენობა. მ. ყიფიანი აღნიშნულ საუღელტეხილო გზებს ერთადერთ მთავარ საშუალებად მიიჩნევს ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობაში, იგი მათ უმოკლესსა და აუცილებელ სავაჭრო გზებს უწოდებს[1]. კირტიშოს გზამ წარსულში დიდი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. როდესაც გარეშე თუ შინაური მტრების ურჩობის შედეგად, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები ჩაიკეტებოდა, ქართველი მეფეები თუ სხვა დიდებულნი ამ გზით უკავშირდებოდნენ რუსეთსა და ჩრდილო კავკასიას. 1724 წელს კირტიშოს მთა გადაულახავს და მყინვარზე დაკვირვება უწარმოებია ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც იმ დროს ემიგრაციაში მიმავალ ვახტანგ VI ამალას ხლებია. ვახუშტი წასულა ემიგრაციაში სოფელ ცხინვალიდან რაჭაზე გავლით გურძი-ვცეკის უღელტეხილით ჩასულა დიგორში; ვახუშტის დასტურით, „...რაჭიდამ მივიდა მეფე ვახტანგ დიგორს"[2] თვით ვახტანგ მეფე თავის მოგზაურობას ასე აღწერს: წარმოვედით რაჭის გზით, დიგორს მოვედით და დიგორიდან ბაყაშვილისასა. 1771 წელს კირტიშოს გზით ღებიდან დიგორში გადასულა აგრეთვე გენერალ ტოტლებენის რაზმი, რომელიც გამოგზავნილი იყო ეკატერინე II მიერ თურქეთის წინააღმდეგ ომში ერეკლე II და სოლომონ I დასახმარებლად. 1776 წლის 20 აგვისტოს იმერეთის მეფე სოლომონ I მიერ სპარსეთში ელჩად გაგზავნილი პოეტი ბესიკიც კირტიშოს გზით გადასულა ჯერ დიგორში, შემდეგ იქიდან სპარსეთს გამგზავრებულა. საგულისხმოა, რომ ბესიკის მეგზურად ვინმე მამუკა ღებელი დაუნიშნავთ და საგანგებო დავალებაც მიუციათ—უვნებლად გადაეყვანა ბესიკი და მისი თანმხლები პირნი კირტიშოს მთაზე, შემდეგ დიგო-

---

[1] М. Киппани დასახ. ნაშრ. გვ. 5, 6, 19.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 5, 6, 19.

რელი კერძების დახმარებით შეექმნა ხელსაყრელი პირობები მათი შორეული მგზავრობისათვის.

აღნიშნული ცნობები ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობაში კერძმოკეთეობის დიდ როლზე მეტყველებენ.

ფასის უღელტეხილი. ამ მთისაკენ მისასვლელი სოფელ ღებიდან იწყება. რაჭველი თუ სხვა მხარის კაცი, ვინც მალყარში, ყარაჩაიში, ადიღეში, ყაბარდოში ან სვანეთში ამ გზით წასვლას გადაწყვეტდა, ჯერ ღებში უნდა მისულიყო, იქიდან კი გზა მიემართება ჩრდილო-დასავლეთისაკენ მდინარე რიონის სანაპიროს გაყოლებით და ჩადის გორიბოლოს, ფასის მთის ძირას, საიდანაც მდინარე რიონი იღებს სათავეს. ღებიდან გორიბოლომდე 17 კილომეტრს ითვლიან. ფასის მთამდე კი 25 კილომეტრია. ამ მანძილის გავლას ფეხით მოსიარულენი ერთ დღეს უნდებიან, იგი ზაფხულობით მეტად მოხერხებულ სამარხილე და საურმე გზად იყო მიჩნეული. ამჟამად მასზე მანქანებით მიმოდიან.

ეს გზა სიმოკლის გამო მგზავრობისათვის უფრო მოხერხებული ღებელისათვის იყო. გორიბოლოდან მალყარის პირველ აულ ქიუნიმამდე ერთი დღის სავალია. ფასის მთაზე გზა იტოტება. გზის ერთი შტო სამხრეთ-დასავლეთით სვანეთისაკენ უხვევს, მეორე — ჩრდილო-დასავლეთით ურუხის ხეობით დიგორისაკენ მიემართება. მესამე — ჩრდილოეთით. ჩერეკის ხეობაში (ზემო მალყარი) ჩადის. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობაში ფასის საუღელტეხილო გზების დიდ მნიშვნელობაზე ძველი რუსული წყაროები და შრომებიც[1] მიგვანიშნებენ: მალყარისა და ყარაჩაის მთავარი სავაჭრო გზა კავკასიონის ქედზე გადადის და სამხრეთით დაბა ონისაკენ მიემართება. ამ გზით მხოლოდ ცხენებით შეიძლება მგზავრობა. ყარაჩაიდან მომავალნი ჯერ მდინარე ყუბანის სანაპიროს გაივლიან, შემდეგ ელბრუსის აღმოსავლეთ ფერდობს გადაჭრიან და რაჭა-იმერეთისაკენ მიმავალ გზას დაადგებიან. მას ჩეგემის ხეობიდან გამომავალი ბილიკიც უერთდება და ორივე ბილიკი მალყარის მთავარ

[1] Известия о Кавказе, ч. 2, М., 1823, стр. 219.

შარაგზას შეერთვის, რომელიც ჩერეკის სათავისაკენ მიემართება. აქედან კავკასიონის მთავარ ქედს გადაკვეთს და რიონის ხეობაში ჩადის — ჯერ სოფელ ღებში, შემდეგ დაბა — ონში. ქალაქიდან, ჩეგემის ხეობიდან ონამდე ცხენით ორი დღის სავალია, ყარაჩაიდან კი აღნიშნული გზით ონამდე სამი დღე-ნახევრის სავალი იყო. ზაფხულში გეზე-ვცეკის უღელტეხილით შესაძლებელი იყო პირუტყვის გადაყვან-გადმოყვანა და სასაპალნე ტრანსპორტით ტვირთის გადატანა, რადგან აქაური ქვაბები მგზავრთა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა, მთას აქეთ — ე. წ. „ჭარიქვაბები" და მთას იქით — „ლეკები". ამ გზით რუსი ელჩები ხშირად სარგებლობდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმერეთის მეფესთან მტრულად განწყობლი არაგვის ერისთავები დარიალის გზას კეტავდნენ.

რაჭველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების სავაჭრო ურთიერთობაში ფასის საუღელტეხილო გზები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ. ამ გზით ჩრდილოკავკასიელ და რაჭველ ვაჭრებს უამრავი პირუტყვი გადმოჰყავდათ საქართველოს ბაზრებზე გასასყიდად, ამიტომ აქაურ გზებზე მუდამ ხალხმრავლობა ყოფილა.

ვაციწვერის უღელტეხილი. სოფელ ღებიდან გზა იმავე მიმართულებით მიდიოდა, როგორც ფასის მთისაკენ. ოღონდ გზის ერთი ტოტი გორიბოლოდან დასავლეთისაკენ უხვევდა და ვაციწვერის გავლით სვანეთში ჩადიოდა. წარსულში ღები პირდაპირი საურმე გზით ყოფილა დაკავშირებული სვანეთთან. ეს გზა უშგულის საზოგადოებაში შედიოდა, რომელიც მანამდე მრავალი განტოტებით უკავშირდებოდა როგორც ჩრდილო კავკასიის მთიელთა საზოგადოებებს, ისე ქვემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთს. აღნიშნული გზის დიდი მნიშვნელობა მეზობელი მთიელების სამეურნეო ყოფაში ხალხური გადმოცემებითა და რიგი ისტორიული შრომებით დასტურდება. გზის არსებობაზე მიუთითებენ აგრეთვე დადეშქელიანების წერილობითი საბუთებიც. სვანეთში ყველაზე მოხერხებული ტვიბერის გზა მიდიოდა უშგულიდან ლენტეხისაკენ მდინარე ენგურისა და ცხენისწყლის გავლით, შემოუვლიდა მთებს, გაუყვებოდა კლდიან მასივებს და აქედან გზის ერთი ტოტი რიონის ხეობით ღებისა და გლოლისა-

კენ ეიემართებოდა. მიუხედავად რთული გარემო პირობებისა. მთელ სიგრძეზე გზა ღებიდან უშგულამდე მაღალოსტატურად ყოფილა გაყვანილი. მიწა რომ არ ჩამოწოლილიყო, გზისპირა ფერდობებს ქვის კედლებით ამაგრებდნენ. წყლიან, ქვიშანარევ, ჭაობიან ადგილებში გზის სიმაგრისათვის ხის მორებს აგებდნენ. ხით ნაგები გზა პირვანდელი ფორმით მხოლოდ სოფელ გლოლაში შემორჩენილა. მსგავსი მოხერხებული გზა მალყარ-დიგორ-ბასიან-რაჭა-სვანეთის დამაკავშირებელ შტულუ-ვცეკის უღელტეხილზეც გადიოდა, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე ღები-სვანეთის საურმე გზას უერთდებოდა და მნიშვნელოვანი საგზაო კვანძი იქმნებოდა. ყაბარდოდან რაჭა-იმერეთისაკენ ურუხის ხეობით მომავალ საურმე გზას რუსი ელჩებიც იხსენიებენ.

მალყარიდან მომავალ მკვლევარ ვ. ტეპცოვს შტულუ-ვცეკის უღელტეხილზე ასვლისას სვანი მეგზურები მწვერვალ აგშტაუზე მიანიშნებენ და ეუბნებიან: მალყარლები იმ მწვერვალს „ათ-ზოლას" უწოდებენ, რაც ცხენის გზას ნიშნავსო. ალბათ იმ მწვერვალის ძირში ოდესღაც ცხენის გზა გადიოდა. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, რაჭის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში არსებობდა გზა, რომელიც შემდეგში თაკუერის გზად იწოდებოდა. იგი გარე სამყაროსთან რაჭა-ლეჩხუმის დამაკავშირებელი ღერძი იყო. შუა საუკუნეებიდან ამ გზის საშუალებით ხორციელდებოდა სამხედრო, სავაჭრო და სხვა ურთიერთობანი ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან და რუსეთთან. შესაძლებელია ზემოთ აღწერილი სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების დამაკავშირებელი ფასის გზა იყო სწორედ ის ისტორიული „გზაი თაკუერისა", რომლის შესახებაც ქართული ისტორიული წყაროები წერენ.

ისტორიული წარსული

(მოკლე მიმოხილვა)

ვახუშტი რაჭის პირველსახელად „ბაგრატიონთამდე" თაკუერს მოიხსენიებს, თან იქვე დასძენს, „შემდგომად ამისა უწოდეს რაჭა"[1]-ო.

[1] ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 748, სქ. 1.

რაჭა რიონის ღრმა ხეობაშია ჩაფლული. ალბათ, ამიტომ, ლეგენდების მიხედვით აღნიშნული სახელწოდება ჭიდან წარმომდგარა. ლეგენდა ამბობს: საცხოვრებელი ადგილის პირველმაძიებელნი მაღალი მთის უფსკრულის პირას შეჩერებულან და ღრმა ხეობის ხილვით გაოცებულ ერთ მათგანს წამოუძახნია — რა ჭააო, და საკუთარი გრძნობების ეს გამოხატულება სამუდამო სახელად შერჩენია ამ მხარეს. როგორც ჩანს, ვახუშტი იზიარებს ლეგენდაში გადმოცემულ მოსაზრებას რაჭის სახელწოდების წარმოშობის შესახებ, როდესაც წერს: „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ:“ იხილე, რა ჭა არს ადგილი ესე!“[1]. ამის შემდეგ მრავალი ავტორი იმეორებს თავის შრომაში რაჭის სახელწოდების ხალხურ ვარიანტს. მაგრამ ხალხურმა ეტიმოლოგიამ რაჭის შესახებ დიდი ხანია დრო მოუსპა, მას დღეს აღარავინ იზიარებს. ა. შანიძის ვარაუდით, რაჭას საფუძვლად უდევს რაჭის საერისთავოში გავრცელებული პიროვნული სახელი რატი. ამ სიტყვისაგან მიღებულია საანალიზო სიტყვა შემდეგი მეტამორფოზით: რატი—რატიშა—რატისა—რაჭა.

გ. ახვლედიანის აზრით, რაჭა-ლეჩხუმი სვანური წარმოშობის უნდა იყოს. სვანურად კურდღელს „რაჭუ“ („რაჭვ“) ქვია. ცხადია, კურდღელი ყოფილა რაჭის ტოტემი და მისი სახელწოდებაც აქედან უნდა წარმომდგარიყო.

ძველი (ანტიკური ხანის) თუ შუა საუკუნეების წყაროებში რაჭა წარმოდგენილია, როგორც საქართველოს ორგანული ნაწილი, საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე. ეს კუთხე თავიდანვე დიდ ყურადღებას იქცევდა მოსახლეობის სიმჭიდროვითა და ეკონომიური აღმავლობით. რიონის სათავეებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებამდე იქ მნიშვნელოვნად დაწინაურებულა სამთამადნო წარმოება.

---

[1] იქვე, გვ. 770

რაჭას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების დაცვა-გამაგრების საქმეში, ამიტომაც ქართველი მეფეები ამ კუთხისადმი მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ. უპირველეს როლს ამ საქმეში მთის რაჭა ასრულებდა. არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე დადასტურდა, რომ დღევანდელი მთის რაჭის ტერიტორიაზე ადამიანს უცხოვრია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, რამდენიმე საუკუნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. ამას მოწმობენ ხალხური გადმოცემები და ღების მახლობლად ბრილში ნაპოვნი ბრინჯაოს ხანის ქვის აკლდამები და შოშეთის ბრინჯაოს ბალთა, რომელიც მიცვალებულს წელზე ჰქონდა შემორტყმული. მრავლის მთქმელია აგრეთვე ადგილი შხიროლი (სოფელი ჭიორა), სადაც ჩნდება გვიანი ქრისტიანული ხანის ნივთები და სამკაულები. სამწუხაროდ, წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურის სიმცირის გამო ადრინდელი მოსახლეობის ვინაობის დადგენა ჯერჯერობით ძნელია.

მეტისმეტად საინტერესოა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებში დღემდე შემორჩენილი მეზობელი ხალხების აღმნიშვნელი სახელწოდებები მათი სადაურობისა და ისტორიული წარსულის გასარკვევად. მთის რაჭველები ოსებს ადგილგარემოს სახელწოდებების მიხედვით სამ ეთნიკურ ნაწილად ყოფენ, ამბობენ: დიგორი და დიგორელი, დვალეთი და დვალი, „მინდორი“ და „მინდვრის ოსები“ (ირონი და ირიონი ოსები).

ზემო ან დიდმალყარი, მათივე წარმოდგენით, მდებარეობს მდინარე ჩერეკის ზემო წელში. აქაური ხალხი ცნობილია მალყარის სახელით. თვით ადგილობრივი მკვიდრნიც თავის თავს ასევე უწოდებენ. ამავე სახელწოდებით მოიხსენიებენ მათ ბაქსანელებიც. რაჭველები დანარჩენ აქაურ მთიელთა სადაურობასაც ასევე ხეობებისა და საზოგადოებების სახელით განსაზღვრავდნენ, მაგალითად, **ჩეგემი-ჩეგემელი, ბაქსანი-ბაქსანელი, აბზანგა (ბეზინგი) — აბზანგელი ან ბეზინგელი, ხვალამი (ხოლამი) — ხვალამელი ან ხოლამელი.** მალყარლები

„ებზე“-ს, საერთოდ ქართველის აღმნიშვნელად ხმარობდნენ, კუთხურობის მიხედვით კი ყველას თავისი სახელით მოიხსენიებდნენ: „გურჯი ებზე“-დ—თბილისელ ქართველებს, „იმერელ ებზე-დ“ — ქვემო რაჭველებს, „მალყარ ებზე,“დ — მთის რაჭველებს, „ჩეგემ ებზე“-დ—ჩეგემელ ქართველებს. „შარე“-დ და „შკულა“-დ სვანებს. ადიღლები ქართველებს სონას“-ს ეძახდნენ, ირონი ოსები და დიგორლები — „გურჯი-ს“. კუთხურობის მიხედვით, ოსები რაჭველებზე ამბობდნენ „რაცონ“-ს, ჭიორლებზე და იქ გაბატონებული რეხვიაშვილების გვარზე „რეხვათ“-ის.

ამრიგად, კავკასიონის სამხრეთით მთის რაჭა და ზემო სვანეთი, ხოლო ჩრდილოეთით მათი მეზობლები: დიგორი, დვალეთი, მალყარი, ყარაჩაი, ადიღე ჰქმნიდნენ შეხების თავისებურ სასაზღვრო ზოლს, რომელთა მოსახლეობას ოდითგანვე ეჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან და, ამიტომ, მათ წეს-ჩვეულებებში, მატერიალურ კულტურასა და სოციალურ-ინსტიტუტებში მრავალი საერთო ჰქონდათ.

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ურთიერთობა წარსულში ძნელ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში ნიმდინარეობდა, მათი კავშირი ეკონომიურ აუცილებლობასთან ერთად, ბუნებრივი პირობებითაც იყო გაპირობებული. მალყარი, ყარაჩაი, დიგორი, ბასიანი, დვალეთი—აღნიშნული თითოეული მიკროორაიონი — მოქცეული იყო, ერთი მხრივ, კავკასიონის მთავარ ქედსა და, მეორე მხრივ, ძნელად გასასვლელ ჩრდილოეთის კლდოვან მასივებს შორის. საიდანაც მთიელებს ვიწრო კლდეკარებისა და მოუხერხებელი საცალფეხო ბილიკებით თუ შეეძლოთ ჩრდილო კავკასიის ბარში ჩაღწევა, მაგრამ ამასთან ყაბარდოელი მებატონეებისა თუ გარეშე მტრების გამუდმებული აღვირახსნილობა და თარეში შეუძლებელს ხდიდა მთის მოსახლეობის კავშირს ჩრდილოეთის ბართან. ამიტომ იყო, რომ ჩრდილოკავკასიელი მთიელები ძნელად სავალ საუღელტეხილო ბილიკების გადმოლახვასა და ქართველ მთიელებთან ურთიერთობას ამ-

ჯობინებდნენ. ამის დასტურად, 1823 წლის ერთ რუსულ წყაროში ვკითხულობთ: ყაბარდოელი თავადები მძიმე გადასახადებით ძალზე ავიწროებდნენ თავისი გავლენის ქვეშ მყოფ მალყარელ მთიელებს, მათ რუსეთისა და ყაბარდოს სამრეწველო ქალაქებისაკენ მიმავალ ყველა გზას უკეტავდნენ და სავაჭროდ არ უშვებდნენ. ამის გამო ჩრდილოეთიდან შეწუხებული და კარჩაკეტილი მალყარელი მთიელები ყოველთვის საქართველოსაკენ მოისწრაფოდნენ, საითაც მუდამ გზა ხსნილი ჰქონდათ. პირველ რიგში, რაჭა იყო მათი სადგური[1].

ალექსანდრე მეფის 1832 წლის სიგელითა და სხვა ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ წარსულში „მთიელეთად" წოდებული დღევანდელი მთის რაჭა, სვანეთის კუთვნილება ყოფილა, რომელიც სვანებს XV საუკუნეში სისხლის საფასურში დაუთმიათ რაჭის ფეოდალ ჯაფარიძისათვის. მებატონეთა აღნიშნულ შეხლა-შემოხლაში მთის რაჭა ძლიერ დაზარალებულა, მჭიდროდ დასახლებული აქაური სოფლები გაპარტახებულა, მოსახლეობა გაჟლეტილა, რომლებიც მებატონეთა თვითნებობას გადაურჩნენ, სხვაგან გადახვეწილან, მხოლოდ მათი ნამოსახლარები დარჩენილა. ამჟამად ღებს ზემოთ სხვა სოფელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, წინათ ყოფილა, რაც ნასოფლარებითა და ეკლესიათა ნანგრევებით დასტურდება. სიგელი აღნიშნულ პერიოდში მთის რაჭის ტერიტორიაზე რვა სოფელს ვოიხსენიებს ეკლესია-მონასტრებითა და თავდაცვითი ნაგებობებით, ესენია: ბრილი, თეთრეშო, ღები, შოდა, ჩუეშო, ჭიორა, გლოლა, ბუბა, აქედან დღემდე შემორჩა მხოლოდ სამი სოფელი: ღები, ჭიორა და გლოლა, დანარჩენი ნასოფლარებია. ციხე-კოშკებით დამშვენებული აქაური სოფლები მტრისათვის შეუვალნი ყოფილან. ვახუშტის თქმით, „არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვანზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯუარითა და წიგნებითა, ძუელადვე ხიზნულნი. კუალად გლოლის ჯევის შესართავს ზეით რიონის სამჯრით არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი გოდლოვანი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი".[2]

[1] Известия о Кавказе, ч. 2. 1823. стр. 217.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 768-769.

რაჭისა და სვანეთის ფეოდალებს შორის გამუდმებული მტრობა და ქიშპობა მარტოოდენ ჯაფარიძის მკვლელობით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მთავარი მიზეზი ღრმაპოლიტიკურ უთანხმოებებში უნდა ვეძიოთ, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: სვანი და ჩრდილოკავკასიელი მებატონეების ქიშპობისაგან რომ თავი დაეცვა, ზურგის სიმტკიცისათვის საჭირო იყო კავკასიონის ქედისა და ყველა მისი გადასასვლელების ხელში ჩაგდება, რომლებსაც იმხანად სვანები ფლობდნენ.

რაჭის ფეოდალებმა საბაბად გამოიყენეს რა ძმის მკვლელობა, მიაღწიეს დიდი ხნის წინათ დასახულ მიზანს — ჩრდილო-დასავლეთით სვანი მებატონეების ძალაუფლების შესუსტებასა და საზღვრების შემომტკიცებას. ეს ბრძოლა XV საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთის დიდი ნაწილის რაჭის საერისთაოსთან შემოერთებით დაგვირგვინდა.

ამ დროიდან საქართველოს მთიანეთში მეტისმეტად გაჩნდა ბრძოლა ფეოდალებსა და მთიელებს შორის. ფეოდალები თავგამოდებით ცდილობდნენ თავისი საექსპლოატაციო არეალის გაფართოებას, მთიელები კი თავისუფლების მოპოვებისათვის იბრძოდნენ. რაჭის ერისთავის ორსაუკუნოვანი ბრძოლა (XVI—XVII საუკუნეებში), მთიელი მოსახლეობის დამონებისათვის, მათი მარცხით დამთავრდა. მთის რაჭველებმა ამოხოცეს მებატონე არიშიძეები, ჯაფარიძეები და თავისუფლება დაიბრუნეს.

მალყარულ ხალხურ გადმოცემებში შემონახული ამბები მოგვითხრობენ, თუ XVII-XVIII საუკუნეებში მალყარის ერთი ხეობა როგორ მტრობდა მეორეს. შემორჩენილია გადმოცემა ჩეგემელების ომის შესახებ ბეზინგელებისა და ხულამელების წინააღმდეგ, მალყარის ხევის საზოგადოებისა — ურუსბიეველების წინააღმდეგ. სხვა თქმულებებში ასახულია მალყარლების ბრძოლა სვანებთან, ყაბარდოელებთან, ყირიმის თათრებთან. მთიელთა ბრძოლის შესახებ მოთხრობილია აგრეთვე დიგორის, სვანეთის, ყაბარდოს, ადიღეს, ჩაჩან-ინგუშეთის ფოლკლორში. მალყარში დღემდე შემორჩენილ ხალხურ ლექსებს შორის მთავარია ორი პოემა: „ყაისინლა“ და

„შორი“. მათში მოთხრობილია მალყარელი თავადების რაჭაში მარცხიანი ლაშქრობების ამბები. ანალოგიური თქმულებები და ლექსები მალყარლების, დიგორლების, სვანების მთის რაჭის სოფლებზე თავდასხმების შესახებ რაჭულ ფოლკლორშიც მოიპოვება. ყველა თქმულება-გადმოცემაში აღწერილი ამბები ზღვაში წვეთია და სრულიადაც ვერ ჩრდილავენ იმ მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, რომელიც ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის არსებობდა. ლეგენდებში ხაზგასმითაა აღნიშნული სიხარბე და აღვირახსნილობა იმ მებატონე თავადებისა, რომლებიც ზოგჯერ წინ მიუძღოდნენ ყაჩაღურ ბრბოებს და, თუ შესაძლებლობა მიეცემოდაო, არბევდნენ, აწიოკებდნენ პირველსავე შემხვდურ სოფლებს, იტაცებდნენ პირუტყვს, მაგრამ ხშირად ისინი ვერ აღწევდნენ მიზანს, რადგან მთიელები ერთობლივი ბრძოლით ამარცხებდნენ მომხდურებს და ლაფდასხმული უკან აბრუნებდნენ. თანასოფლელებიც კი წყევლა-კრულვით ხვდებოდნენ მათ. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა დიდგვაროვანზე როდი ითქმოდა ბოროტკაცობა, მაგალითად, ჩრდილოკავკასიელ მთის აზნაურებს, ე. წ. ტაუბიების ნაწილს ჩვეულებრივ კერძმოკეთეობა აკავშირებდათ ქართველ მთიელებთან და ისინი შაშინაც კი არ წყვეტდნენ მეგობრულ ურთიერთობას, როცა დიდი ფეოდალები ქურდულად ილაშქრებდნენ საქართველოს სოფლებზე. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად ასეთი მტრული გამოხდომებისა, ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის კერძმოკეთეობა, გაჭირვებაში ურთიერთდახმარება არასოდეს შეწყვეტილა.

პოემა „შორის“ განხილვისას საყურადღებო დასკვნას აკეთებს ი. ტამბიევი და წერს: მალყარელი მებატონეები თავდასხმას აწყობდნენ სვანეთზე, მაგრამ როცა თვით მალყარელ ხალხს მტრის საფრთხე ელოდა, საშველად სვანებს უხმობდნენ, რომლებთანაც მათ მეგობრობა აკავშირებდათ და ერთიანი ძალით ებრძოდნენ მომხდურებსო.[1] ჩრდილოკავკა-

[1] И. Тамбиев. Заметки по истории Болгарии. Резолюция и горец. № 8, 1933, стр. 75.

სიელ მთიელთა ბრძოლა ასევე მჭიდროდ უკავშირდებოდა ქართველი მთიელი გლეხების ანტიბატონყმურ მოძრაობას. ფეოდალური ჩაგვრის უღელქვეშ მყოფი კერძმოკეთეები ხშირად იარაღით ხელში მათ მხარდამხარ გამოდიოდნენ მებატონეების წინააღმდეგ. მათ ერთობლივი ბრძოლით მრავალჯერ შეუჩერებიათ საქართველოს ჩრდილო საზღვრებთან მომდგარი მტერი, ამიტომ ვამბობთ: საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარს დარაჯად ედგა არა მარტო ბუმბერაზი კავკასიონი, არამედ მთას იქით მცხოვრები მეგობარი მთიელებიც, რომლებიც საქართველოსაკენ მოძალებულ მტრებს პირველნი წინ აღუდგებოდნენ ხოლმე და გზას უკეტავდნენ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმათითაც ჰქონდათ ხშირად ქართველებს ზურგი გამაგრებული“[1].

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა მეგობრობა ძნელბედობის ჟამს ჩაისახა. ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ისევე, როგორც ქართველ ხალხს, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არა ერთი მძიმე დღე გადაუტანიათ, მაგრამ განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა XV საუკუნიდან, როცა ჩრდილო კავკასიასაცა და საქართველოსაც ირანელ და თურქ დამპყრობთა სახით საშიში მტრები გაუჩნდათ, მათი სისხლიანი ნაკვალევი დღესაც შეიმჩნევა მთიელთა ყოფაში. სწორედ ერთბედობამ, სულიერი და მატერიალური კულტურის ერთიანობამ დააკავშირა ერთმანეთს ჩრდილოკავკასიელი და ქართველი ხალხები.

XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენი სამშობლოს ისტორიაში დიდი მოვლენა მოხდა: 1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს — ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ კი — დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, მათ შორის რაჭაც. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყნად მშვიდობიანი ცხოვრების პირობების დამყარების შედეგად გაძლიერდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა კონტაქტები. რეფორმის შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა რაჭველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების ურთიერთობა. ფე-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 78.

ოდალური დაჭუცმაცებულობისა და ცარიზმის მოხელეთა თვითნებობის პირობებში უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კერძმოკეთეობამ, ეს ჩვეულება გადაიქცა მებატონეებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. ამას გარდა, აღნიშნული ჩვეულება ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებში მოსისხლეთა შერიგებისა და მათ შორის სხვადასხვა საკითხის მშვიდობიანი მოგვარების საშუალებაც გახდა, რამაც რევოლუციის წლებში ხელი შეუწყო მასების შეკავშირებასა და მათ დარაზმვას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის ხელოვნური დანათესავების, დამეგობრებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენდა შორეული საუკუნეებიდან მომდინარე ხალხური ჩვეულებები: სტუმარმასპინძლობა, მცნაურობა, კერძობა, შეჯალაბება, სხვისშვილობა, დაძმობილება, მიცვალებულის დატირებისა და გლოვის წესების გაზიარება, გაჭირვებაში დახმარება.

სტუმარმასპინძლობა

საქართველოსა და მის მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელ მთიელებში სტუმართმოყვარეობის ჩვეულება ოდითგანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის უძველეს და მდიდარ ტრადიციებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მარტო რაჭაში არსებობდა სტუმრის მიღება-გაცილების სამი წესი — სამი აღმნიშვნელი ტერმინით: სტუმარი, მცნაური, კერძი.

საქართველო უძველესი დროიდან იყო ცნობილი სტუმრის პატივისცემა-დაფასებით, დიდ სირცხვილად ითვლებოდა ოჯახში სტუმრისათვის ეკითხათ რაზე მოხვედი ან როდის მიდიხარო, უცხო სტუმარს გულღიად და ხელგაშლილად ხვდებოდნენ. სტუმარი ოჯახში იმდენ ხანს რჩებოდა, რამდენ ხანსაც სურდა, ან რამდენსაც მისი საქმე მოითხოვდა. სტუმარმასპინძლობის ჩვეულება კრძალავდა სხვისი ქონების ხელყოფას, ქურდობასა და ძარცვა-გლეჯას, ამიტომ იყო, რომ რა-

ჭაში სახლისა და ეზოს კარს არავინ კეტავდა, სამეურნეო იარაღებიც ეზოში ელაგა. სტუმარი თავისუფლად გრძნობდა თავს არა მარტო მასპინძლის ოჯახში, არამედ მთელი სოფელი პატივისცემით ეპყრობოდა მას. საგანგებოდ მოპატიჟებული თუ ოჯახში შემთხვევით მოხვედრილი ერთნაირად საპატიო სტუმრად ითვლებოდა და მის მიმართ დიდ გულისხმიერებას იჩენდნენ მასპინძლები. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებში სტუმრის ნიღება-გაცილების საინტერესო წესი სრულდებოდა. რაჭაში მამაკაცები თავს იყრიდნენ სანახშოზე. ჩრდილოკავკასიელები ასეთ საკრებულოს ნიხას ეძახიან. მთიელთა ჩვეულებით, სტუმარი ვალდებული იყო პირველად სანახშოზე მისულიყო და იქ ზოეკითხა თავისი კერძი თუ ყონაღი. სტუმარს არ მოაწყენდნენ, ლაპარაკით ართობდნენ. ამასობაში მასპინძელიც გამოჩნდებოდა და თავის სტუმარს შინ მიიწვევდა. სტუმარი სახლს მიუახლოვდებოდა თუ არა, მთის ადათის მიხედვით ოჯახის უფროსი მამაკაცის სახელს დაიძახებდა, დედაკაცის სახელის ხსენება ამ შემთხვევაში დაუშვებელი იყო, შინიდან რომ გამოეხმაურებოდნენ, მერე სტუმარი შესძახებდა, აქა მშვიდობა, მოვედი, სტუმარს თუ მიიღებთო, დამხვდური მამაკაცი შინიდან გამოეპასუხებოდა — მობრძანდი, სტუმარი ღვთისაო. თუ სტუმარი ღამე ეწვეოდა, მას ჭრაქით ან კვარით გაუნათებდნენ გზას, ჩამოართმევდნენ ცხენს, იარაღს, დაუთმობდნენ მისთვის განკუთვნილ სასტუმრო ოთახს, ე. წ. კარსელს, ან, როგორც გლოლელები ამბობენ, სოგონას და მოასვენებდნენ. ჩრდილოკავკასიელი მთიელები სასტუმრო ოთახს ან საერთო საჯალაბო სახლში სტუმრისათვის გამოყოფილ მოსასვენებელ ადგილს, საყონაღოს უწოდებენ. სტუმრისათვის განკუთვნილი ცალკე ნაგებობა ან იზოლირებული ოთახი საყონაღოს სახით ყველას როდი ჰქონდა, ამის საშუალება მზოლოდ მდიდრებს გააჩნდათ, ღარიბი მთიელები სტუმარს საერთო, საჯალაბო სახლის სამამაკაცო განყოფილებაში აძინებდნენ. ანალოგიური მდგომარეობა იყო ქართველ მთიელებშიც. შეძლებულ მთის რაჭველებს ოთხსართულიან დუროიან ქვიტკირის სახლებში საგანგებოდ სასტუმროდ განკუთვნილი სახლის მესამე სართულზე, ან კარ-

სელში თავისუფლად შეეძლოთ ერთდროულად რამდენიმე კერძის ან სხვა სტუმრების მიღება-მოსვენება, უმრავლესობას ამის საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ სტუმარს უპატივცემლოდ არავინ უშვებდა. აქაურ ორსართულიან ქვითკირის სახლებში ეხლოლდ მეორე სართული იყო განკუთვნილი საცხოვრებლად, რომელსაც საერთო ან საჯალაბო სახლს უწოდებდნენ. იგი ორ ნაწილად იყოფოდა: სამამაკაცოდ და სადედაკაცოდ. სტუმარს შუაცეცხლის პირას აძინებდნენ. ასევე ყოფილა ყარაჩაველებშიც. დუროიანი და ქვითკირის ორსართულიანი ციხე-სახლები კერძების არა მარტო ღამის გასათევსა და მოსასვენებელს წარმოადგენდა, არამედ აქ ისინი ჯალაბთან ერთად საიმედოდ იყვნენ დაცული შინაური თუ გარეშე მტრების მოსალოდნელი საფრთხისაგან. საყონაღო იყო როგორც სასტუმრო, ისე საერთო სამამაკაცო სახლიც, სადაც სტუმრების გარდა სოფლის მამაკაცებიც ერთობოდნენ. დარბაზად წოდებული ასეთი ორსართულიანი სახლი-სასტუმრო აივნითა და ორნამენტის უძველესი ქარგულობით დამშვენებული დღემდეა შემორჩენილი სოფელ გლოლაში. ღია მარნის ფორმის ქვედა სართული ქვითკირის ნაგებობაა, შიგ ქვევრებია ჩაფლული, მას ჭურ-მარანს ეძახიან. მუხისა და თელის ფიცრებისაგან ნაგები მეორე სართული ერთი მთლიანი დარბაზია, მას ოდასაც ეძახიან. ოდას ჩრდილო-აღმოსავლეთით წყვილი კარ-ფანჯარა აქვს. სახლის საერთო შესასვლელი ჩრდილოეთიდან ქვა-ლოდებით ნაგებ კიბეს წარმოადგენს. ამ სახლს ბელაშვილების საგვარეულო მხოლოდ სასტუმროდ იყენებდა. მის გვერდით იდგა ქვითკირის ორსართულიანი საჯალაბო სახლი, რომელიც სასტუმროს საგანგებო გასასვლელი დერეფნით უკავშირდებოდა. სასტუმროს უკან „შიოს“ კარადწოდებული მამაკაცთა საკრებულო სანახშო იყო. ჩანს, როგორც საყონაღო, ასევე რაჭული სახლი-სასტუმროც ადრეულ საფეხურზე მამაკაცთა ბინა უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე სასტუმრო, სადაც სოფლის მამაკაცები სტუმრებთან ერთად ერთობოდნენ და დროს სჯაბაასში ატარებდნენ.

საყონაღო თუ ქართული სასტუმრო შიდამოწყობილობის სისადავითა და უბრალოებით გამოირჩეოდა. მთიელები სტუ-

მარს ფეხდაუბანელს არ აწვენდნენ, ამით დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ. სტუმრის ფეხის დაბანა ჯალაბში უმცროს რძალს ევალებოდა, ქართველი მთიელების მსგავსად, ასეთივე წესი ჰქონდათ ოსებს, ადიღლებსა და ჩაჩან-ინგუშებსაც. სტუმარს შინ და გარეთ თავაზიანად ექცეოდნენ, წასვლისას მას დედაკაცები საგზალს უმზადებდნენ, მამაკაცები სტუმარს თავისი სამფლობელოს საზღვრამდე მიაცილებდნენ, რომ მათ მიწა-წყალზე სტუმარი არავის შეურაცხეყო და ოჯახი არ შეერცხვინათ. სტუმართმოყვარე ოჯახი, თუ პიროვნება დიდად დაფასებული იყო, ასე ლოცავდა მას: ღმერთმა ნუ მოგიშალოთ სტუმარი და სტუმრის გასასტუმრებელი ბარაქაო. უსტუმრო ოჯახს, პურძვირ კაცს ხალხი დასცინოდა. და, მასზე ამბობდნენ — სოფელში თავი არ გამოეყოფა, „ხალხში გაურეველი არის“-ო. ეს დიდ სირცხვილად და დამცირებად ითვლებოდა, ამიტომ ყველა ცდილობდა სტუმართმოყვარეობაში სხვას არ ჩამორჩენოდა. სტუმარს მთიელები შეძლებისდაგვარად საუკეთესო ლოგინსა და სასმელ-საჭმელს ურჩევდნენ. ჯალაბი თვითონ დაიკლებდა და სტუმართან პირს არ შეირცხვენდა. რაჭული სტუმართმოყვარეობის შესახებ შ. ლომინაძე წერს: რაჭველი გლეხი გამოირჩევა უაღრესი თავაზიანობითა და ზრდილობით. როცა მას სტუმარი ჰყავს, განსაკუთრებით მზიარული და ხალისიანი ხდება. თამამად შეიძლება ითქვას, ქართული სტუმართმოყვარეობა მთელი თავისი სიწმინდით რაჭაში შემორჩენილა[1].

მასპინძელი სტუმრის დაცვა-მფარველობაში პასუხისმგებელი იყო მთელი საგვარეულოსა და ხალხის წინაშე. ვინც სტუმარს სათანადო მფარველობას ვერ გაუწევდა, ასეთ მასპინძელს სოფელი ასამართლებდა და მკაცრად სჯიდა. სტუმრის შეურაცხყოფა ან მისი მოკვლა საყოველთაო გაკიცხვას იწვევდა, მის ჩამდენს სოფლიდან აძევებდნენ, ხშირ შემთხვევაში დამნაშავეს თვით ნათესავები კლავდნენ, როგორც მთელი საგვარეულოს შემრცხვენს. ჩრდილოკავკასიელ მთიელებში სტუმრის შეურაცხმყოფთა მიმართ უფრო მკაცრი სასჯელიც

[1] Ш. Ломинадзе. Поездка в Рачу, Тифлис, 1892, стр. 18.

დასტურდება. ვინც სტუმარს ღამის გასათევ თავშესაფარს არ მისცემდა, მის სახლ-კარსა და მამულს წვავდნენ.

მცნაურობა

ზამთრობით, როცა ქარბუქისა და ზვავების გამო ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სამთო ბილიკები იკეტებოდა, სალ კლდეთა რკალში მოქცეული მთის რაჭა დროებით მოწყდებოდა ხოლმე გარე სამყაროს. ამ დროს მხოლოდ რაჭა-იმერეთის გზატკეცილი რჩებოდა ღიად. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ამ გზით მთიელები დაკავშირებული ყოფილან საქართველოს ბარის დაბებთან და ქალაქებთან, სადაც მათ გასასყიდად მიჰქონდათ: ყავარი, თივა, ხორცი, რძის ნაწარმი, ტყავი, შინ ნამზადი შალის ქსოვილი, ჩაბოჰყავდათ პირუტყვი. ბოლო დროს ქუთაისის ბაზარზე კარტოფილის ჩატანაც დაუწყიათ. იქ მათი საქონელი ძვირადაც ფასობდა და დიდი რაოდენობითაც საღდებოდა. სამაგიეროდ ქალაქიდან მოჰქონდათ: ღვინო, არაყი, ხილეული, მარცვლეული, ფართლეული, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, მარილი, ასანთი, საპონი...

მგზავრს ამ გზით ქუთაისამდე უნდა გაევლო რაჭა-ლეჩხუმის ის დასახლებული ადგილები, სადაც მთის რაჭველებს მეგობრები, ან როგორც თვითონ ეძახდნენ, მცნაურები ჰყავდათ.

მგზავრობისას შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს თუ ერთმანეთი მოეწონებოდათ, ძმობასა და მეგობრობას შეჰფიცავდნენ და ამ დღიდან მათ შორის მეგობრული კავშირი მყარდებოდა. მცნაურებს შორის იწყებოდა ხშირი სტუმრობა და მიმოსვლა დაახლოებისა და ოჯახების გაცნობის მიზნით და, მცნაურების ეს ჩვეულება შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემოდა.

მთიელები ქართველ მეგობრებზე, რომლებთანაც მამაპაპური ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდათ, მცნაურს იტყოდნენ. სხვებს უბრალო ნაცნობად ან, ჩვეულებრივ, სტუმრად თვლიდნენ. მთის რაჭველებს ქუთაისში და ონში მცხოვრებ ებრაელებშიც ჰყავდათ მცნაურები, რომლებთანაც მეტად გუ-

ლთბილი და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. მთიელი მგზავრები ღამეს მცნაურის ბინაზე ათევდნენ, პურს ჭამდნენ და არავითარ გასამრჯელოს არ იხდიდნენ.

ქვემო რაჭველი მცნაურებიც მიდ-ოდნენ მთის რაჭველ მეგობრებთან. მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, მცნაურები ურთიერთშორის ხშირად მიმართავდნენ ნათელ-მირონს, შუამავლობას, ქალების თხოვება-გათხოვებაში.

ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობის წესებისაგან განსხვავებით, მცნაურობას გარკვეული ეკონომიური პირობები ედო საფუძვლად. მცნაურებს შორის იღებოდა სიტყვიერი, მაგრამ მეტად საყურადღებო ეკონომიური გარიგება, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ქვემო რაჭველი მცნაური მთიელი მეგობრის სახელზე თავისი ვენახიდან გამოყოფდა წილს. ამ ღღიდან ვენახის ეს ნაწილი მთის რაჭველის საკუთრებად ითვლებოდა. მას ქვემო რაჭველი მცნაური ამუშავებდა, ყურძენს კრეფდა, ღვინოს აყენებდა, მთიელ გლეხს მისგან ნახევარ ღვინო მიჰქონდა უსასყიდლოდ, იმდენი რაოდენობით, რაც მისთვის განკუთვნილი ვენახიდან მოვიდოდა, სამაგიეროდ მთის რაჭველი თავის მცნაურს აძლევდა ყავარს, თივას, ხის მასალას, მატყლს, შალის ქსოვილს, ამასთან იგი მცნაურის სახელზე ერთ სულ პირუტყვსაც გამოზრდიდა ხოლმე.

მცნაურებს შორის შეუძლებელი იყო ტყუილი, თვალთმაქცობა და ორპირობა, მათ შეთანხმებას საფუძვლად ედო სინდის-ნამუსი. თუ რომელიმე მხარე, რაიმე მიზეზის გამო, ვერ შეძლებდა ვალდებულების შესრულებას, მათ შორის არავითარი უთანხმოება არ ვარდებოდა, რადგან წინასწარ დათქმული არ ყოფილა არავითარი გადახდის დრო, იძულება და ძალდატანება.

ბერიკაცები ახლაც სიყვარულით იგონებენ დუხჭირი ცხოვრებისდროინდელ მეგობრებს — მცნაურებს.

კერძოგბა

ისტორიამ, დრომ, ტერიტორიულმა სიახლოვემ, კულტურამ, ყოფა-ცხოვრებამ დაამოყვრა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხები, საუკუნეების მანძილზე ისინი იზიარებდნენ

ერთმანეთის ჭირ-ვარამს, ლხინსა და სიხარულს. ქართველს ოჯახში კერა რომ უქრებოდა, ცეცხლისათვის კერძთან მიდიოდა, იცოდა, ერთგული მეგობარი და კარის მეზობელი მუდამ მოუმართავდა ხელს, ასევე ქართველი მეგობრების იმედი ამხნევებდათ კერძებსაც. კერძმოკეთეობა ფართოდ იყო გავრცელებული რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში. აღნიშნულ ჩვეულებას თავდაპირველი მნიშვნელობით, ძველი სახელწოდებით დღემდე მხოლოდ მთის რაჭაში შემოუნახავს თავი. აქ არ არსებობდა ისეთი მამაკაცი ან ოჯახი, რომელსაც მოსაზღვრე მთიელებში: დიგორში, დვალეთში, „მინდვრის ოსეთში", მალყარში, ყაბარდოში, ყარაჩაისა და ადიღლებში კერძი არ ჰყოლოდა. რაჭველ მამაკაცებს ყველა აულში ჰყავდათ კერძები, სადაც კი ხშირი მიმოსვლა და საქმიანობა უხდებოდათ. რაჭველის გაგებით, კერძი ხელოვნური ნათესაობით დაკავშირებული უახლოესი მეგობარია, ამიტომ მას ოჯახში წილი და დიდი უფლებები აქვს, მასზე სვანები ამბობენ — ძმისტოლა კაციაო. კერძის ყოლა დიდ საპატიო საქმედ ითვლებოდა. მათ აქებდა ხალხი. ვისაც კერძი არ ჰყავდა, მასზე დაცინვით ამბობდნენ: ის რა კაცია, ვისაც კერძი არა ჰყავსო. რაჭველი მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოკავკასიელ მეგობარს უწოდებდა კერძს, მხოლოდ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოიხსენიებდა კერძებად.

სარწმუნო ქართული ეთნოგრაფიული მასალებისა და უძველესი ქართული ლიტერატურული წყაროების დამოწმებით, ტერმინი კერძი ზოგად ქართულია, რაც აკაკი შანიძის ანალოგიური მოსაზრებითაც დასტურდება. სიტყვა კერძი სვანეთის, სამეგრელოსა და მთის რაჭის კუთხურ მეტყველებაში დღესაც იხმარება და ძველ წერილობით ძეგლებშიც გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „შემოიყარა თვისნი კერძნი", „...თამარის კერძთა ლაშქართა ამცნო", „...დავითის კერძნი გააქცივნეს", „...განმიმაგრეთ ზურგით კერძი ჩემი", „...წარვლეს ტაოს კერძი ქვეყანასა", „...ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს". ამავე წიგნის ლექსიკონში კერძი განმარტებულია, როგორც — „ვისიმე მხარეზე მყოფი", „მომხრე", „საკუთრება".

რუსთაველისეულ ზხატვრულ ფორმაში გამოთქმული სიტყვა კერძი, ერთგულების, კაცთმოყვარეობის მთელ დედაარსს გადმოგვცემს. ავიღოთ თუნდაც ავთანდილის მინაწერი „თავის ყმათა თანა“, სადაც ავთანდილი თავის სურვილს ასე გამოხატავს: .

„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს,
სიკვდილსა და სიცოცხლესა სადამდისცა ჩემსა სცნობდეს“.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი კერძს განმარტავს, როგორც წილს, ზხარეს, ნაწილს, „ჩემად კერძად“ კი, როგორც „ჩემად ნაცვლად“, ჩემ წილ, ჩემ მაგივრად. შემდგომი დროის ისტორიულ შრომებშიც ხშირად გვხვდება კერძის განმარტება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კერძი წილია. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ვკითხულობთ: კერძობა—семейство, свита, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დ. ჩუბინაშვილის აღნიშნული განმარტების ასეთი თარგმანია მოცემული: კერძობა (კერძობისა) „ცოლ-შვილი, სახლ-კარი, ამალა, მხლებელნი“, „ჩემს კერძობას“. საყურადღებოა კერძის განმარტება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, სადაც ეს სიტყვა მიჩნეულია, როგორც „ზომხრე, მხარის დამჭერი“.

სიტყვა კერძი და კერძმოკეთეობის ჩვეულება რაჭის გარდა, საქართველოს სხვა რაიონებშიც შემორჩენილა. მთხრობელთა გადმოცემით, სამეგრელოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული გამოთქმა კერძმოჯგირე, ესე იგი კერძმოკეთე, რომელიც მეტად ახლო მეგობარსა და ნათესავს გულისხმობს. ქორწილსა თუ სხვა სალხინო წვეულებაზე კერძმოჯგირეებს პირველ რიგში პატიჟობდნენ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მათ მეცვალებულის გლოვისა და დატირების წესების შესრულებისას. ოჯახის უფროსი ამ დროს საგანგებოდ აფრთხილებდა შინაურებს, კერძმოჯგირეებს შეატყობინეთ ჩვენი გაჭირვება, მოწვევის გარეშე არავინ დაგრჩეთო. საგულისხმოა, კერძმოკეთეობის სვანური ჩვეულება და მისი აღმნიშვნელი ტერმინები: სვანებს რაჭა-ლეჩხუმშიც ჰყავდათ კერძი-კაცები ან, როგორც სვანები ამბობენ, კერძ-მაარე. თვით სვანი მთხრობლები შემდეგნაირად იძლევიან ამ სიტყვის საყურადღებო ეტიმოლოგიას: კერძ-მაარე ნამდვილი

სვანური სიტყვაა და ნიშნავს კეთილ მეგობარს, რომელიც გულისხმობს ნდობას, დაახლოებას, ძმურ სიყვარულს, ერთმანეთში ხშირ მიმოსვლას, სხვანაირად კერძმოკეთეობა არ შეიძლებაო. სვანეთის ყოფა-ცხოვრებაში კერძი-კაცობის ჩვეულების მნიშვნელობის შესახებ ბ. ნიეარაძე წერს: „სვანეთიდან ლეჩხუმის გზით მიმავალი მგზავრი ქუთაისში ჩასვლას რვა დღე უნდება, მაგრამ ამ გზის უპირატესობა „ლენხერას" გზასთან შედარებით ის არის, რომ ეს გზა ხალხით უფრო დასახლებულს ადგილზე მიდის, სადაც სვანებს ნაცნობები ან, როგორც თვითონ ეძახიან, კერძი კაცები ჰყავთ და თბილი ბინა და ვახშამი მზადა აქვთ"[1].

სვანებს ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც ჰყოლიათ კერძიკაცები, რომლებსაც „კერძმუკეთეებს" ეძახდნენ. იმდენად დიდი ყოფილა მათ შორის სიყვარული და პატივისცემა, რომ როცა სვანი ბამაკაცები სახიფათო უღელტეხილებით ჩრდილო კავკასიაში მიდიოდნენ, ან მტერზე სალაშქროდ ემზადებოდნენ, ქალები შინაკაცებთან ერთად კერძმუკეთეებსაც ლოცავდნენ — მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შესთხოვდნენ ღმერთს. ყოველ სალხინო სუფრაზე ერთ-ერთი სადღეგრძელო ასეთი ითქმოდა: ყველა ჩვენს კერძმუკეთეს გაუმარჯოს მთას იქით და მთას აქეთო.

მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელ მთიელებში, ქართველი მთიელების მსგავსად, უძველესი დროიდან ვერ შეხვდებოდით ისეთ მამაკაცს, რომელსაც მთას იქითა თუ მთას აქეთა მთიელთა სოფლებში ყონაღი არ ჰყოლოდა.

ჩრდილოკავკასიელთა ყოფაში ყონაღობის რამდენიმე სახეა ცნობილი. ყონაღი თურქული სიტყვაა და სტუმარს ნიშნავს. კერძისაგან განსხვავებით, ყველა ნაცნობი თუ უცნობი, შინაური თუ გარეშე, საგანგებოდ წვეული თუ შემთხვევით გამელელი მგზავრი ჩრდილოკავკასიელის ოჯახში მოხვედრილი ყონაღი იყო, ალბათ, ამიტომაა, რომ ეს სახელი ჩვეულებებში სტუმარმასპინძლობის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად გვევლინება, რადგან მასში, მეორე მხრივ, ხელოვნური ნათე-

[1] ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, ტ. 1, 1965, გვ. 175.

საობით დაკავშირებული უახლოესი მეგობარიც იგულისხმება, ქართული კერძობის ანალოგიური, განსაკუთრებით საპატივცემულო სტუმრის ან მეგობრის აღმნიშვნელი ტერმინებითა და მასთან დაკავშირებული ადათ-წესებით. ასეთებია: მალყარული „ჯულუმ ყონაღ“, ყარაჩაული „ბაღალ ყონაღ“, „ქირით ყონაღი“, ყარაჩაული და დიგორული „ემჩეკ“-ი, ყაბარდოული „კამალიჩუ“, ადიღური „გაჩე“, ინგუშური „დოტა“.

გოგია (სეხნოენთი) რეხვიაშვილის (სოფ. ჭიორა, ონის რ-ნი) გადმოცემით, მალყარელები ჩვეულებრივ ყველას ყონაღს უწოდებდნენ, ვინც მათ ოჯახში ერთი ან ორი დღით სტუმრად მოხვდებოდა. რაკველებს მამაპაპური ურთიერთობა გვქონდა მათთან, „ჯულუმ-ყონაღ“-ებად. ე. ი. უაღრესად საპატივცემულო მეგობრებად მივაჩნდით; შინაურებად გვთვლიდნენ. ამიტომ იყო, რომ სტუმრად მისულ რაკველ მეგობრებს, მალყარლები წინ ეგებებოდნენ მხიარული შეძახილებით „—ჯუყლარ ქელგენდელე“, რაც ნიშნავს. ახლობლები ბოგვიგიდნენო. ასევე ხდებოდა ყარაჩაველებშიც, ოღონდ ისინი განსაკუთრებით საპატივცემლო ნაცნობ-მეგობრებს „ბაღალ ყონაღ“-ებს ეძახდნენ, ხოლო ვისაც მათი დედის ძუძუ უწოვია, მას და მთელ მის საგვარეულოს — „ემჩეკ“-ებს, ე. ი. ძუძუთ ძმებს. ნათესაობა-მეგობრობის ასეთი წესები აკავშირებდა ჩრდილოკავკასიელ მთიელებს ქართველ მეზობლებთან.

ოდითგანვე ცნობილია ე. წ. ქირით ყონაღობა. ამის შესახებ 1789 წლის ერთ რუსულ საბუთში ვკითხულობთ: კავკასიელ მთიელებში დღემდე ვხვდებით გამყოლ მებარგულებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ყონაღს ან მეგობარს უწოდებენ, ისინი წმინდად ინახავენ აღებულ ვალდებულებებს და ხშირად თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ რამდენიმე ათეული შანეთის ფასად, რათა მათზე მინდობილი მგზავრების სიცოცხლე გადაარჩინონ.[1] ქირით ყონაღობა იგივეა, რაც ქართული „მეგზურ-მებარგულობა,“ რომლებიც ქირით მეგზურებად და ბარგის მზიდავებად მიჰყვებოდნენ კავკასიონის საუღელტეხილო გზებით მიმავალ უცხო მგზავრებს, ოღონდ

---

1 Исторические выписки. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივი, საქ. 2, აღწ. 2, გვ. 1.

იმ განსხვავებით, რომ კერძებს მეგზურობაში ქირას არ ახდევინებდნენ მეგზურ-მებარგულების მოვალეობას შეადგენდა: მგზავრების უსაფრთხოების დაცვა, მთაზე მათი მშვიდობიანი გადაყვანა და დანიშნულ ადგილამდე მიცილება, მთას შეზრდილი ფიზიკურად ძლიერი რაჭველი მაბაკაცები საუკეთესო მეგზურ-მებარგულებად ითვლებოდნენ. ამასთან, როგორც მეზობელი მთიელების ენისა და წეს-ჩვეულებათა საუკეთესო მცოდნეები, უცხოელ მოგზაურებს თარჯიმნობასაც უწევდნენ. გამყოლ-მებარგულებს, რომლებმაც ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ენები კარგად იცოდნენ და კერძებსა და მოგზაურებს შორის შუამავლობაც შეეძლოთ, რაჭველები „თვალმაჩს" ეძახდნენ. დიდი იყო ქართველ მეგზურ-მებარგულთა როლი კავკასიონის საუღელტეხილო გზებზე მგზავრთა უხიფათოდ მიმოსვლის საქმეში. ერთი-ერთი საუკეთესო და მოხერხებული საშუალება, მგზავრს რომ თავი დაეცვა ყაჩაღთა თავდასხმებისაგან და აეცდინა სტიქიური ხიფათები მთაში მოგზაურობისას იყო ის, რომ ჰყოლოდა კარგი მეგზური ყონაღი, რომელიც მცირე ქირის ფასად მეგზურობასაც გაუწევდა და პასუხისმგებელიც გაუხდებოდა მშვიდობიან მოგზაურობასა და ბარგის საიმედო დაცვა-შენახვაში. კერძო პირები და ვაჭრები მოზდოკიდან საქართველოში, ყიზლარიდან დერბენდსა და ბაქოში მიდიოდნენ ასეთი ყონაღების მფარველობის იმედით. ყონაღს ქირის გარდა, მამაპაპური ჩვეულებაც ავალდებულებდა, თუ საჭირო იქნებოდა, სიცოცხლეც კი გაეწირა მგზავრის გულისათვის, თუ არა და, ხალხი დაგმობდა მას. ეს ჩვეულება იმდენად ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ადამიანის მორალზე, რომ ბოროტმზრახველებს უზნეო ქცევის ყველა გზას უხშობდა და, ამდენად ჩვეულება თავისთავად იცავდა უცხოელ მოგზაურებსა თუ სხვა სტუმრებს უხეშობისა და შეურაცხყოფა-დამცირებისაგან.

იმ აულში, სადაც შენი კერძი ცხოვრობდა, სხვა ოჯახში მისვლა კერძის დაუკითხავად და იქ ღამის გათევა, კერძის ოჯახის დამცირებად და დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, ამიტომ ეს არ ხდებოდა. ასე ყოფილა ყაბარდოელებშიც, მათ, რომელთაც ხშირად უხდებოდათ სიარული მეზობელ აულებში, ყველას ჰყავდა თითო უახლოესი ნაცნობ-მეგობარი, ე. წ. კა-

მალიჩუ, რომელთანაც ღამეს ათევდნენ და ისვენებდნენ. კამალიჩუს ოჯახი ნაწყენი რჩებოდა, თუ ყონაღი სხვაგან გაათევდა ღამეს. საინტერესო ისაა, რომ მაშაპაპური ჩვეულება საუკუნეების განმავლობაში არ ირღვეოდა. კამალიჩუ ისევე, როგორც კერძი მეგობრის ოჯახში, შინაკაცად ითვლებოდა.

ადიღლებისათვის ჩვეულებრივი სტუმარი ამავე დროს მისი ყონაღიც იყო. ბათთან სტუმრად ნოხვედრილს, საკმარისია მათ შორის ერთი ნაცნობი, მეგობარი, ან როგორც ადიღლები, იტყვიან, ერთი გაჩე ჰყოლოდა, რომ უზრუნველად და შშვიდად ეგრძნო თავი. გაჩე, მეგობრის არა ბარტო უბრალო გამყოლი, არამედ ნოვზაურობის დროს მისი დიდი პატივისმცემელიც იყო. რიდესაც ბესობელ აულამდე მიაცილებდა, შემდეგ იქ მცხოვრებ თავის გაჩეს შესთხოვდა მეგობრის სიღებასა და მის მოვლა-პატრონობას. თავის მხრივ, იგი ყონაღის მიმართ იგივე ნოვალეობას შეასრულებდა და ა. შ. აღნიშნული ჩვეულების წყალობით ნგზავრს შეეძლო უშიშრად მოევლო ადიღეს ნიწა-წყალი, ყოველგვარი პირადი ხარჯის გაწევის გარეშე მაშინ, როცა უცხო კაცს მთაში თავშესაფრის პოვნა და გამოკვება გაუჭირდებოდა, ყონაღი რომ არ ჰყოლოდა. ასეთი მჭიდრო და მეტად ახლო ურთიერთობის გამო, ყონაღები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ერთმანეთის საოჯახო თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხალხის გადმოცემით, ღებელების კერძ-მალყარელ ალყაჩას მებატონე არიშიძეების წინააღმდეგ ბოწყობილ შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა რაჭველ ყონაღებთან ერთად.

კერძების სიტყვას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხში და ზოგჯერ ისინი მსაჯულებადაც კი გამოჰყავდათ სადავო საკითხების გადაწყვეტისას. მალყარელი ბარსუ აბოიანთი ღებელების კერძი ყოფილა, მთიელებში დიდად პატივცემული და დაფასებული. ერთ დღეს მას ღებში დიდი ხნის მოჩხუბარი და ერთმანეთზე მტრადგადაკიდებული ორი საგვარეულო შეურიგებია და მოსალოდნელი სისხლიანი შეტაკების საფრთხე აუცილებია. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაზრდილა ხალხში კერძის ავტორიტეტი, ამაზე მეტყველებს დღევდე ღებში შემორჩენილი გამოთქმა—„იყოს აბოიანთ ხელი"—და მას-

თან დაკავშირებული ჩვეულება. მოწინააღმდეგენი, თუ შერიგებას გადაწყვეტდნენ, ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ და იტყოდნენ—„იყოს აბოიანთ ხელი"-ო—ეს ფიცის სიმტკიცისა და მეგობრობის გამომხატველი იყო, ამის შემდეგ მათ შორის მშვიდობიანობა მყარდებოდა.

1907 წლის არეულობის დროს რაჭის მეზობელი სოფლები — ღები და ჭიორა ერთმანეთს გადამტერებიან, ღებს ჭიორაზე თავდასხმაც კი მოუწყვია, მაგრამ ჭიორლებს უმარჯვნიაო და ბომხდურნი დაუმარცხებიათ. მეზობლების შუღლისა და მტრობის ამბავს ყარაჩაის აულ უჩქულანშიც მიუღწევია და იქ მყოფ ღებელ და ჭიორელ მედუქნეებს შორის უნდობლობისა და მტრობის თესლი გაუღვივებია. მოსალოდნელი ყოფილა ძმათა სისხლიანი შეჯახება, მაგრამ ყარაჩაველ კერძმოკეთეებს ეს დროზე შეუტყვიათ, მათი ქცევა სახალჩოდ დაუგმიათ და მოძმეთა შორის ზავი ჩამოუგდიათ. ასევე საპატიო გავლენა ჰქონდა ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ქართველი ყონაღების სიტყვას, ისინი ძველთაგანვე დიდ როლს ასრულებდნენ მთიელების დაახლოება-დაკერძების საქმეში.

დ ა კ ე რ ძ ე ბ ა

თავდაპირველად დაკერძება ხდებოდა ოჯახის უფროს მამაკაცებს შორის შრომაში ან ბრძოლაში ურთიერთგაცნობა-დაახლოებისას, საქმიანი კავშირის დამყარებისას. ასევე ყონაღობაც მხოლოდ მამაკაცებს შორის იყო შესაძლებელი. ჩვეულებრივი სტუმარი ან შემთხვევით გაცნობილი კაციც კი შეიძლებოდა გარკვეული დროის გავლისა და მეგობრობაში საათანადო გამოცდის შემდეგ კერძი ან ყონაღი გამხდარიყო. ყარაჩაული ჩვეულებით, უბრალო ნაცნობი, სამი დღის სტუმრობის შემდეგ, „ბაღალ ყონაღად" იქცეოდა და მათ ოჯახებს შორის მყარდებოდა ნათესაური კავშირი, რომელიც საუკუნეები გრძელდებოდა.

კერძმოკეთეობა პურ-ღვინით უხვ სუფრასთან ფიცით მტკიცდებოდა. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ოჯახის უფროსი ორი მამაკაცი, რომლებსაც ახლო მეგობრობა ან წარსული

ნათესაობა აკავშირებდათ, რომელთა შესახებაც მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ, და კერძმოკეთეობას გადაწყვეტდნენ, ერთ-ერთის ოჯახში საწვეულო სუფრას გამართავდნენ, არყით სავსე ჭიქაში ვერცხლის ფულს ჩააგდებდნენ, ხელიხელს მისცემდნენ და კერძმოკეთეობას სახალხოდ შეჰფიცავდნენ: სალ კლდესავით მტკიცე იყოს ჩვენი კერძმოკეთეობაო. ქართველი ყონაღი კერძის დედის ან მისი დედობილის (ოჯახში ყველაზე უფროსი დედაკაცის) ძუძუს თავს კბილით შეეხებოდა, რის შემდეგაც დედა ვას მიმართავდა: აწ, ამას იქით შენ ხარ ჩვენი ბაღალ ყონაღ-ი, ჩემი შვილის ეშჩეკი (ძუძუთ ძმა), შენი მტერი—ჩვენი მტერი, შენი მოკეთე—ჩვენი მოკეთე, ჩვენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალი, ჩამოუვარდეს მხარი. მეგობრები არყიან ჭიქას რიგრიგობით ცლიდნენ და ფიციც ამით მთავრდებოდა. შეფიცულნი უკვე კერძმოკეთეები იყვნენ, ამ დროიდან მათ შორის ფიცის გატეხა არ იქნებოდა. ვერცხლის ფულს დედა ინახავდა, ნიშნად მისი ვაჟისა და ქართველის დამეგობრებისა, მისი დაკარგვა ან გასაჩუქრება არ შეიძლებოდა, ძმობა დაირღვევაო, — ამბობდნენ. იღბლიანი მონეტის სხვა წყვილთა დამეგობრების ფიცის დროს გამოყენება შეიძლებოდა და სასურველიც იყო, მათაც ბედნიერი ძმობა-მეგობრობა ექნებათო.

ჩრდილოკავკასიელ მთიელებში დედის დიდ უფლებამოვალეობაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ კერძმოკეთეობისა თუ ყონაღობის ფიცის დადება ერთ-ერთის დედის თანდასწრებით ხდებოდა. „ფიც-ვერცხლნაჭამნი“ (ვაჟა), ვალდებული იყვნენ ურთიერთისათვის დახმარება გაეწიათ, დაეცვათ ერთმანეთი და განსაკუთრებით ერთი მეორეს დახმარებოდნენ მოქიშპეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ოჯახებსა და საგვარეულოებს შორის კერძმოკეთეობა, პირველად დაკერძებული მამაკაცების სიკვდილის შემდეგაც არ წყდებოდა და, ისტორიის სიღრმეში შობილი ეს ჩვეულება და წინაპართა ნაანდერძევი ფიცის სიტყვები, შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემოდა, რომელშაც ჩვენამდეც მოაღწია. საინტერესო ის არის, რომ წინაპართა მიერ ერთხელ დადებული ფიცის შემდეგ, კერძმოკეთეობა შთამომავლობას

ამ ცერემონიის გარეშე გადაეცემოდა, ფიცი მხოლოდ პირველ დაკერძების დროს იდებოდა. ალექსი (გაბრიტიანთი) გობეჯიშვილი (სოფ. ჭიორა) მოგვითხრობს: ოჯახში უფროსები სშირად გვიყვებოდნენ კერძების შესახებ, დედაკაცები ყოველ სადღესასწაულო დღეებში შინ ცარცლის წინ ლოცვით წარმოთქვამდნენ თითოეული კერძის სალოცავ სიტყვებს, ღმერთს მათ ბედნიერებას შესთხოვდნენ, შემდეგ შინა კაცების ლოცვას ძოსდგებოდნენ. ბავშვებს საგანგებოდ გვასწავლიდნენ კერძების ენას, მათ სახელებს, მიგვანიშნებდნენ აუცლებს. თან გვეუბნებოდნენ ჩვენს წინაპრებთან ფიც-ვერცხლნაქამნი არ დაივიწყოთო, მათი ოვედით ვცხოვრობდით, მათით ვეპამდით ლუკმაპურსო. ეშობლების კ: ანდერძი მუდამ გვახსოვდა და მამების სიკვდილის შემდეგ შვილები ვაკერძელებდით ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან კერძოკეთებობასო.

ფიცის დადება ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს სისხლის შერევითაც სცოდნიათ, ეს ჩვეულება განსაკუთრებით სვანებსა და მის მოსაზღვრე მალყარლებსა და ყარაჩაველებს შორის ჩანს, მოფიცარნი ცერებს გაიკაწრავდნენ და სისხლიანი პირებით თითებს ისე გადააჭდობდნენ ერთმანეთზე, რომ სისხლი კარგად შერეულიყო. ასე კეთდებოდა ფიცის განმტკიცებისათვის. ფიცით მტკიცდებოდა აგრეთვე ყონაღობა, ძმადნაფიცობა, ადიღური „ტხარიოშ“, რომელსაც განსაკუთრებული ძალა ენიჭებოდა, როცა ადიღლები მთიდან ბარად ჩავიდოდნენ, ჩაჩნური „ძმათა საზოგადოება“ე. წ. „ტაიპ“,-ი რომლის ყველა წევრი ერთმანეთის ძმებად „ვოშა“-დ ითვლებოდნენ. მათ შორის ქორწინება მეთორმეტე მოდგმის შემდეგაც კი იკრძალებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი და ამის მსგავსი ხელშეკრულებისა და ფიცის დადების დროს ვერცხლისა და რძის გამოყენება ან სისხლის შერევა, სხვა ისტორიულ და თანამედროვე ხალხებშიც დასტურდება, მაგალითად, მცირე აზიის ხალხებში, სკვითებში, სლავებში, გერმანელებში, კელტებში, სერბებში, ბულგარელებში, ანტიკურსა და შუა საუკუნეების ევროპაში, აფრიკასა და სხვ. მაგრამ ქართული კერძმოკეთე-

ობა, ჩრდილოკავკასიური ყობაღობა და, საერთოდ, სტუმარ-მასპინძლობის წეს-ჩვეულებები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებოდა. ეს კი უშთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ წარსულში კავკასიაში გაფანტულ უამრავ სსვადასხვა და მონათესავე ტოტებსა და ხალხებს შორის აღგილი ექნებოდა მუდმივ მტრობასა და სისხლის ღვრას, თუ მათ შორის თავიდანვე არ დამყარდებოდა მეგობრობის მჭიდრო კავშირი კერძოკეთეობისა და ყონაღობის სახით, რომლებიც უაღრესად ახლო ნათესაური დამოკიდებულებებით გამოირჩეოდნენ. ამრიგად, მთიელთა დაუწერელი კანონები, ჩვეულებების სახით, ხელს უწყობდა ხალხთა დაახლოებას. მათ შორის ურთიერთობის განმტკიცებას, ტერიტორიულად დაშორებულ ხალხებს საშუალება ეძლეოდათ ერთმანეთში კეთილმეზობლური და საქმიანი მიმოსვლა ჰქონოდათ.

ფიცის დადების შემდეგ, კერძოკეთეებს შორის მეტად ახლო ურთიერთობა მყარდებოდა. „ძმადნაფიცები" მთელი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთის უახლოეს ადამიანებად იქცეოდნენ. ასევე ხდებოდა ყონაღობის დროსაც. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ურთიერთობანი დროთა ვითარებაში ხელოვნურ ნათესაობაში გადაიზრდებოდა.

კერძოკეთეობის ჩვეულება აკავშირებდა როგორც შეფიცულებს, ისე ორივე მხარის ნათესაობას და მათ შორის, პირველ ყოვლისა, საქორწინო კავშირი იკრძალებოდა, ასევე „ძმადნაფიცობა" გაფიცულთა შორის ეკზოგამიას აწესებდა.

რაჭველებს კერძი კაცებს გარდა, მთის იქითა აულებში დობილებიც ჰყავდათ. მეგობრული კავშირი მათთანაც ფიცით მტკიცდებოდა.

დაკერძება ერთსა და იმავე აულში ერთხელ და ერთ ოჯახთან ხდებოდა. არ შეიძლებოდა შენი კერძი ამავე დროს სხვისი კერძიც ყოფილიყო. კერძად ითვლებოდა პირველ დაკერძებული მამაკაცი, ხოლო მისი ცოლი—დაკერძებული მამაკაცის დობილად. ოჯახის სხვა დანარჩენ წევრებსა და ნათესავებსაც კერძებს ეძახდნენ. კერძის ცოლეულობას ისევე უყურებდნენ, როგორც საკუთარი რძლის ნათესავებს და, მათზე ასე ამბობდნენ: კერძის ცოლი — ჩვენი რძალი, ჩვენი

დობილი, კერძის შვილი, კერძის სიძე-ქალიშვილი, კერძის ძმა, კერძის ბიძაშვილი, კერძის მეზობელი და ა. შ. ყოველი დასახელების წინ კერძის ხსენება განსაზღვრავდა პიროვნების ვინაობასა და ნათესაობის ხასიათს, ამავე დროს, ეს ოჯახისა თუ საგვარეულოს უფროსი მამაკაცის, კერძი კაცის საპატივცემლოდ ხდებოდა. ქართველი მთიელები კერძებს ყველას ერთნაირი გულთბილობით იღებდნენ ოჯახში და დიდი პატივისცემით ისტუმრებდნენ შინიდან. ქართველ ყონაღებსა და მათ ნათესავებსაც ასევე თავისუფლად შეეძლოთ კერძებთან მიმოსვლა და მოსვენება.

მამაკაცების დაკერძების შემდეგ საგალდებულოდ ითვლებოდა მათი ოჯახის წევრების ერთმანეთთან დაახლოება. ოჯახში ხელცარიელი, უსაჩუქროდ არ მივიდოდნენ, უბარაქობა არ დაებედოთო. რაჭველს კერძთან რიგრიგობით მიჰყავდა ვაჟიშვილები. ძმები, ბიძაშვილები, კერძი, მისი ოჯახი, ნათესავები და მეზობლები, რომ გაეცნოთ. მამაკაცებისათვის საჩუქრად მიჰქონდათ: წიხლები, პაჭები, სამუშაო და საბრძოლო იარაღები. დედაკაცებისათვის კი — აბრეშუმის მანდილი, ფართლეული, ხილეული და სხვადასხვა წვრილმანი. კერძები კი ყონაღებს მეტწილად პირუტყვით ასაჩუქრებდნენ. ამას გარდა, საჩუქრად აძლევდნენ: მატყლს, ჩოხა-ნაბადს, ყაბალახს, ნაბდის ქუდს, შალის ქსოვილს, ტყავეულსა და სხვ.

ვეტად საამაყო და აუცილებელი იყო ვაჟკაცისათვის კერძის, ყონაღის ყოლა. ყმაწვილი კერძის გარეშე რომ არ დარჩენილიყო, ძმები გაყოფის დროს სახლ-კართან და ქონებასთან ერთად კერძებსაც ყოფდნენ. გაყოფის შემდეგ, ვის რომელი კერძი შეხვდა, მთას იქით კერძმოკეთეებს ატყობინებდნენ. კერძებს იყოფდნენ უფროს-უმცროსობით, უფროსი კერძი — უფროსი ძმის ხვედრი იყო, უმცროსი — უმცროსი ძმისა და ა. შ. ყონაღებისა და ემჩეკების გაყოფის ანალოგიური ჩვეულება მალყარელ და ყარაჩაველ მთიელებშიც დასტურდება. მრავალსულიან ოჯახებში ყველა სრულწლოვან მამაკაცზე კერძებისა და ყონაღების გაპირობება რომ ხდებოდა, ამ შემთხვევაში პირველ დაკერძებულ ოჯახებს შორის, კერძმოკეთეობა როდი წყდებოდა, ისინი ძველებურად კვლავ

ერთმანეთის კერძმოკეთეებად რჩებოდნენ, გაყოფის საშუალებით მხოლოდ კერძმოკეთეობის წრე ფართოვდებოდა.

ეგჩეკების გაყოფასთან დაკავშირებით, ჭალყარში საინტერესო წესი სრულდებოდა, გაყოფის შემდეგ ახალგაზრდა ტაუბიები (მთის აზნაურები), რომლებიც კერძმოკეთეობით იყვნენ რაჭველ მთიელებთან დაკავშირებული, როცა დაქორწინდებოდნენ, რამდენიმე ნეფე-დედოფალი ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს თავისი მაყრიონით ფასის მთით რაჭაში გადმოდიოდა და ღებსა და ჭიორაში ყველა თავის ეგჩეკს (ძუძუთ ძმას) ესტუმრებოდა. ეგჩეკები მათ საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ და შეძლებისდაგვარად საჩუქრებსაც მიართმევდნენ, რომელსაც „ბერნე"-ს უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ რწმენის სხვაობასა თუ პოლიტიკურ ცვლილებებს კერძმოკეთეობის საუკუნოვანი ტრადიციები ვერ შეუფერხებია.

ქრისტიანი ქართველები მამაპაპური წესით—ჩვეულებრივი გულთბილობითა და ძმური სიყვარულით — აგრძელებდნენ მუსულმან ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან კერძმოკეთეობას.

ეფროსინე (ჯაჯოენთი) ლობჯანიძის გადმოცემით, ერთხელ მათ ოჯახს სოფელ ღებში საახალწლოდ მალყარელი კერძი — მუსულმანი მუხა ჯარაშტალარიანი სწვევია და სტუმრად ექვსი თვე დარჩენილა. მუხა ოჯახში ჯალაბად მიუღიათ, დიდი პატივი უცია და დიდადაც დაუფასებიათ. ეფროსინეს მამას ალექსის კერძის ხათრით საახალწლოდ შინ ღორი არ დაუკლავს, მუხას არ ეწყინოსო და საკლავი მეზობელთან გაუმზადებია.

მეტად საინტერესო ისაა, რომ კერძმოკეთეობა არა მარტო ცალკეული პიროვნებების ურთიერთობით გამოიხატებოდა, არამედ შეიძლებოდა ერთი თემი ან ერთი ეთნიკური ჯგუფი მეორე თემის, ან მეორე ეთნიკური ჯგუფის კერძი გამხდარიყო, ან ერთი მხარე-ხეობა, მეორე მხარე-ხეობის კერძი ყოფილიყო. მთხრობელთა დასტურით რაჭის მოსაზღვრე დიგორი მთის რაჭის კერძი ყოფილა, დიგორის აულები ჯინალავი და ნავაყავი კი სოფელ ჭიორის კერძი. მხარეებისა და სოფლების

დაკერძება განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენასთან იყო დაკავშირებული. ხშირად მეზობელი მეოვლები ერთმანეთში მეგობრობის ფიცს დებდნენ და ერთიანი ძალით ილაშქრებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გამარჯვებული ერთი მხარე ან ერთი სოფელი მეორე მხარის, ან სოფლის კერძი ხდებოდა, ნიშნად საუკუნო მეგობრობისა.

კერძმოკეთეები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ მიცვალებულის დატირებისა და გლოვის წესების შესრულებისას. ისინი უბედურ შემთხვევას ერთმანეთს „განმცხადებლის" პირით ატყობინებდნენ, რომელსაც მალყარში „კუღუნ"-ს უწოდებენ. ასევე, როცა ძმადნაფიცი მოკვდებოდა, მისი ნაფიცსაცები მეორე მხარეს ხატში მიიწვევდნენ, საღაც ძმადნაფიცთა შვილები და შვილიშვილები ერთად ასრულებდნენ მიცვალებულთა „სულის ხარჯებს".

რაჭულ ხალხურ გადმოცემებს სამგლოვიარო ცერემონიალებში კერძმოკეთეობის მონაწილეობის საინტერესო მაგალითები შემოუნახავს. ნესტორ ყაყეენთის (რეხვიაშვილის, სოფელი ჭიორა) გადმოცემით, მისი პაპა ბადი რომ გარდაცვლილა, დიგორელი კერძები სამძიმრის სათქმელად მოსულან. ბადის შვილი ივანე ამ დროს მთას იქით ყოფილა სამუშაოდ წასული და მამის სიკვდილი არ სცოდნია. შინ მიმავალს მთაში ბოულოდნელად შეჰყრიან სატირლიდან დაბრუნებული კერძები, რომლებიც ივანეს დანახვისთანავე შეჩერებულან, ნიშნად მისი პატივისცემისა, და წესისამებრ მისამძიმრების თადარიგს შესდგომიან: ჯერ ქამარ-ხანჯალი შემოუხსნიათ, იქვე დაუწყვიათ და შემდეგ უთქვამთ სამძიმარი, მათ შორის უფროსი მამაკაცი წინ წამომდგარა და შეუძახნია. „რუხსაგ უ ბადი" აცხონოს ბადიო. მაშინ შეუტყვია ივანეს მამის გარდაცვალება და მშობელი კერძებთან ერთად მამაპაპური წესით იქვე დაუტირია.

კერძმოკეთეები მიცვალებულისა და მისი ოჯახის პატივისცემას იმითაც გამოხატავდნენ, რომ საქორწილო თუ სხვა სალხინო წვეულებებში არ მონაწილეობდნენ და თავიანთ ოჯახებშიც კრძალავდნენ ცეკვა-სიმღერას. კერძები სატირალში ხელცარიელი არ მიდიოდნენ. დაზარალებული ოჯახისა-

თვის ხელი რომ მოემართათ, მიჰყაედათ საკლავი, მიჰქონდათ პურ-ღვინო, არაყი და სხვა შესაწირავი.

ჯიხვებზე სანადიროდ მიმავალ ქართველ მონადირეებს კერძების იმედით მთაში საგზალი არ მიჰქონდათ. მათ კერძები ყველაფრით ამარაგებდნენ, რასაც მოითხოვდნენ, მაგრამ თუ კერძს მათი დაკმაყოფილების საშუალება არ ჰქონდა,, მაშინ სანადიროდ ისიც მიდიოდა და მთელ ნანადირევს ყონაღს უთმობდა, თუ თვითონ ხელი მოეცარებოდა. სხვას გამოართმევდა და მაინც მისცემდა, რომ ყონაღი უკმაყოფილო არ გაეშვა, თუ ამასაც ვერ მოახერხებდა, ეს კერძის დიდ სირცხვილად და სტუმართმოყვარეობის წესის დარღვევად ითვლებოდა.

საინტერესოა, რომ საჩუქრების მირთმევის ასეთ ჩვეულებას ადიღლებში სტუმრის განსაკუთრებული სახე წარმოადგენია, რომელსაც იქ „ხაჩეუკაო"—სტუმარმოთხოვნელი ეწოდება. თუ ოჯახის საჭიროება მოითხოვდა, „ხაჩეუკაო" დასმარებისათვის თავის ყონაღს მიმართავდა. ამ შემთხვევაში სავალდებულო სტუმართმოყვარეობის გარდა, ყონაღს გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობრის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და გულუხვობა უნდა გამოეჩინა და ალალად გაეცა საჩუქრად ის, რასაც „ხაჩეუკაო" მოსთხოვდა პირუტყვისა თუ სხვათა სახით. აღნიშნული უპირატესობით მხოლოდ და მხოლოდ შორეული სოფლებიდან მოსული სტუმრები სარგებლობდნენ. თვით ადიღლები ჩვეულებრივი სტუმრობისას ერთმანეთს საჩუქრებს არ მიართმევდნენ. ამ მხრივ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების კერძოკეთეობა განსაკუთრებული გულუხვობით გამოირჩეოდა, შრომასა და ბრძოლაში მტკიცდებოდა მათი ძმობა და მეგობრობა. კერძოკეთეები ჭირისა და ლხინის მოზიარენი ხდებოდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ხშირად ეს თავგამოდება თავგანწირვამდეც კი მიდიოდა.

შეჯალაბება

ქართველი ისე თავისუფლად გრძნობდა თავს კერძის ოჯახში, როგორც საკუთარ სახლში, მას პატივს სცემდა არა მარ-

ტო კერძი და მისი ცოლ-შვილი, არამედ მთელი მათი ნათესავები და საგვარეულო, მეზობლები და აულის მოსახლეობა. ასევე ქართველის ოჯახში იმდენად საპატიოდ ითელებოდა კერძის სტუმრობა, რომ მთიელთა მაშინდელი ადათით, თუ კერძი ოჯახში ასაკით სხვებზე უფროსი აღმოჩნდებოდა, ოჯახის უფროსობის უფლებაც კი ეძლეოდა. მასპინძელი ხნოვანებით უფროს კერძს საუფროსო სკამსაკარცხულს უთმობდა. კერძი შინაურივით წარმართავდა მეგობრის ოჯახის სამეურნეო საქმიანობას. ჯალაბის ყველა წევრი ემორჩილებოდა კერძს, მისი სიტყვის შებრუნებას ვერავინ ბედავდა. ყარაჩაული და მალყარული ჩვეულებებითაც ასე ხდებოდა.

თუ კერძმოკეთეები ერთმანეთთან ოჯახებით მოხედებოდნენ სტუმრად, ნათი ოჯახები დროებით ერთდებოდნენ, რასაც „შეჯალაბება“ ეწოდებოდა. ასე გაერთიანებულ ოჯახებში ჩვეულებრივ უმცროს-უფროსობის წესი არ ირღვეოდა, ჯალაბად შესულნი ოჯახში იმავე უფლებით სარგებლობდნენ, როგორითაც ძირითადი ოჯახის წევრები. საოჯახო საქმეებს უფროსი მამაკაცი და დედაკაცი განაგებდნენ, კერძის შვილები მათ დედობითა და მამობით მიმართავდნენ, თვით ბავშვები კი ერთმანეთს და-ძმობას ეფიცებოდნენ. საოჯახო სამეურნეო საქმიანობაში ყველა შრომისუნარიანი მონაწილეობდა, შრომისაგან ანთავისუფლებდნენ მხოლოდ დავრდომილებს, სულით ავადმყოფებსა და მოხუცებს, მაგრამ, თუ თვით ისურვებდნენ რაიმე საქმიანობის შესრულებას, ამაში ხელს არავინ უშლიდათ. ოჯახში, როგორც წესი, მამაკაცები და დედაკაცები პურის საქმელად ცალ-ცალკე სხდებოდნენ, მშობლები ერთნაირი გულთბილობით ეპყრობოდნენ თავისა და კერძის შვილებს. შეჯალაბებული ვალდებული იყო პატივისცემით მოჰკიდებოდა ძირითადი ოჯახის რელიგიურ, ეროვნულ წეს-ჩვეულებებს—დაეცვა მამაპაპური წესები შინ და გარეთ, მონაწილეობა მიეღო ყოველგვარ საოჯახო თუ სასოფლო-საზოგადოებრივ საქმიანობა-ცერემონიალებში, ჭირისა და ლხინის მოზიარე გამხდარიყო. ეს ასეც ხდებოდა, ამიტომ შეჯალაბებულთ ყველა პატივისცემით ეპყრობოდა.

დიგორიდან გადმოხვეწილი ყურმანა ყუჟელოვი სოფელ

ჭიორაში მათე (სოლოღანეენთი) რეხვიაშვილის ოჯახს შეჯალაბებია. ყურმანა მათი მამაპაპური კერძი ყოფილა და, როცა გასჭირვებია, მფარველობა ქართველი ყონაღისათვის უთხოვია, რომელსაც დიდი პატივით მიუღია ყურმანა ჯალაბად და, როგორც ასაკით ყველაზე უფროსი, მისთვის ოჯახის უფროსობაც დაუთმია, თავის სკამსაკარცხულში ჩაუჯენია. ორი წელი უცხოვრია ყურმანას მათე რეხვიაშვილის ოჯახში, შემდეგ საჩუქრებით გაუცილებიათ შინ.

კერძებიც ასეთივე სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ ქართველი მეგობრებისადმი. იგივე მათე რეხვიაშვილი ერთხან დროებით თავის ცოლ-შვილით ალაგირელი კერძის— ბიბბულათის ოჯახს შეჯალაბებია. კერძი ასაკით მათეზე უფროსი ყოფილა და მთელი ოჯახი მისი მეთაურობით საქმიანობდა, მათე და მისი ცოლ-შვილი ჩვეულებრივ ისევე მონაწილეობდნენ საოჯახო სამეურნეო სამუშაოებში, როგორც ბიბბულათისა. მათი სუფრაც განუყოფელი ყოფილა, თუ მამაკაცი თავის ცოლ-შვილისათვის რაიმეს იყიდდა, აუცილებლად ისეთივე კერძის მონაგრისათვისაც უნდა შეეძინა, რომ საწყენი საქმე არ ჩაედინა. წელიწად-ნახევარი უცხოვრია მათესა და მის ცოლ-შვილს კერძის ოჯახში და, ბოლოს, როგორც კარგი ნათესავები, ერთმანეთს გულისტკივილით დაშორებიან.

მთის რაჭის სინამდვილეში კერძის დროებით შეჯალაბების გარდა, ოჯახში მათი მუდმივი წევრად მიღების ჩვეულებაც დასტურდება, ეს იგივეა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ამანათობა (ოღონდ ეს ტერმინი რაჭაში არ იხმარება). კერძს, რომელიც ოჯახისა და თავის დაცვის მიზნით მკვლელობას ჩაიდენდა ან მებატონეს შეურაცხყოფდა, სისხლის აღებისა და შურისძიების შიშით აულში აღარ ედგომინებოდა და ამჯობინებდა თავისი ოჯახით სხვაგან გადახვეწილიყო, რომელიმე ძლიერი საგვარეულოსათვის შეეფარებინა თავი. ამ შემთხვევაში მას გვარი უნდა გამოეცვალა და იმ გვარზე დაწერილიყო, ვისთანაც ჯალაბად შედიოდა, აგრეთვე მათი საოჯახო და საგვარეულო ადათ-წესების, რელიგიური ჩვეულებების მონაწილე და პატივისმცემელი უნდა გამხდარიყო. ასეთ შემთხვევაში ოჯახი უცნობთან როდი ში-

დიოდა, პირიქით თავის მამაპაპურ კერძსა თუ ყონაღს შესთხოვდა მფარველობასა და შეჯალაბებას. კერძის მხრივ, უარის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან სტუმართმოყვარეობის ჩვეულებით ეს დიდ სირცხვილად და დანაშაულად ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ ახალი წევრების ჯალაბად მიღებას ყოველთვის დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, რაც ფიცის დადებით აღინიშნებოდა. ჯალაბად შესვლის შემდეგ, კერძის ოჯახის შეურაცხყოფას მათი მოსისხლე მტრებიც კი ვეღარ ბედავდნენ, რადგან ეს მათი ოჯახისა და საგვარეულოს აღშფოთებას გამოიწვევდა, თანაც მათ ასეთ საქციელს ბასპინძლები აბუჩად აგდებად, თავის დამცირებად მიიჩნევდნენ და მათ ხელყოფას არავის აპატიებდნენ.

XIX საუკუნეში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა უკმაყოფილო გლეხების თავისი მებატონეებისაგან გაქცევა გამხდარა. მთას იქიდან გადმოხვეწილი, ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მრავალი კერძოკეთე შეუფარებიათ თავისი ოჯახით ქართველ მთიელებს.

ნიკო სიმონის ძე გავაშელის (სოფ. ღები) გადმოცემით, მათ წინაპარს—გვარად თოქათის—დვალეთის აულ გალიათას უცხოვრია, ავი ბატონი ჰყოლია, მისი ავკაცობა ვეღარ აუტანია და მოუკლავს. ამის შემდეგ თოქათის ოჯახი, ორი ძმა ცოლ-შვილით რაჭაში გადმოხვეწილან და ღებელი ყონაღის—გავაშელის ოჯახში ჯალაბად შესულან, მათი გვარი მიუღიათ და ერთ დიდ ოჯახად ცხოვრება დაუწყიათ. ამ დროს გავაშელების სახელგანთქმული და ძლიერი საგვარეულოს მფარველობის ქვეშ შესვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონია დევნილი ოჯახის გადასარჩენად, რადგან გავაშელების ოჯახის შეურაცხყოფას ვერავინ გაბედავდა და თოქათებსაც მშვიდი ცხოვრება ექნებოდათ. მხოლოდ დროთა ვითარებაში გაყოფილა გავაშელების დიდი ოჯახი, თოქათის შთამომავალნი ცალკე ოჯახად გასულან და კვლავ გავაშელის გვარს ატარებენ, განაყოფი ოჯახები ერთმანეთის მოძმეებად თვლიან თავს, ჭირსა და ლხინში ერთად არიან, თოქათელებმა მხოლოდ გადმოცემით იციან, რა გვარისა და სადაურნი არიან.

საინტერესო ისაა, რომ ქართველი ხიზნების ჩრდილოკავ-

კასიელ მთიელთა ოჯახებშიც ჯალაბად მიღების ანალოგიური წესი ჰქონიათ. ოდითგანვე ქართველი ხიზანი გლეხებისა თუ დიდებულების თავშესაფარი ყოფილა; მალყარი, ყარაჩაი, დიგორი, ბასიანი, დვალეთი, ყაბარდო, ადიღე, „მინდვრის ოსეთი". თავშესაფარის თხოვნასთან დაკავშირებით ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ასეთი წესი სრულდებოდა: თავშესაფარის მთხოვნელი ხელით უნდა შეხებოდა იმ მასპინძლის ჩოხის კალთას, ვისი მფარველობის ქვეშ ყოფნაც სურდა, და ეთქვა: შენი მფარველობის ქვეშ შემოვდივარო.

ღებიდან რაჭის ფეოდალების ურჩობას გაქცევია ქუჩუკ ლობჯანიძე, რომელსაც მალყარელი კერძის მამაგომედა ბატაშევის ოჯახში შეუფარებია თავი. გენერალ ერისტოვს 1849 წლის 30 ივნისს ბრძანება გაუცია მებატონეების წინააღმდეგ მებრძოლი რაჭველი გლეხის ძებნა-დაპატიმრების შესახებ.

რაჭველი მებატონე ჯაფარიძის წინააღმდეგ მებრძოლი ჰიორელი ჩაგელიშვილების მთელი ოჯახი—ხუთი ძმა და ერთი და: გიორგი, ოთარი, პეტრე, შალიკა, ბასია ცოლ-შვილით, დათინა, მებატონეების რისხვა რომ ასცდენოდათ, რამდენიმე წლით დიგორში გადახვეწილან და კერძებს შეჯალაბებიან.

საინტერესო ის არის, რომ ამ ხალხურ გადმოცემას ნათელი მოჰფინია ქუთაისის სახელმწიფო არქივში ნაპოვნმა თვით ხოსიკ ჯაფარიძის ხელით დაწერილმა 1863 წლის 11 მაისის საბუთმა, რომელშიც ნათქვამია: „მარადის სრული წინააღმდეგობა მათ მიერ, და ქადილი ჩემი მოკვლისა... მას მერმეთ იქნება 15 წელიწადი მე და უბნის უფროსი, რომელიც გაგზავნილი იყო ყმა ჩაგელიშვილების ჩემს მორჩილებაში მოსაყვანად, კიღამე მოგვკლეს, შემოგვერტყენ ირგვლივ სახლზედ, რომელშიდაც ვიყავით გატენილის თოფებითა, მაგრამ დაგვიხსნა ჩვენ მათგან მაზრის უფროსმა, რომელმაც მოიყვანა შეიარაღებული ხალხი. როგორც კი მოვიდა მაზრის უფროსი თავისი რაზმით, ისინი მაშინთვე გადაცვინდნენ ოსეთში და იმალებოდნენ იქა ხუთი წელიწადი."

გარეშე მტრების შემოსევებითა თუ შინაური არეულობით გაპარტახებული სოფლების აღდგენა-განახლებასა და იქ

მოსახლეობის მომრავლებას დიდად უწყობდა ხელს კერძმოკეთეობა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, განსაკუთრებით ჯალაბად შესვლა, რომლებიც საგვარეულოებისა და ოჯახების ახალი წევრებით შევსებისა და მოსახლეობის ზრდა-განვითარების ერთ-ერთი მთავარი საშუალება გამხდარა.

ყარაჩაიში მეტად საინტერესო სიმბოლური წესით სრულდებოდა ჯალაბად მიღება. გადმოხვეწილებს გვარში მიღების წინ გაატარებდნენ ჯოხის ქვეშ, რომელიც ამ საგვარეულოს უხუცესებს ეჭირათ ხელში, მათ „მიმღებთ" ეძახდნენ. ჯოხის ქვეშ თვით მიმღებ უხუცესებსაც უნდა გაევლოთ. ამ წესით გვარში მიღებულთ **„ჯოხისქვეშა ძმებს"** უწოდებდნენ, მათგან განსხვავებით, ნამდვილ ძმებზე ამბობდნენ, **„ცეცხლის მოზიარე"** ან **„სისხლით ძმები"** არიანო. მათ ოჯახის გაყოფისას ცეცხლის წილიც ეძლეოდათ ნაკვერცხლების სახით ახალი კერის გასაჩაღებლად, ასეთი პატივი შეძენილ, ანუ „ჯოხისქვეშა ძმებს" არ ჰქონიათ.

შეჯალაბების ჩვეულებით, გვარის კაცად უცხო პირის მიღება ორმხრივ სასარგებლოდ ითვლებოდა. ერთი მხრივ, უცხო კაცი ხდებოდა გვარის სრულუფლებიანი წევრი, რომელსაც ჯალაბი მფარველობასა და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა. მეორე მხრივ, ახალი წევრის მიღება გვარს, ოჯახს მეტ ძალასა და სიმტკიცეს მატებდა, რადგან გვარის სიდიადე და ავტორიტეტი იმ დროს მამაკაცთა სიმრავლით განისაზღვრებოდა. გვარის გაძლიერების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა რაჭული სხვისშვილობა,[1] რომელიც ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიულ კავშირ-მეგობრობას, ურთიერთშორის კერძმოკეთეობასა და ჩვილ ყრმათა აღსაზრდელად დროებით გაშვილება-გაბარების ადათ-წესს გვისურათებს.

კერძობას ამავე დროს ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა, ამიტომ ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის საქმიანი კავშირურთიერთობა და მიმოსვლა არ წყდებოდა. მთის რაჭველ კაცს შინ გული არ უდგებოდა. სამუშაოს

---

[1] ს. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ეურ. „ცისკარი" I. 1974, გვ. 133—142.

ეძებდა და ვაჭრობაზე ფიქრით თვალი მთას იქით ეჭირა. ხალხური გამოთქმით „აქაური კაცი მუდამ გზას იყო გაკრული“, ე. ი. სულ მგზავრობაში იყოო.

მგზავრად წასვლა

შორი და საპიფათო გზა მგზავრის საგანგებო მომზადებას მოითხოვდა. ამიტომ წინასწარ დიდი სამზადისი იყო ოჯახში, როცა შინაურებს სავაჭროდ ან სამუშაოდ მთას იქით მიაცილებდნენ. გარიჟრაჟზე ბიდიოდნენ, სოფელს რომ ეძინა, როგორც რაჭველები ამბობენ, სანამ „ბზე ამოიწვერებოდა“. ეს იმიტომ, რომ „ავი თვალისა“ და „ცუდი ფეხის“ ადამიანების შეხვედრა თავიდან აეცდინათ. გვერდს უვლიდნენ „ავი სულების“ სადგომად მიჩნეულ, ე. წ. ნაძრახ ადგილებს. მგზავრობდნენ მხოლოდ სამშაბათობითა და ხუთშაბათობით, რადგან მათ სავსე და ბედიღბლიან დღეებად თვლიდნენ. დანარჩენ დღეებს, როგორც კვიმატიან და ნაკლულ დღეებს, არ ენდობოდნენ. მგზავრები ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე შინიდან გარეთ არ გავიდოდნენ. რაჭველები, უძველესი ადათ-ჩვეულების მიხედვით, მკაცრად იცავდნენ მგზავრად წასვლის წესებს. პირველი მამლის ყივილისას მგზავრად წამსვლელნი და მათი გამცილებელი ოჯახის წევრები აიშლებოდნენ. უფროსი დიასახლისი ყველას დაასწრებდა ადგომას და საგზლის მზადების თადარიგს შეუდგებოდა. პურებსა და ბაჭულებს აცსობდა, ლორს ხარშავდა, ქერის ხალასა და არაყს გუდაში ალაგებდა, თუ მარხვა იყო, ხორცეულს არ ჭამდნენ, ეს ცოდვად ითვლებოდა, ხმელი პური, ხილი, ფხალეული, თევზეული, ტყის ხილი და უმად საჭმელი ბალახები იყო მათი მთავარი საკვები. მარხვა ექვსი კვირა გრძელდებოდა თებერვალ-მარტში. მეტად საინტერესო წესი სრულდებოდა მთის რაჭაში დიდმარხვის დაწყება-დამთავრების გასაგებად. დადგებოდა თუ არა დიდმარხვა, ქათმის ექვს ცალ ნაფტკენს აქა-იქ ჩაასობდნენ ხის პატარა კუნძზე ან მიწის გუნდაზე და საფრთხობელასავით შინ კერიის ახლო დედაბოძზე დაჰკიდებდნენ, მას „ლომპაპს“ ეძახდნენ, ამით ბავშვებსაც აშინებდნენ და მგზავ-

რებსაც თან მიჰქონდათ ეს თილისმა. რამდენი კვირაც გავიდოდა, იმდენ ნაფტკენს ამოიღებდნენ და გადააგდებდნენ. ნაფტკენის გამოლევა დიდმარხვის დამთავრებასა და აღდგომის დადგომას იუწყებოდა. იწყებდნენ ხორცეულის ჭამას, რასაც გახსნილებას უწოდებდნენ. ამას გარდა, დიასახლისი შელოცვილ ავგაროზებსა და ხის პატარა ჯვარს მისცემდა მგზავრს, გზა მშვიდობისა და ფულის ბარაქა ექნებაო. შინაურებში არჩევდნენ „კარგ წინდამხვდურს", „კარგი ფეხის" ადამიანს, ნაკვერჩხლებით სავსე ტაფით ხელში მგზავრს წინ დაუხვდებოდნენ, იგი მგზავრს წინ გაუბნევდა ნაკვერჩხლებს, პირჯვრის წერით, ლოცვა-ვედრებით სამჯერ წაღმა დაბრუნდებოდა, თან იძახდა:—ასე წაღმა დააბრუნოს გამჩენმა მგზავრის საქმე და შინ მშვიდობით მოიყვანოსო. დიასახლისი განატეხს გატეხდა, მგზავრს სამჯერ წაღმა დააბრუნებდა, ვარცლის წინ პირჯვარს გადაიწერდა და სახლის წმინდა ანგელოზებს შესთხოვდა, — ჩვენს მგზავრს მშვიდობით მგზავრობა მიეცი. მერე შუა ცეცხლის პირას კერიასთან სუფრას გაშლიდა, პირველად სუფრის თავში მჯდომი უფროსი მამაკაცი დასწვდებოდა განატეხს, სამჯერ წაღმა შემოაბრუნებდა და იმის მიხედვით, თუ რომელ სოფელში სრულდებოდა ეს წესი, პირჯვრის წერითა და ლოცვა-ვედრებით ყველა თავის სოფლის სალოცავს მოიხსენიებდა. ლოცვა-ვედრების შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცი განატეხს გატეხდა და პურის ჭამას შეუდგებოდნენ. თითო-ოროლა ჭიქა ღვინოს დალევდნენ, მგზავრს ბედნიერ მგზავრობას უსურვებდნენ და გულთბილი სიტყვებით აჰბნევებდნენ.

ცისკრის ვარსკვლავის გამოჩენას რომ ახარებდნენ ოჯახს და მგზავრის შინიდან გასვლის წუთები დადგებოდა, არ შეიძლებოდა ამ დროს ოჯახში ფეხზე მდგარიყო ვინმე. ოჯახის უფროსი მამაკაცი იტყოდა:—დაჯექით! ყველანი დასხდებოდნენ. ერთი-ორი წუთის დუმილის შემდეგ პირველად უფროსი მამაკაცი წამოდგებოდა, მას სხვებიც მიბაძავდნენ. პირჯვრის წერით მამაკაცი კარისაკენ გასწევდა, სხვებიც მიჰყვებოდნენ და ლოცვით მიაცილებდნენ მგზავრს. ეს რიტუალი სოფლიდან მიმავალი ყველა მგზავრის ოჯახში სრულდებოდა.

მერე სოფელში დათქმულ ერთ ადგილზე შეიყრებოდნენ და მგზავრები კოლექტიურად დაადგებოდნენ მთას იქით მიმავალ შორეულ და სახიფათო გზას. წინ მიუძღოდა მეთაური, რომელიც ასაკითა და სამგზავრო ცოდნა-გამოცდილებით ყველასაგან გამოირჩეოდა.

რაჭველები სავსე მთვარეზე მგზავრობას ამჯობინებდნენ, ეს დოვლათიანობის საწინდრად მიაჩნდათ. სავსე წავალთ და სავსე მოვალთო, — ამბობდნენ ისინი. გალეული მთვარე აშინებდათ, ჩვენც მის მსგავსად ნაკლული და უდოვლათო შევიქნებითო. თუ მგზავრად წასვლას ახალი მთვარე დაედრებოდა, ეს კარგიაო. როგორც კი ახალ მთვარეს თვალს მოჰკრავდნენ, მაშინვე შეჩერდებოდნენ, სამჯერ დაუწრუპუნებდნენ, თვალი არ ეცესო, და ლოცვა-ვედრებას მოყვებოდნენ. ყველა სათითაოდ იღებდა ფულს და მთვარეს ანახვებდა, ფულის იღბალი გვექნებაო. ისინი მთვარეს თვალმოუცილებლად შესცქეროდნენ, თან პირჯვარს იწერდნენ, ღმერთს მგზავრობაში შემწეობასა და ბედ-იღბალს შესთხოვდნენ. განსაკუთრებით ახარებდათ ახალი მთვარის იღბლიანი, მდიდარი კაცის ან ოჯახის თავზე მოულოდნელი, უცაბედი გამოჩენა, რაც მათი რწმენით ბედ-იღბლიანობას მოასწავებდა. თუ ახალ მთვარეს უბედური, ღარიბი და დაქცეული ოჯახის ან კაცის თავზე დაინახავდნენ, წუხდნენ—ღმერთო რა შეგცოდეთ ამის ფასი, რომ ახალი მთვარე უბედური კაცის თავზე დაგვანახვეო, თუ რამ შევცოდეთ ჩვენდა უნებურად, გვაპატიე და მშვიდობით გზა მოგვეცი.

ყოველ წუთს მოსალოდნელი ხიფათით აღსავსე სტიქიური მოვლენები შიშის ზარს სცემდა ბუნების მოვლენებში გაუთვითცნობიერებელ მორწმუნე მთის რაჭველებს და, სხვა ღონე რომ არ ჰქონდათ, ისინი მთის წმინდა ანგელოზების მომადლიერებაში ხედავდნენ ხსნას. მოსამადლიერებლად ასრულებდნენ მრავალ რიტუალს, რასაც სიმღერა-გალობით გამოხატავდნენ. უღელტეხილს მიუახლოვდებოდა თუ არა ქარავანი, წმინდა ადგილად მიჩნეულ კლდის ძირში მოთაური სანთლებს აანთებდა, განატეხს გატეხდა, თითო ლუკმას ყველას შეახვედრებდა და მერე სიმღერას დასძახებდნენ:

მთაო, გადგვიშვი, მაღალო,
რა ნისლი დაგიხვევია,
ჩვენსა სატრფოსა გადაღმა
სვა ვინმე გადახვევია.

სიმღერა-გალობას რომ მორჩებოდნენ, მგზავრები დაჩოქილნი ლოცვა-ვედრებას დაიწყებდნენ. ქუდმოხდილნი პირჯვარის წერით წარმოთქვამდნენ: აი, მთაო, მთის მთავარ ანგელოზო, გვიწინამძღვრე, ბედნიერი მგზავრობა მოგვეცი და შინ მშვიდობით დაგვაბრუნეო.

მთას იქით ყველა მგზავრი თავის კერძის ოჯახს მიაშურებდა. კერძები დიდი სიხარულით ხვდებოდნენ ქართველ მგზავრებს, თბილი ბინა და საჭმელი მათთვის მუდამ მზად იყო.

რაჭველების კერძებთან წასვლა დაკავშირებული იყო სხვადასხვა საქმიანობასთან. მათ უმეტესად ხელოსნობა, აღებ-მიცემობა აკავშირებდათ.

გარე სამუშაოზე გასვლა

რაჭაში არავის ახსოვს, ვინ იყო პირველი მოხელე, რომელმაც გუდა-ნაბადი აიკრა, პირქუში კავკასიონი გადალახა და სამუშაო იარაღებით კერძებს მოევლინა, როგორც მშენებელი თუ უბრალო მუშა-ხელოსანი. ერთი რამ კი ცხადია, ეს შორეულ წარსულში უნდა მომხდარიყო, რადგან რაჭველები უძველესი დროიდან ცნობილი არიან, როგორც გარე სამუშაოზე მოსიარულე ხალხი.

რაჭველ ხელოსანთა შრომა, ადგილზე დურგალთა და კალატოზთა სიმრავლის გამო, მუდამ იაფად ფასობდა, ამიტომ ხელოსანთა ამხანაგობების უმრავლესობა გარე სამუშაოზე გასვლას ამჯობინებდა. აქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდა, ისინი მცირე მოსავალს ღებულობდნენ და ოჯახს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდნენ. მკაცრ გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად ესეც ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა, რომ რაჭველ კაცს რაიმე ხელობა შეესწავლა და სამუშაო სხვაგან ეძებნა.

მოსავლის აღების შემდეგ, ოქტომბერში, მამაკაცების სამი

მეოთხედი გარე სამუშაოზე მიდიოდა, შინ მხოლოდ საღამოობით ბრუნდებოდნენ. 1904 წლის 11 იანვარს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ეწერა: „მთელი რაჭა ზამთრობით სამუშაოდ არის წასული, გაზაფხულზე მოვლენ სახლში და მოიტანენ, რასაც იშოვნიან ორი სამი თვის განმავლობაში, წვითა და დაგვით ნაშოვნ ორ გროშს და, ისიც სიმინდში უნდა აძლიონ“.

ამავე გაზეთის 27 თებერვლის ნომერში კი ვკითხულობთ: „რაჭაში, ზამთრობით ქალისა და კაცის საქმეს ქალები ასრულებდნენ, რადგან კაცები ამ დროს სახლში არ რჩებიან და სხვაგან მიდიან სამუშაოდ. სოფლები, რომლებიც სახნავი მიწების ნაკლებობას განიცდიდნენ, გარე სამუშაოზე დიდძალ მუშახელს უშვებდნენ. გარე სამუშაოზე მუშახელის დენადობით გამოირჩეოდნენ ზემო და მთის რაჭის სოფლები: უწერა, ნაკიეთი, ფარავნეში, ნიგავზები, ძეგლევი, საკაო, სომიწო, ლაგვანთა, ჯინეკისი, კვაჟა, გომი, შეუბანი, ღარი, ონჭეევი, ირი, წედისი, ცხმორი, შქმერი, პიპილეთი, ღები, ჭიორა, გლოლა. ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში (6—7 თვეს გრძელდებოდა) აღნიშნული სოფლების მამაკაცები სამუშაო საქმიანობით ნაკლებად იყვნენ დატვირთული, ამიტომ, შემოდგომა-ზამთარში გარე სამუშაოზე მასიურად გასვლის შესაძლებლობა ეძლეოდათ. იმ დროს, როცა სხვაგან წოსავლის აღების შემდეგ ხალხი ისვენებდა, რაჭველები გარე სამუშაოზე მიდიოდნენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რაჭის მთელი შეძლებული მამაკაცობა გარე სამუშაოზე მიდიოდა. შინ მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხუცები რჩებოდნენ. ნაწილი მამაკაცებისა ქვემო რაჭა-იმერეთში დურგლობდა, ნაწილი ოსეთისა და ყაბარდო-მალყარეთის აულებს მიაშურებდნენ და ვლადიკავკაზშიც ჩადიოდნენ. რაჭველები გარე სამუშაოზე სექტემბერ-ოქტომბერში მიდიოდნენ და შინ აპრილ-მაისში საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით ბრუნდებოდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში კერძებმა საშუამავლო როლი შეასრულეს რაჭიდან ამერიკაში მუშახელის მიზიდვისათვის, ამერიკელი კაპიტალისტები უკავშირდებოდნენ ჩრდილო ოსეთის სარკინიგზო დაბებსა და ქალაქებს, აქედან ოსი კერძების

რჩევითა და მათივე თანამგზავრობით გადადიოდნენ რაჭაში და აგიტაციას უწევდნენ მოსახლეობას ამერიკაში მუშათა საქმროებისა და ცხოვრების პირობების შესახებ. 1907-1912 წლებში რაჭის სოფლებიდან ცრუ დაპირებებით გაბრიყვებული მრავალი მუშა მამაკაცი წაუყვანიათ კანადისა და ჩრდილო ამერიკის მაღაროებში, ახალმშენებლობებზე და უღრანი ტყეების გაკაფვა-გზების გაყვანის სამუშაოებზე, სადაც საშინელ ექსპლუატაციასა და ტანჯვა-წამებაში ჩავარდნილან, მუშათა უმრავლესობას მალე უგრძვნია, რომ კაპიტალისტებმა მოატყუეს და პირველი მსოფლიო ომის წინა დღეებში შინ დაბრუნებულან, მრავალი მუშა დაღუპულა და სამუდამო სამარე შორეული ამერიკის მიწაზე უპოვია.

რაჭიდან მუშახელის გარე სამუშაოზე გასვლას განსაკუთრებით ფართო ხასიათი XIX-XX საუკუნეებში მიუღია. მჭედელთა, დურგალთა, კალატოზთა და ე. წ. „შავმუშათა" ამხანაგობები განუწყვეტლივ მიდიოდნენ ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის სამრეწველო ქალაქების, დაბებისა და სოფლებისაკენ.

მჭედლობა

რაჭველი ხელოსნები არა თუ აღნიშნულ პერიოდში, არამედ უფრო ადრეც. ცნობილი ყოფილან როგორც ლითონის დამუშავების შესანიშნავი ოსტატები. ამის დამადასტურებელ მატერიალური ძეგლების სიუხვესა და ხალხურ გადმოცემებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მთის რაჭული ტოპონიმიკური სახელები: „მჭედლის ტყე", „სარკინეთი", „ხანოაკი", „სახუნდარი", „ნაბოსლი", „მაღაროები" წარსულში აქ მჭედლობის ფართო ხასიათზე მიგვანიშნებენ. მთის რაჭული საგვარეულოს კომლური სახელი მჭედლიანთი, თავისი წარმოშობით სამჭედლო საქმიანობას უკავშირდება. მათი შორეული წინაპარი მჭედელი ყოფილა, მის პატივსაცემად მჭედლიანთიც აქედან შეურქმევიათ. ეს საგვარეულო მჭედლობის მამაპაპურ ცოდნა-გამოცდილებასა და სამჭედლო საქმიანობის საიდუმლოს სხვას არავის უმხელდა, მაგრა მხოლოდ შვილს ასწავლი-

და მჭედლობას, რკინის ჭედვის საიდუმლოსაც მას გაანდობ-და და ეს საქმე ასე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ამი-ტომ იყო, რომ საგვარეულოში მჭედლობა დავიწყებას არას-დროს ეძლეოდა. მთის რაჭის ყველა სოფელს ჰქონდა სამჭედ-ლო და ჰყავდა მჭედლები. ადგილობრივი რკინის მადნისა და ხის ნახშირის სიუხვე დიდად უწყობდა ხელს მჭედლობის საქ-მიანობას. წედისი და მისი მახლობელი „სარკინეთის“ თემები უწინ მხოლოდ რკინის დამუშავებით ცხოვრობდნენ. რკინის მადნითა და სამჭედლო საქმიანობით განთქმული ყოფილა კირტიშოს მთის ძირა ჭანჭახისა და გონის მიდამოები. რკინის მოპოვებისა და დამუშავების ნაშთები მიკვლეულია აგრეთვე ბუბის მთაში, სოფელ გლოლის მახლობლად. სოფელი ღები და ბრილის მიდამოები კი ძველთაგანვე საქართველოს მეტა-ლურგიის მნიშვნელოვანი კერები ყოფილა. აქედან რკინა და რკინეულის ნაწარმის დიდი ნაწილი მიჰქონდათ ჩრდილო კავ-კასიაში, სადაც მათ სხვა ქართულ საქონელთან ერთად დიდი მოთხოვნილება ჰქონია. მთიულების მიერ დამზადებული სახ-ვნელი იარაღი დიგორშიც მიჰქონდათ ადგილობრივ მოსახმა-რად.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც ყოფილა შემთხვე-ვები მთის რაჭაში მალყარელი და დიგორელი კერძების გად-მოსვლისა რკინეულის საყიდლად. 1938 წლის ზაფხულში სახ-ვნელი იარაღები ჭიორიდან და ღებიდან ჩემს თვალწინ წაი-ღეს დიგორლებმაო,—გადმომცა პროფ. ნიკო რეხვიაშვილმა.

ღებელ მჭედლებს თავისი საქმიანობის მთავარ ადგილად ძველთაგანვე აურჩევიათ ყარაჩაის აულები: უჩქულანი, ხურ-ძუკი, კარჯურთი, ზემო თებერდა, ქვემო თებერდა; მალყარის აულები: ზემო ჩეგემი, ქვემო ჩეგემი, დიდ მალყარი, ქიუჩიმ, ბილემი, ბეზინგი, ზემო ბაქსანი. იქ ყველგან სამჭედლოები გა-უმართავთ და მჭედლობა გაუჩაღებიათ. ამრიგად, რაჭის ურ-თიერთობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან მხოლოდ რკინისა და რკინეული ნაწარმის გატანით კი არ განისაზღვრებოდა, არამედ ამ პროცესს თან ახლდა მჭედლების გასვლა რაჭიდან. მჭედლები გარდა ზემოთ აღნიშნული ადგილებისა, ხშირად მი-დიოდნენ მოზდოკში, ყიზლარში, ალაგირში, ნალჩიკში, კის-

ლავოდსკში, ვლადიკავკაკში, სადაც რაჭველები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ დღემდე.

გვარით მონათესავე მჭედლები შეადგენდნენ ამხანაგობას, რომელშიც 2—10 კაცი შედიოდა, აიყვანდნენ შეგირდს და სამუშაოდ მთას იქით გასწევდნენ. ღებელი მჭედელი თედორა (ზვიადეენთი) ლობჯანიძე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გაჰყოლია წინაპართა ნაკვალევს და აულ უჩქულანში დაუწყია მჭედლობა. შემდეგ იმავე აულში თედორას საქმე მახარა (ჯოტეენთი) ლობჯანიძეს გაუგრძელებია. რაჭველი მჭედლები ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ძირითადად ცხენისა და ხარის ნალ-ლურსმნისა და სამკაულის, აგრეთვე სამეურნეო იარაღების: ცელის, სახნისის პირების, დანების, ხანჯლების, ცულებისა და რკინის სარიტუალო საგნების ჭედვით ყოფილან განთქმული.

ქართველ მჭედლებს ჩრდილო კავკასიის აულებში კერძმოკეთეების სტუმართმოყვარეობა და მჭედლობაზე დიდი მოთხოვნილება იზიდავდათ, ისინი აულ უჩქულანში უკავშირდებოდნენ კოჩკაროვებისა და ქიფკეევების მდიდარ მეჯოგე ოჯახებს, მათ სამოსახლოში ჰქონდათ სამჭედლოები გამარული და იქვე ცხოვრობდნენ წლობით. აულ ხურძუკში დღემდე მოქმედებს რაჭველების ძველი სამჭედლო: სამჭედლო მოთავსებული იყო ხალხისათვის მოხერხებულ ადგილზე მამაკაცთა საკრებულოს წინ ან გზაჯვარედინზე, რომ ადვილად შისულიყვნენ სამჭედლოში.

მიხელა ლობჯანიძეს 1870 წელს აულ უჩქულანში შეგირდად წაუყვანია თავისი შვილი ისმაილა. მიხელას იქ მჭედლობაში 20 წელი გაუტარებია, 1890 წელს სამჭედლო შვილისათვის დაულოცია, თვითონ კი ღრმად მოხუცებული მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა. უჩქულანში თანდათან გამრავლებულან ქართველი მჭედლები და მალე ორი სამჭედლო გაუმართავთ, სადაც ღებელი მჭედლების ორ ამხანაგობას დაუწყია მუშაობა. უჩქულანიდან მალე მჭედლების ერთი ამხანაგობა ზემო თებერდაში გადასულა. მჭედლები აქ დაკვეთით მუშაობდნენ მთელი წლის განმავლობაში, გაზაფხულზე ხვნა-თესვის დაწყების წინა დღეებში მათი სამუშაო საგრძ-

ნობლად მატულობდა, რადგან ახალ სახნისებს მთიელები იშვიათად იძენდნენ და ძველებს შეაკეთებდნენ ხოლმე.

ამრიგად, მალყარისა და ყარაჩაის აულებში XVIII-XIX საუკუნეებში XX საუკუნის 20-იან წლებში ადგილობრივს ქართველი მჭედლები სჭარბობდნენ, რადგან მათი ნახელავი უფრო მოსწონდათ, რაც ლიტერატურულ ცნობებს გარდა ხალხური გადმოცემებითაც დასტურდება.

წარსულში ჩრდილო კავკასიის აულებში მჭედლები ძირითადად რაჭული „რკინა ჭედილით" საქმიანობდნენ. რაჭიდან მთას იქით რკინის გადატანა რუსეთიდან შემოტანილი რკინის გაელენით შემწყდარა, მოგვიანებით რაჭველ მჭედლებს რკინის შემოტანა სტანიცა ბატალბაშინკიდან (ამჟამად ჩერკესკა) დაუწყიათ, რაც უფრო იაფი და ხელმისაწვდომი ყოფილა მათთვის. მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთს დიდი რაოდენობით შემოჰქონდა რკინის სამეურნეო იარაღებიც, ნაგრამ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებდა, ამას გარდა, ადგილობრივ პირობებში ძნელი იყო გადაუმუშავებლად მათი გამოყენება, ამიტომ მოსახლეობა პირველ ხანებში ქართველი მჭედლების ნახელავს ამჯობინებდა. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის რუსი მოსახლეობა სამეურნეო იარაღებს ძირითადად დუქნებში ყიდულობდა და მხოლოდ მის შეკეთებას ანდობდა ადგილობრივ მჭედლებს. სახნისებს, შუბებს, თოხებს, ცელებს, ცულებს მჭედლები შეკვეთით აკეთებდნენ, რადგან რუსეთიდან შემოტანილი ამგვარი იარაღები უხარისხო და ძვირი იყო.

საქართველოში ნატურალური მეურნეობის დაცემასა და კაპიტალიზმის აღმავლობას, მეფის რუსეთის ძლიერ ექსპანსიას სდევდა შინამრეწველური ცალკეული დარგების გაუქმება. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ვ. ი. ლენინი წერს: „რეფორმისშემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია... მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური" სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო... ეცემოდა რკინის ში-

ნამრეწველური დანუშავება შემოტანილი რუსული პროდუქ-ტის კონკურენციის გამო".[1]

კაპიტალიზმის განვითარებასა და რუსეთიდან ფაბრიკული ნაწარმის მოძალებას თანდათან შეუფერხებია ქართველი მჭედლების საქმიანობა ჩრდილო კავკასიის მაღალმთიან აულებში, რაც საბოლოოდ მათი დაშლა-დაქსაქსვის მთავარი მიზეზი გამხდარა. XX საუკუნის 30-იან წლებში ძალზე შესუსტებულა ქართველი მჭედლების საქმიანობა მთას იქითა აულებში. მალყარისა და ყარაჩაის აულებში სამჭედლოები დახურულა და მჭედლებს პირველ ხანებში ოსეთისა და ყაბარდოს ბარის აულებსა და დაბებში გადაუნაცვლებიათ. უმეტესობა მშობლიურ სოფლებს დაბრუნებია. კოლმეურნეობებში გაერთიანებულან და აქტიური სამჭედლო საქმიანობა გაუჩაღებიათ.

დურგლობა

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში რაჭაში ხელოსნობა უფრო ინტენსიურად ვითარდება წინა პერიოდთან შედარებით. ხე-ტყის სიუხვე იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ აქაური მოსახლეობა ოსტატურად დაუფლებოდა ხის დამუშავების ტექნოლოგიას. სიძველეთა ნაშთებიდან ნათლად ჩანს ხის დამუშავების მაღალი კულტურა. მათ საუკეთესოდ იცოდნენ ხის რომელი ჯიში გამოდგებოდა მშენებლობისათვისა და საოჯახო ნივთების დასამზადებლად და ა. შ. რაჭველი მოხელეები თვითონ იშენებდნენ საცხოვრებელ და სამეურნეო შენობა-ნაგებობებს, ისინი ძველთაგანვე განთქმული ყოფილან, როგორც საუკეთესო დურგლები.

რაჭველი საზოგადოდ კარგი დურგალი, ხის ხუროაო. — აღნიშნავს აკად. გიორგი ჩიტაია, თან იქვე დასძენს, ამას მრავალი ფაქტიც ადასტურებს და პეტცჰოლდტი და სხვებიც აღნიშნავენო. ხეზე მუშაობა აქ „წმინდა ხელობად" იყო მიჩნეული, ხის მოხელეს დურგალს უწოდებენ, დურგლობა კი საპატიო საქმედ ითვლებოდა. დიდი ოჯახი ხელოსანთა სიმ-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3, თბ., გვ, 703.

რავლით ფასდებოდა, ასეთები სიამაყით წარმოთქვამდნენ: ჩვენი ოჯახიდან ცულის მრავალი დამკვრელი გამოდისო. ახალბედა დურგლები ჯერ შინ და მეზობელ სოფლებში იწყებდნენ ხელს სადურგლო საქმეში, შემდეგ მთას იქით კერძებთან სამუშაოდ მიეშურებოდნენ და მათ უშენებდნენ სახლებს. სხვადასხვა ხელობის ცოდნა რაჭველებს საშუალებას აძლევდა ჩრდილო კავკასიაში და სხვაგანაც გამოჩენილიყვნენ კვალიფიციური მუშების დურგლების, კალატოზებისა თუ სხვათა სახით და, ამასთან, უფრო შეღავათიან პირობებში გამოეყენებინათ თავიანთი შრომა.

ქართველი დურგლების ხელმარჯვე ოსტატობასა და შრომისმოყვარეობას ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში ისე გაუთქვამს სახელი, რომ სახლების მშენებლობაზე ყველგან მათ იწვევდნენ. ეს მიწვევა განსაკუთრებით კაპიტალიზმის პერიოდში გახშირებულა, როცა ჩრდილოკავკასიელ მთიელებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ბნელი მიწური სახლები. ერთი მხრივ, ეს გამოწვეული იყო მშენებლობის ტექნიკის განვითარებითა და, მეორეს მხრივ, ძველი მოუხერხებელი ბინების გამოცვლის დიდი სურვილით.

რამდენიმე დურგალი ერთად მიდიოდა მთას იქით სამუშაოდ, ამას „დურგალთა ამხანაგობა“ ეწოდებოდა. ამხანაგობაში 2-იდან 10 კაცამდე ერთიანდებოდა. დურგალთა რაოდენობა ამხანაგობაში სამუშაოს ხასიათით განისაზღვრებოდა, ამის მიხედვით ამხანაგობა შეიძლება დროებით ორ ან მეტ ჯგუფად გაყოფილიყო, თითოეულ ჯგუფს ჯინი ეწოდებოდა. რამდენი ასეთი განაყოფი ჯგუფიც იქნებოდა, იმდენ ჯინს იტყოდნენ, მაგალითად, ორ ჯინად, ან სამ ჯინად ვმუშაობდითო და ა. შ. დურგალთა ამხანაგობას დამხმარედ აჰყავდა ერთი ან ორი შეგირდი, რომელსაც შავი სამუშაოების შესრულება და დურგლების საქმიანობაზე თვალყურის დევნება ევალებოდა, რომ თვითონაც მალე დაუფლებოდა „წმინდა ხელობას“. შეგირდად ხშირად თავისიანები აჰყავდათ. ჩრდილო კავკასიის რომელ აულში არ შეხვდებოდით რაჭველ მოხელეებს: დვალეთში, „მინდვრის ოსეთში“, დიგორში, ბასიან-

ში, ყაბარდოში, მალყარში, ყარაჩაიში, ადიღეში. მთიელთა აულები მათ ფეხით შემოუვლიათ და კერძოკეთეებისათვის სახლები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები უშენებიათ.

მამისონის უღელტეხილით წასულ რაჭველ მოხელეთა ამხანაგობის თავშესაყარი ადგილი ურუხის ხეობის დასაწყისში გაშენებული აული ლესქენ პირველი ყოფილა. აქ თუ არ იქნებოდა ყველას საყოფი სამუშაო, ჯინებად დაყოფილი მოხელეთა ამხანაგობები სხვადასხვა აულებში ნაწილდებოდნენ. ერთნი თოლწკუნს მიაშურებდნენ, მეორენი ხაზნიდონს. მესამენი ჩიქოლას, დანარჩენნი ახსარისარს, ქალუხს, მაცუთას, დონიფარს, ჯინალავს, ნავაყავს, ოდოლას, მოსკას, სტურდიგორს, კუსუს და ყველგან სახელოსნო სადურგლო საქმიანობა ჩაღდებოდა. ამ დროს ურუხის ხეობის აულებში ქართველ მოხელეთა ამხანაგობების სამუშაო სეზონი დგებოდა.

ადილ რახაევი (აული ბეზენგი) ამბობს, რომ მას ქართველი მოხელეები ხშირად უნახავს დიგორისა და მალყარის აულებში სამუშაო იარაღებით ხელში. ისინი მარჯვე ოსტატები იყვნენ, ხის დიდ მორებს ხელის ხერხით ფიცრებად ხერხავდნენ, მერე მასალას ისე ფაქიზად თლიდნენ ნაჯახით, რომ სალაშინით გასუფთავებული გეგონებოდათ. მათი ნაგები სახლები ყველას მოსწონდა, მდაბიო მთიელებს თუ ტაუბიებს. სამუშაო იარაღებით აღჭურვილი ქართველი დურგლები აულიდან აულში დადიოდნენ და, სადაც სამუშაოს ან, როგორც რაჭველები ამბობენ, „საქმეს“ იშოვნიდნენ, იქ ჩერდებოდნენ.

საინტერესოა ქართველ ხელოსნებთან გარიგების მალყარული ხალხური ჩვეულება. გაბა გულიევის (აული ზემო ბაქსანი) გადმოცემით, აულში გამრიგებელ შუა კაცად წინასწარ შერჩეული ყოფილა ქართული ენის მცოდნე, ქართველებთან კერძოკეთეობით დაახლოებული სელიმგერ ბუდაევი. აულში ხელოსნები რომ გამოჩნდებოდნენ, პირველად სელიმგერი გამოელაპარაკებოდა და, ვისაც სახლის აშენება ან შეკეთება სურდა, იმ ოჯახზე მიანიშნებდა, მერე ნახავდნენ

ოჯახის უფროს მამაკაცს, რომელსაც მოელაპარაკებოდნენ. ის კი თავის მხრივ სელიმგერს მიანდობდა მოხელეებთან გარიგების საქმეს და ამის შემდეგ იწყებდნენ სახლის მშენებლობას. ასეთნაირი გარიგებით ზემო ბაქსანში ყასპო ბაძიევის სახლის აშენებაში ქართველ ხელოსნებს 100 სული ცხვარი და ერთი ცხენი მიუღიათ.

ქართველი ხელოსნები საბუშაოს დაწყებამდე თავიანთ კერძებთან ცხოვრობდნენ, შემდეგ ტრადიციის მიხედვით საცხოვრებლად იმ ოჯახში გადადიოდნენ, ვისაც სახლს უშენებდნენ. მათი კვება და ღამის გათევა მასპინძელს ევალებოდა. ეს გარიგებაში არ შედიოდა. კვებაში ან ღამის თევაში ქირის მოთხოვნა დიდ სირცხვილად და ოჯახის დამცირებად ითვლებოდა. ეს არც ხდებოდა. არც ქართველი ხელოსნები რჩებოდნენ ვალში კერძებს, თუ ისინი ბინას კერძს უშენებდნენ. ქირაში არ ურიგდებოდნენ, რადგან ეს უხერხული იყო. ცდილობდნენ კერძის ოჯახისათვის, როგორც მოკეთისათვის, შეღავათი გაეწიათ და, ბოლოს, როდესაც მშენებლობა დამთავრდებოდა, რასაც კერძი თავისი შესაძლებლობისა და სურვილის მიხედვით გაიმეტებდა მუშებისათვის, ყველაფერს კმაყოფილებით იღებდნენ. ამას გარდა, დურგლები კერძის ოჯახისათვის ყოველგვარ წვრილმან სადურგლო სამუშაოს უფასოდ აკეთებდნენ. კერძებს დღემდე შემორჩენიათ რაჭველი დურგლების ნაკეთი და საჩუქრად მირთმეული ხის სკამები, მაგიდები, კარადები, ტახტები, სკივრები და სხვ.

მშენებლობაზე მორიგებას ხელოსნები „საქმის აღებას" უწოდებდნენ. 1912 წლის ზაფხულში აულ შექერაში ბიაზარიანთ საგვარეულოს მდიდარ ოჯახს სახლის მშენებლობაზე ქართველ დურგალთა ამხანაგობა მიუწვევია. ამხანაგობას აუშენებია რვაოთახიანი ან, როგორც რაჭველები ამბობენ, რვათვალი ორსართულიანი ხის სახლი, რომელიც ყველაზე საუკეთესო ნაგებობა ყოფილა დიგორის ხეობაში. ივანე ილიას ძე ბუდაევის (აული სტურდიგორი) გადმოცემით. ის ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, ქართველი ხელოსნები რომ დიგორში გადადიოდნენ და სახლებს უშენებდნენ კერძმოკეთეებს. რადგან ოქტომბრის რევოლუციამდე საკუთარი

ხელოსნები არ გვყავდა, სახლების უმეტესობა ურუხის ხეობაში, დვალეთსა და „მინდვრის ოსეთში“, ძირითადად, ქართველი ხელოსნების აშენებულიაო, ამბობენ დიგორლები. ალხასტ ქუძიევიც (აული ძვარიყაუ) იგივეს ადასტურებს: რევოლუციამდე ქურთაულის ხეობაში სადურგლო საქმიანობისათვის რაჭველები (რაცონ) მოდიოდნენ, ჩვეულებრივ, დურგალთა მათი ამხანაგობა 2-3 კაცისაგან შედგებოდაო. ორანაკლებ საყურადღებოა დუდარიკო ცალიკოვის (აული ნოგყაუ) ცნობა, რომელიც გვატყობინებს, რომ რევოლუციამდე რაჭველი (რაცონ) დურგლები ქურთაულის ხეობაშიც ადიოდნენ თურმე და სახლების მთავარი მშენებლები ყოფილან. აულ ნოგყაუს თითქმის ყველა სახლიც რაჭველ ხელოსნებს აუშენებიათ და ქვიტკირისა და ხის მოწყობილობაც მათ გაუმართავთ. რევოლუციის შემდგომ წლებშიც სახლების მთავარი ნშენებლები იქ რაჭველი ხელოსნები ყოფილან, მათ ოსური ენაც კარგად სცოდნიათ და ხალხთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონიათ.

ურუხის ხეობაში აულებს ლესქენ პირველსა და ჩიქოლას, ქართველ მოხელეთა საბუდარას ეძახდნენ. აქ ხელოსანთა მრავალი ამხანაგობა იყრიდა თავს. ჰყავდათ კერძები და მათი ხელშეწყობით ფართო სააღმშენებლო საქმიანობას ეწეოდნენ მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელ მთიელთა აულებში. იქ იშვიათად ნახავთ სახლს, რომ ქართველი მოხელეების აშენებული ან ნაწილობრივ მათი შეკეთებული არ იყოს, ამიტომაა, რომ დღესაც ურუხის ხეობის აულებში თვალში გეცემათ იმერულ თუ რაჭულ სტილზე ნაგები კოპწია ოდასახლები, მოქარგული ფასადებითა და ფიგურებიანი ან, როგორც რაჭველები ამბობენ, რიკულებიანი აივნებით დამშვენებული. იქაური ხალხი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, ყველა სახლი, ყველა ახალი ნაგებობა ჩრდილო ოსეთში კეთდებოდა რაჭველ მოხელეთა მიერო. საყურადღებოა ისიც, რომ მუსულმანებით დასახლებულ აულებში ხისა და ქვითკირის მეჩეთებსაც რაჭველი ხელოსნები აშენებდნენ.

დურგლები სახლს ხის მასალით რომ გამართავდნენ, შემდეგ კედლებს ან წნელით გამოწნავდნენ, ან ხის პატარ-პატა-

რა ნაჭრებით ამოაშენებდნენ, ასეთ ნაგებობას „საყალარ სახლს“ უწოდებდნენ. შემდეგ კედლების შელესვა მიწით მათ აღარ ევალებოდათ, ამ საქმეს მთიელი ქალები ასრულებდნენ.

რაჭველი ხელოსნების სიარულს დიგორის აულებში ძველებური მასიური ხასიათი აღარა აქვს, მაგრამ თითო-ოროლა ხელოსანს დღესაც შეხვდებით. ჭიორელ დურგალ ალექსი ჩაგელიშვილს ამ ბოლო დრომდე არ გაუწყვეტია კავშირი დიგორელ კერძებთან. სახლების უმრავლესობა იქ მასა და მის ამხანაგობას აუშენებიათ, ან ძველი შეუკეთებიათ. ამ საქმეში ამჟამად გლოველი დურგლები იასონ ბიჭაშვილი და მელიტონ ხარებაშვილი იჩენენ აქტიურობას. მათ აულ სტურდიგორში 1969 წლის ზაფხულში თეიმურაზ ბუდაევს დაუდგეს და გაუმართეს ორსართულიანი „საყალარი სახლი“.

კალატოზობა

მთის რაჭის ციხე-კოშკები, თავდაცვითი თუ საბრძოლო დუროიანი და ორსართულიანი ქვითკირის სახლები, ეკლესიები და სხვა ნაგებობანი აშკარად მეტყველებენ რაჭველი კალატოზების მაღალ ოსტატობაზე. როგორც დუროიანი სახლების, ასევე ციხე-კოშკების კედლები მტკიცედ და მარჯვედაა ნაგები, კარგადაა დაცული სართულების, ფანჯრების, დუროების, ქონგურების, გალავნებისა და კუთხეების მოყვანილობა და ფორმა. ყველაფერი ეს მოხერხებულად ნაკეთი და საიმედოდ შერწყმულია რაჭის ბუნებასა და კლიმატურ პირობებთან, ამავე დროს გათვალისწინებულია გარეშე მტრის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, ბრძოლისა და თავდაცვის ამოცანებიც.

მთის რაჭული ქვითკირის სახლი ნაგებობათა მთელ კომპლექსს შეადგენდა. სახლში თავისუფლად თავსდებოდა მრავალსულიანი ოჯახი მთელი თავისი ქონებითა და პირუტყვით. სოფელ ღებში დღემდეა დაცული რამდენიმე ციხე-კოშკი და დუროიანი სახლი, ზოგი მათგანი გადაკეთებულია ახლებურად, მაგრამ უწინდელი ფორმა მაინც შეუნარჩუნებიათ.

რაჭველებს წინაპართაგან მემკვიდრეობით მიუღიათ ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, მათ შორის კალატოზობის

ცოდნა-გამოცდილება. ამას ხალხური გადმოცემებისა და მატერიალური კულტურის გარდა ცხადყოფენ ღებში. ჭიორა-ს და უწერაში დღემდე შემორჩენილი საგვარეულო კომლური სახელები: მჭედლიანთი, ხელოსნიანთი. ჩანს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, აქ ხელოსნობა თითოეული საგვარეულოსა თუ ოჯახის მთავარი საქმიანობა ყოფილა, ქვის დამუშავება და მშენებლობის ტექნიკა რაჭაში ოდითგანვე მაღალ დონეზე მდგარა. ქვითა და კირით მშენებლებს მექვითკირეებს ან კალატოზებს ეძახდნენ. მთის რაჭველებს ჰყოლიათ მრავალი სახელგანთქმული მექვითკირე, რომლებიც თავისი საქმიანობით მჭიდროდ დაკავშირებიან ჩრდილოკავკასიელ კერძებს. საყურადღებოა, რომ ი. პანტიუხოვი მიუხედავად მოსახლეობის მაღალმთიან, უნაყოფო ადგილებში ცხოვრებისა, ღებსა და გლოლას თავისებურ სამრეწველო ცენტრებად მიიჩნევს. იგი წერს: აღნიშნული სოფლებიდან გამოსული მოხელეები შეადგენენ მთავარ ბირთვს, რომლებიც ჩრდილო კავკასიის მთიელთა აულების ძირითად მშენებლებად გვევლინებოდნენო.[1]

კალატოზთა ამხანაგობაში დურგლები და „შავი მუშებიც" შედიოდნენ. კალატოზები და მათი დამხმარე „შავი მუშები" ან შეგირდები ქვითკირის კედლებს რომ ამოიყვანდნენ, შემდეგ ნაგებობას ხის მასალით დურგლები გამართავდნენ. რაჭველი კალატოზები განთქმული ყოფილან როგორც საქართველოს სოფლებში, ასევე კავკასიელ მთიელებშიც: მალყარში, ყარაჩაიში, ოსეთსა და სხვაგან, სადაც სამუშაოდ წლობით გადადიოდნენ. გოგია (სეხნოენთი) რეხვიაშვილის (სოფელი ჭიორა) გადმოცემით, მალყარის აულებში სახლის კედლებს ქვით, უკიროდ აშენებდნენ და ასეთ სახლს „ხუნა-ს უწოდებდნენ, ბარის აულებში კი მეტწილად ალიზის სახლებს აგებდნენ და ასეთ სახლს „სამანა"-ს ეძახდნენ. მალყარლებს დიდად მოსწონდათ რაჭველი კალატოზების ოსტატობა და შრომა-გარჯა, ბინის აშენების გარდა, სახლის მთელ შიდა მოწყობილობასაც ისინი აკეთებდნენ, მაგალითად: ტახტებს.

[1] И. Пантюхов. Население Кутаисской губернии, СПБ, 1892, стр. 25.

კარ-ფანჯრებს, კარადებს, სკივრებს, მაგიდებს, სკამებს, ე. წ. „სირე“-ს (ხის გრძელი ყუთია კედლის მთელ სიგრძეზე გამართული, მალყარლები მასში ინახავდნენ ჭურჭლეულს, პროდუქტეულს, პურს—ყველაფერს თავის განკუთვნილ ადგილზე. სირეს თავზე ლოგინს აწყობდნენ, რომელსაც ზემოდან ხალიჩით ფარავდნენ). მთელი XIXსაუკუნე და XX საუკუნის 30-იან წლებამდე როგორც საკალატოზო, ასევე სადურგლო სამუშაოებს მალყარისა და ოსეთის აულებში ქართველი ხელოსნები ასრულებდნენ. მე არ შემხვედრია არც ერთი მალყარელი დურგალი ან კალატოზი,—თქვა გოგიჩრეხვიაშვილმა,—რომელსაც თავისი ცხოვრების მეტი წილი მალყარის აულებში სახლების მშენებლობაზე არ გაეტარებინოს.

მალყარის მთელ რიგ აულებსა და დაბებში არ ყოფილა ოჯახი, რომელთა სახლიც რაჭველ კალატოზებსა და დურგლებს არ აეშენებინოთ, ან ნაწილობრივ არ შეეკეთებინოთ.

ჩრდილოკავკასიელი მთიელები, კერძოკეთილები ქებით მოიხსენიებენ ქართველი მექვითკირეებისა და დურგლების სახელებს. ასხათ ზურაანის ძე ნარშაოს (აული ქვემო ჩეგემი) გადმოცემით, მათი ორსართულიანი ცხრა თვალი ვვითკირის სახლი ქართველ კალატოზებს აუშენებიათ. გაბა თემუდარის ძე გულიევი (აული ზემო ბაქსანი) ამბობს: მამა-პაპათაგან გამიგონია, რომ, რაც ბაქსანის, ჩეგემისა და ჩერეკის ხეობებში ციხე-კოშკებია სვანებისა და რაჭველების ა'მენებული ყოფილაო. აულ ქიუნიმში აბაევის სახელით ცნობილი ციხე-კოშკები და აულ შკანტში ამირხანოვების ციხე-კოშკი ადგილობრივ მკვიდრ სვანებს აუშენებიათ. ზემო ჩეგემის დუროიანი ციხე-კოშკი მთელ ჩრდილო კავკასიაში, ერთადერთია, რომელიც სვანურ სტილზეა ნაგები. ის სვანების აშენებული ყოფილა ახტუგანის სახელზე, რომელსაც XVIII საუკუნის დასაწყისში უცხოვრია. ბეზინგსა და ჩეგემში აღმოჩენილი ნახევრად დანგრეული ეკლესიები არქიტექტურულად ემსგავსებიან სვანურ ეკლესიებს, რომლებიც ერთ პერიოდში უნდა იყვნენ აგებულნი. ქართველი მშენებლების საქმიანობასა და ქართული მატერიალური ძეგლების არსებობაზე ჩრდილო კავკასიაში მოგვითხრობენ ცნობილი ქართ-

ველი, რუსი და უცხოელი მკვლევარები: ვ. მილერი, უვაროვა, ივ. შახოვსკი, ვ. სისოევი, ლ. ლავროვი, ე. სტუდენცკაია, ა. რობაქიძე, რ. ხარაძე. თვით ყაბარდო-მალყარეთის ისტორიის პირველ ტომში ვკითხულობთ: მალყარის მოსახლეობა ძველი დროიდანვე განიცდიდა ფეოდალური საქართველოს კულტურის გავლენას, რომელზეც ნათლად მეტყველებს მალყარში დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები—დანგრეული ეკლესიების ნაშთები. ბეზინგისა და ჩეგემის ხეობებში მალყარელებსა და ქართველებს შორის კულტურული ურთიერთობის უკვდავ ძეგლებად აღმართულან ებზე-კალად წოდებული ქართული ციხე-კოშკები.

ქართველი კალატოზები საუკუნეების მანძილზე არა მარტო ციხე-კოშკებს აგებდნენ, არამედ ამ ურთიერთობაში ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურღვევ ძმობასა და მეგობრობასაც ადუღაბებდნენ კერძოკეთეობის სახით.

აღსანიშნავია, რომ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სავაჭრო-საალებმიცემო საქმიანობას, რომელიც განუწყვეტლივ წარმოებდა კერძოკეთეებს შორის.

ვაჭრობა, აღებ-მიცემობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარი მრავალმხრივ საყურადღებოა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით. ეს არის საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პერიოდი. რეფორმის შემდგომ ხანაში ჩრდილო კავკასია რუსულ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების გავლენის ქვეშ ექცევა. ამავე დროს არ წყდება მათი ეკონომიური ურთიერთობა საქართველოს სხვადასხვა ნაწილთან, კერძოდ, რაჭასთან რომელთანაც ყარაჩაის, მალყარის, დიგორის, ბასიანის, დვალეთის, „მინდვრის ოსეთის“ საზოგადოებებს მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონიათ. მეზობელი ჩრდილოკავკასიელი მთიელებისათვის იმდენად დიდი ყოფილა საქართველოსთან ეკონომიური

ურთიერთობის მნიშვნელობა, რომ მალყარელი მთიელების ეთნიკური თავისთავადობის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, მკაცრ გეოგრაფიულ გარემოსთან და მმართველობის შინა სისტემასთან ერთად, ქართველ ხალხთან სავაჭრო კავშირი მიიჩნეოდა.

ვაჭრობა რაჭაში, განსაკუთრებით მთის რაჭაში, რეფორმამდელ ხანაშიც საგრძნობლად ფეხმოკიდებული ყოფილა. ამ კუთხის მცხოვრებნი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ცხოვრებაში, რომლებიც განსაკუთრებულ აქტივობას პირუტყვით ვაჭრობაში იჩენდნენ.

რაჭაში გამოყოფენ სამი კატეგორიის ვაჭრებს: ერთნი პირუტყვით ვაჭრობდნენ და მათ ხალხი „ფეხზე საქონლით მოვაჭრეებს" ეძახდა; მეორენი ოჯახში ჩვეულებრივ გლეხურ საქმიანობას ეწეოდნენ, მაგრამ როგორც კი საგაზაფხულო საბუშაოებს მორჩებოდნენ, მთას იქითა აულებში ბიდიოდნენ, თან მიჰქონდათ წვრილმანი საქონელი, რომლებსაც ყიდდნენ ან ცვლიდნენ იქაურ ჩოხა-ნაბადში, მატყლში, შალის ქსოვილში, ტყავეულსა და მეცხოველეობის პროდუქტებში. თიბვა-მკის საბუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით ისინი ველავ შინ ბრუნდებოდნენ და ასე მეორდებოდა ყოველწლიურად. რადგან ასეთი ვაჭრების მთავარი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო, თანაც წვრილმან ვაჭრობასაც ეწეოდნენ, მათ „მეწვრილმანეებს" ან „გლეხვაჭრებს" ეძახდნენ.

მესამენი, რომლებიც ჩრდილო კავკასიის აულებსა და დაბებში ფართლეულის სავაჭრო დუქნებს ხსნიდნენ და წლობით ცოლ-შვილს მოწყვეტილნი იქ მუდმივად ვაჭრობდნენ, „დიდვაჭრებს" უწოდებდნენ.

პირუტყვით ვაჭრობა

ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ყოფაში დიდ როლს ასრულებდა პირუტყვი, რადგან მათი არსებობის მთავარ წყაროს იგი წარმოადგენდა. პირუტყვის სიუხვე ყარაჩაველებს საშუ-

ლებას აძლევდა გაეყიდათ დიდი რაოდენობით ტყავეული, მატყლი, შალის ქსოვილი, ქონი, ხორცი, რძის პროდუქტი და თვით პირუტყვი.

ჩრდილოკავკასიელ მთიელებში პირუტყვით ვაჭრობას ფართო ხასიათი განსაკუთრებით 1867 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ მიუღია. გახშირებულა „ფეხზე საქონლით მოვაჭრე" რაჭველების მთას იქით აულებში სიარული, კომერციული მიზნით—პირუტყვის შესაძენად. ჩრდილო კავკასიურ პირუტყვს ვაჭრები საქართველოს ბაზრებში მოგებით ყიდდნენ. ამიტომ პირუტყვის ვაჭრობით დაინტერესება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ფულიან ვაჭრებს გარდა, იქ უფულონიც მიდიოდნენ ფიზიკური შრომით ფულის შოვნისა და შემდეგ პირუტყვის შეძენის იმედით. ასეთები დაქირავებულ შრომას ეწეოდნენ და ხშირ შემთხვევაში ქირაში პირუტყვს ღებულობდნენ. ზოგს კი წვრილმანი საქონელი მიჰქონდა პირუტყვში გადასაცვლელად. რაჭის სოფლებში მთიელი გლეხკაცებიდან ასე იქმნებოდა „ფეხზე საქონლით მოვაჭრეთა" ამხანაგობანი, რომლებიც სოფლად სამუშაო სეზონის დამთავრებისთანავე მთას იქით სავაჭროდ ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ იმ დროს, როცა მყინვარები და საუღელტეხილო გზები პირუტყვის გადმოსაყვანად და სამგზავროდ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდნენ.

რაჭველებს კერძებთან უმეტესად ის საქონელი მიჰქონდათ, რაც მათ აკლდათ, ამიტომ ისინი მუდამ სიხარულით ელოდნენ ვაჭრების გამოჩენას.

ქართველ მთიელებში ოდითგანვე დიდი მოთხოვნილება ყოფილა ჩრდილო კავკასიურ პირუტყვზე, განსაკუთრებით იქაურ ხარზე, როგორც ღონიერ გამწევ ძალასა და მძიმე წონის სახორცე საქონელზე. პირუტყვით ვაჭრობას ძირითადად რაჭის საუღელტეხილო გზებით ეწეოდნენ. გეზე-ვცეკის (ფასის) უღელტეხილით ჩრდილოეთიდან გადმოყვანილი პირუტყვის უმეტესობა რაჭისა და ქუთაისის ბაზრებზე იყიდებოდა და, ამგვარად, ყოველდღიურად მთას იქიდან საქართველოსაკენ პირუტყვის დენა არ წყდებოდა. ვაჭრები განსაკუთრებით დიდ მოგებას კაშეჩებით ვაჭრობაში ნახულობდნენ. მოგზა-

ურები მამისონის მთაზე ხშირად ხვდებოდნენ კამეჩების ჯოგით მომავალ ქართველ ვაჭრებს.

„ფეხზე საქონლით მოვაჭრე“ ამხანაგობის თითოეული წევრი აულში მისვლისას პირველად თავის კერძს მიაკითხავდა. ზაფხულობით კერძები თავიანთი ოჯახებით მთაში მიდიოდნენ, პირუტყვსაც იქ მიერეკებოდნენ. ცხოვრობდნენ საზაფხულო სადგომებში, ე. წ. ყოშებში და ქართველი ყონაღებიც იქ ეწვეოდნენ ხოლმე. კერძებისაგან შეიტყობდნენ თუ არა სად, რომელ მთაში და ვისთან შეიძლებოდა პირუტყვის ხელსაყრელ ფასებში შეძენა, მათი რჩევით მოქმედებდნენ. რაჭველები შეძენილ პირუტყვს მთიდანვე შინისაკენ მიერეკებოდნენ. ყარაჩაიდან რიონის სათავემდე გზას, პირუტყვის ჯოგით, ორი კვირა უნდებოდნენ. 1885 წლის 25 ივლისს ბ. ნიკარაძე მთაგორაზე (გორიბოლო) შეხვედრია „ფეხზე საქონლით მოვაჭრე“ ღებელ და ჭიორელ ვაჭრებს, რომლებსაც საქონლის ჯოგი მოჰყავდათ ყარაჩაის, ბაქსანის (ურუსბიევის), ჩეგემის საზოგადოებათაგან... ჯოგში 100-ზე მეტი ხარი, ძროხა და 200-მდე ცხვარი ყოფილა, ასეთი ჯოგები ხშირად მოჰყავდათ ზემო რაჭველებს ჩრდილო კავკასიიდან.

მთელ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში მთას იქიდან ისე გახშირებულა პირუტყვის გადმოყვანა საქართველოში, რომ ხელისუფლება იძულებული გამხდარა ყველა საუღელტეხილო გზების მისადგომებთან საბაჟო-საყარაულოები მოეწყო, რათა უნებართვოდ პირუტყვი არ გაეყვანათ. „ფეხზე საქონლით მოვაჭრეებს“ საბუთის წარდგენასთან ერთად წინასწარ დადგენილი საბაჟო გადასახადიც უნდა მიეცათ. ყოველწლიურად საბაჟო გადასახადი რამდენიმე ასეულ მანეთს შეადგენდა, რითაც საბაჟო-საყარაულო ხარჯებს ფარავდნენ. მიუხედავად ამისა, ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა სავაჭრო ურთიერთობა მაინც არ შეფერხებულა. ადგილობრივი ვაჭრები მთას იქით სავაჭროდ წასვლისას სასოფლო საზოგადოების მამასახლისისაგან იღებდნენ სავაჭრო-სამგზავრო ბილეთს, რომლითაც დასახელებულ პირს უფლება ეძლეოდა ეყიდა ყოველგვარი საქონელი.

პირუტყვის შესაძენად წასულ ქართველ მთიელებს დღესაც შეხვდებით ჩრდილო კავკასიის აულებში.

მეწვრილმანეობა

დიდი ოჯახის ან მონათესავე საგვარეულოების რამდენიმე მამაკაცი, ე. წ. „გლეხვაჭრები“ „მეწვრილმანეთა“ ამხანაგობას ქმნიდნენ. სავაჭრო საქმიანობის გაშლა-გაფართოებისათვის ამხანაგობის ყოველ წევრს განსაზღვრული რაოდენობის ფული შეჰქონდა. აქედან იქმნებოდა საერთო თანხა, რომელზეც ამბობდნენ „ფული შევაყენეთო“. იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილო კავკასიის აულებსა და დაბებში სავაჭროდ იხარჯებოდა. ამხანაგობა თავისი წევრებიდან ირჩევდა თავკაცს, რომელიც გამოირჩეოდა ასაკითა და სავაჭრო საქმიანობაში გამოცდილებით, იცოდა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ენები, ჰყავდა იქ კერძები და სხვა ნაცნობ-მეგობრები, ესმოდა რუსული ენა და იცნობდა რუსეთის ქალაქებს. მის მოხერხებულობაზე იყო დამოკიდებული მეწვრილმანე ამხანაგობის სავაჭრო წარმატება. ამხანაგობა თავკაცს ყოველმხრივ ენდობოდა და საერთო თანხასაც მას აბარებდა. თავკაცი საქონლის შესაძენად მიეგზავრებოდა საქართველოსა და რუსეთის ქალაქებში: მოსკოვში, როსტოვში, არზამასში, კრასნოდარში, თბილისსა და ქუთაისში. მათ საქონელი ჯერ მთის რაჭაში მიჰქონდათ, შემდეგ ჩრდილო კავკასიის აულებში გადაჰქონდათ. თავკაცის სამგზავრო ხარჯებისათვის გამოყოფილი იყო გარკვეული თანხა, რომელიც საერთო თანხაში არ შედიოდა. თავკაცი ფულს მომჭირნედ ხარჯავდა, საქონელს არჩევდა, რომ ამხანაგობას მოგება ენახა, ყოველი მოტანილი საქონლის გასაღების შემდეგ იგი ამხანაგობას ანგარიშს აბარებდა. მეწვრილმანეთა ამხანაგობა მეტწილად იმ აულებს ეტანებოდა, სადაც კერძები ჰყავდათ და მოსახლეობასთან სავაჭრო ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი. მეწვრილმანეები საქონლით კარდაკარ დადიოდნენ და „წვრილმანთა“ დასახელებით მოსახლეობას აულში მისვლას ამცნობდნენ. მოსაზღვრე მთიელებში არ დარჩენილა ისეთი

აული, რაჭველ მეწვრილმანეებს რომ არ გაევლოთ. დუდარიკო ცალიკოვის (აული ნოგაუ) გადმოცემით ოქტომბრის რევოლუციამდე ქურთაულის ხეობაში მოდიოდნენ ქართველი მეწვრილმანეები და მანუფაქტურით ვაჭრობდნენ. „მალყარ ებზე“-დ წოდებული ღებელი და ჭიორელი გლეხები, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, კავკასიონის მთავარი ქედით დაკავშირებული ყოფილან მალყარლებთან, სადაც მიჰქონდათ: აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, რკინეული, თან მიჰყავდათ ონელი და ქუთაისელი მეწვრილმანე მცენაური ებრაელები. რაჭველების მსგავსად ებრაელებსაც გაუჩენიათ მთას იქით კერძები და ისინიც ისევე დაფასებული ყოფილან ჩრდილოკავკასიელ მთიელებში, როგორც ქართველები.

ვაჭრები კერძმოკეთეებს შორის ნაწილობრივ თურქული, რუსული და ქართული მონეტებით ვაჭრობდნენ, მაგრამ რადგან მთიელი მოსახლეობა ფულის ნაკლებობას განიცდიდა, უმეტესობა საქონელგაცვლით ვაჭრობას არჩევდა. ჩრდილოკავკასიელ მთიელებზე ჯერ კიდევ ვახუშტი წერდა: „არა უწყიან თეთრი (ვერცხლის ფული—ს. რ.), არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხაური, ძროხა და ტყუე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით“[1]. ასე მომდინარეობდა ოდითგანვე და XIX საუკუნეშიც ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შორის ვაჭრობა უმეტესად გაცვლითი ხასიათისა ყოფილა, მაგრამ ეს არ შეიძლება სააღებმიცემო ურთიერთობის პრიმიტიულობით აიხსნას, მოსახლეობას ფულის მნიშვნელოვანი რაოდენობა ფართლეულისა და სხვადასხვა წვრილმანი საქონლის შესაძენად სჭირდებოდა, რასაც ჩრდილო კავკასიაში კი არა, საქართველოსა და რუსეთის საშრეწველო ქალაქებში იძენდნენ. ასე რომ, თუ ქართველი ვაჭარი თავის საქონელს ჩრდილო კავკასიაში გაყიდდა, ფული ქალაქში უნდა წაეღო, რათა მისთვის საჭირო ნაწარმი ეყიდა. მაგრამ რაკი ჩრდილოკავკასიური პირუტყვი, ჩოხა-ნაბადი, შალის ქსოვილი, ქურქი, ტყავეული საქართველოში ძვირად ფასობდა, ამიტომ ჩრდილო კავკასიიდან უმეტესად ფული კი არა, პირიქით პირუტყვი მოჰყავდათ და იქაური შინ ნაწარმი

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 640.

საქონელი მოჰქონდათ, რომელსაც საქართველოში მოგებით ყიდდნენ, ხოლო მიღებული ფულით ისევ სამრეწველო ან სხვა საქონელს იძენდნენ, რომ სავაჭრო საქმიანობა განეგრძოთ. ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საქონელბრუნვის რთულ ოპერაციასთან და არა ნაწარმის გაყიდვის მარტივ ფორმასთან.

XIX საუკუნის 60-70 წლებიდან სასაქონლო ფულადი მეურნეობის ზრდასთან ერთად ვაჭრობაში აღებ-მიცემობის ფორმა თანდათან კარგავს თავის ნიშვნელობას და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ეკონომიკაში ფეხს იკიდებს ფულით ვაჭრობა. მალყარში ხმარებაში შემოდის რუსული ფული — მანეთი, აბაზი, კაპიკი. ამ პერიოდში კიდევ უფრო გასშირებულა რაჭველების სავაჭრო საქმიანობა მთას იქითა აულებში. კერძმოკეთეობის საუკუნოვანი ტრადიციები, ხალხთან სულიერი სიახლოვე, ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ენებისა და ზნე-ჩვეულებების კარგი ცოდნა ხელს უწყობდა ქართველებს ფართოდ გაეშალათ ვაჭრობა მეზობელ მთიელებთან.

დიდვაჭრობა

ცარიზმი, ატარებდა რა მკაცრ კოლონიურ პოლიტიკას, XIX საუკუნის დასაწყისში ცდილობდა ვაჭრობის გაფართოებას ჩრდილო კავკასიაში, რასაც რუსეთის მზარდი ბურჟუაზიის მოთხოვნები უკარნახებდა. ამასთან ცარიზმი ცდილობდა ვაჭრობის დახმარებით ჩაეხშო მთიელთა ანტიკოლონიური ბრძოლა და თავის გავლენის ქვეშ მოექცია ისინი. ამ დროიდან გახშირებულა რუსეთიდან საქართველოში ფაბრიკული ნაწარმის შემოტანა, რომელიც ქართულ საქონელთან ერთად მთას იქით გადაჰქონდათ. ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ქართულ საქონელს, ძველთაგანვე დიდი მოწონება ჰქონია. ძვირფას საქონელს, სადაურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მალყარელი უწოდებდა „გურჯი ჩუმაყ"-ს (ქართული ფართალი), აბრეშუმზე ამბობდნენ „გურჯი დარი" (ქართული აბრეშუმი), წუღა-ფესტზე—„გურჯი ჩა" (ქართული წუღა), ხილეულიდან ჩრდილოკავკასიელებში განთქმული ყოფილა „გურჯი ალმა"

(ქართული ვაშლი). დიდვაჭრებს ანუ, როგორც რაჭველები ეძახდნენ, მედუქნეებს შორს გაჰქონდათ ქართული საქონლის ღირსება.

საყურადღებოა, რომ დუქნები არა მარტო სავაჭრო, არამედ ჩრდილოკავკასიის აულებში ქართული კულტურის თავისებური კერებს წარმოადგენდნენ, მედუქნეები კი ქართული კულტურის გამავრცელებლები იყვნენ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ჩრდილოკავკასიელ მთიელ მამაკაცთა აულურ თავყრილობაში, საზოგადოებრივ და საოჯახო საქმიანობაში, ხალხურ სპორტულ შეჯიბრებებში. ისინი ხელს უწყობდნენ აგრეთვე მთას იქით ქართული ხალხური სიმღერებისა და თქმულებების გავრცელებას.

რაჭველებს კერძების ენის ცოდნა ხელს უწყობდა მათთვის მშობლიურ ენაზე მოეთხროთ ქართული ხალხური ზღაპრები და იგავ-არაკები: მათი საყვარელი საკითხავი წიგნები ყოფილა: „თამარიანი", „დავითიანი", „დიდი მოურავი", „არსენას ლექსი", „ანაბაჯი", „ვეფხისტყაოსანი", რომელიც თურმე ბუდამ თან დაჰქონდათ და, ვისაც უფრო ეხერხებოდა კითხვა, ის დუქანში შეკრებილ ჩრდილოკავკასიელ მთიელებს უკითხავდა „ვეფხისტყაოსანს", თან მხატვრული კითხვის ოსტატობით ხიბლავდა მსმენელებს. მშობლიურ კერას დიდი ხნით მოწყვეტილი რაჭველი მედუქნეები ქართული წიგნებითა და სიმღერებით იქარვებდნენ ნაღველსა და სევდას. ყოველივე ეს კერძების თანამონაწილეობით ხდებოდა. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მამაკაცები თავისუფალ დროს დუქანში აწყობდნენ შეჯიბრებას გაშაირებაში. მალყარში და ყარაჩაიში განთქმული ყოფილა დიდვაჭარი, მელექსე ნესტორ (ყალეენთი) რეხვიაშვილი, რომლის ლექსებს მთის რაჭასა და მალყარში დღესაც ჰყვებიან. დიდვაჭრები სოფლის მეურნეობას არ ეწეოდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა იყო, ამიტომ დიდვაჭრებს „გარეთ გასულ კაცებს" ეძახდნენ.

რეფორმის შემდეგ საქართველოში და, საერთოდ, მთელ ჩრდილო კავკასიაში, შინამრეწველობა საგრძნობლად დაეცა, მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატის კონკურენციის შედე-

გად. ვ. ი. ლენინი წერდა: „.. რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა ამის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის".[1] ამ დროიდან მომხმარებელი ადგილობრივ დარაიას, შალს, ხამის ქსოვილებს რუსეთიდან შემოტანილ იაფსა და ნაზ მიტკალს, ჩითს, აბრეშუმსა და მაუდს აძჯობინებდა. ამიტომ იყო, რომ ქართველი მედუქნეების უმთავრესი ყურადღება მოსკოვური საქონლით ვაჭრობაზე ყოფილა მიპყრობილი. მედუქნეები პირველ რიგში კერძებს უკავშირდებოდნენ და, თუ შესაძლებლობა იყო, თვით კერძის ბინაშივე გამოჰყოფდნენ ოთხას დუქნისთვისაც და საცხოვრებლადაც. ბინის წლიური ქირა მეპატრონისა და მედუქნის შეთანხმებით განისაზღვრებოდა. კერძები ან შეღავათიან ფასებში აძლევდნენ ბინას ყონაღებს, ან სულ არ ახდევინებდნენ ქირას.

იმ პერიოდში მეზობელ ჩრდილოკავკასიელ მთიელებში არ ყოფილა აული, სადაც ერთი ან ორი ქართველის დუქანი მაინც არ ყოფილიყო. განსაკუთრებით მალყარისა და ყარაჩაის მაღალმთიან ადგილებში, ხსნიდნენ ქართველები ფარჩეულობის დუქნებს. მრავალ მოგზაურს უნახავს ჩეგემში, ბაქსანში, დიდმალყარსა და ყარაჩაიში რაჭველები თავის დუქნებით.

დუქანი არ გამოირჩეოდა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ქოხისაგან, მხოლოდ მის წინა ფასადზე გამოკრული აბრა მიანიშნებდა ქოხის დანიშნულებაზე. მაგალითად, აულ ზემო თებერდაში ნანაკ და ასტაკუ ბაიჩუროვების სახლის ერთ-ერთ ოთახს ჰქონდა აბრა წარწერით: „აქ მანუფაქტურითა და წვრილმანი საქონლით ვაჭრობს ციოყ (შიო) რეხვიაშვილი". იმ დროს აულ ზემო თებერდაში მოქმედი ოთხი დუქნიდან ყველაზე საუკეთესო შიოს დუქანი ყოფილა. აულ უჩქულანში 1913 წლის აღწერით, 15 დუქანი ყოფილა, აქედან ექვსი ქართველებს ეკუთვნოდათ; აულ კარჯურთში ცხრა დუქნიდან ოთხი ქართველების ყოფილა; აულ ხურძუკში ხუთი

---

1. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 704.

დუქნიდან ოთხში ქართველები ვაჭრობდნენ. კერძების ნებასურვილითა და ხელშეწყობით აღნიშნული საქონლის უმეტესობა ხვდებოდა საქართველოში, კერძოდ სვანეთში, განსაკუთრებით რაჭის მაზრაში, იქ, სადაც ყველაზე მეტად ეხერხებოდათ კერძებს გადასვლა და სავაჭრო საქმიანობა.

მედუქნეები საქონელს ნისიად იძლეოდნენ: ამის შესახებ საგანგებო რეესტრში, ე. წ. დაეთარში, ჩაინიშნავდნენ, ანგარიშსწორება კი წლის ბოლოს ხდებოდა, ამ შემთხვევაში მედუქნეები ვალში პირუტყვის აყვანას ამჯობინებდნენ. რაც მთიელისთვისაც ხელმისაწვდომი იყო, რადგან მათ პირუტყვი მრავალი ჰყავდათ. შეძენილ პირუტყვს მედუქნეები ზამთარში კერძებთან ამყოფებდნენ, ზაფხულში ან შემოდგომაზე საქართველოში გადაჰყავდათ და იქაურ ბაზარზე მოგებით ყიდდნენ. კერძმოკეთეებს შორის ამ საინტერესო სავაჭრო გარიგებას ბ. ნიჟარაძე ასე აღწერს: „ფარჩეულობას რაჭველები შემოდგომით შინაურ პირუტყვზე ასაღებდნენ, ზამთარს იქ ინახავდნენ და ზაფხულობით მოჰყავდათ გასასყიდად იმერეთში სხვადასხვა სოფელ-ქალაქების ბაზრობებზე, მაგალითად, ლეჩხუმს, სექტემბრის თვის ბაზრობაზე საქონელს ყიდდნენ ფულად. ამ ფულით კიდევ ფარჩეულობას ყიდულობენ და ისევ მიაქვთ ოსეთში საქონელზე გასაცვლელად. ამნაირად, წარმოებს აღებ-მიცემობა ზემო რაჭველებსა და ჩრდილოკავკასიის მთიელებს შორის"[1].

ვაჭრობის გაფართოება თავისებურ გავლენას ახდენდა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. ერთი მხრივ, ეს მათ უბიძგებდა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისაკენ. მრავალი სახეობის საქონელი (შალის ქსოვილი, ნაბადი, ხალიჩა, ქურქი) მზადდებოდა საგანგებოდ გასასყიდად, მაგრამ უფრო იაფი ფაბრიკული საქონლის შემოტანა აფერხებდა შინამრეწველობას და ავიწროებდა ადგილობრივი ნაწარმის გასაღების ბაზარს. ასეთ პირობებში მთიელები ამჯობინებდნენ გაეყიდათ საკუთარი ნაწარმი შალი, რომლის ფასიც დაეცა რუსული ფაბრიკული საქონლის გავლენით და, სამაგიეროდ ეყიდათ ფართლეული და სხვ.

[1] ბ. ნიჟარაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 42.

ფაბრიკული საქონლით ვაჭრობაში ერთმანეთს კონკურენციას უწევდა ვაჭართა სხვადასხვა ამხანაგობა. ყველა ცდილობდა ისეთი საქონელი შემოეტანა, რომელზედაც მეტი მოთხოვნილება იყო, რომ მყიდველი მიეზიდათ.

კერძები რაჭა-ლეჩხუმის ბაზრობაზე

ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების სავაჭრო. საალებმიცემო ურთიერთობა არასოდეს შეწყვეტილა და, არც ცალმხრივი ყოფილა. როგორც ქართველები ხშირად გადადიოდნენ მთას იქით სავაჭროდ, ასევე განუწყვეტელი იყო კერძების კავშირი საქართველოს მთა-ბარსა თუ მის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებთან.

ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან სავაჭრო საქმიანობით ოდითგანვე განთქმული ონი ან, როგორც კავკასიელი მთიელები ამბობენ, ონქალაქი და მასთან სოფლები ღები, ჭიორა. გლოლა მთელ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებად გადაქცეულან, რაც ხალხურ გადმოცემებს გარდა, ბრავალრიცხოვანი ლიტერარითაც დასტურდება.

კერძები სანამ ონში, ამბროლაურსა და ჩონში ჩავიდოდნენ, ჯერ ჭიორელ და ღებელ ყონაღებთან შეივლიდნენ, დაისვენებდნენ, ქართველ მოკეთეებს რჩევა-დარიგებას სთხოვდნენ, სად სჯობია პირუტყვის გასაღებაო, და მერე გაუდგებოდნენ გზას ქვემო-რაჭა-იმერეთ-ლეჩხუმის ბაზრებისაკენ სავაჭროდ.

თუ კერძები თავიანთ მხარეში თავგამოდებით ზრუნავდნენ ქართველი ყონაღების უსაფრთხოებისათვის და ყოველნაირად ეხმარებოდნენ მათ, ასევე ქართველი მთიელები დიდი პატივით იღებდნენ კერძებს შინ. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მესვეურები ოსთა შორის ერთგულ პირებს (კერძებს) იჩენდნენ და მათ შეღავათებსა და თავის ქვეყანაში თავისუფალი მიმოსვლის პირობებს უქმნიდნენ. საინტერესოა რაჭის ერისთავის მიერ ოსი ივანე და ყამირზა ელყანაშვილებისათვის ხელუხლებლობის (შინა) წიგნის მიცემა. წიგნი უთარი-

ღოა (XVIII ს.). „ერისთავი შოშიტა, — ნათქვამია მასში, — უზედესთა შოგახსენებთ და უქვედესთა გიამბობ ამ ულყანას ოსს ჩვენი შინა წიგნი აქვს და ჩვენთან დაიარება და ვისაც ჩვენი თავი გინდოდესთ, ამ ულყანას და მის შვილს ყამირზას ძალით ღა უსამართლოთ არავინ არ აწყენიოთ ან სხვის პირობაზე არავინ გასცარცოთ, თუ ვისმე ამასთან საქმე ქონდესთ, ჩვენთან მოდით და სამართლიანის საქმით ჩვენ გაგარიგებთ. აღნიშნული წიგნით შოშიტი ოსს კერძებს უხიფათო მგზავრობის პირობებს უქმნის. ერეკლე II-რე 1782 წელს თავის სახასო ყმებს ზარომაგელ ოსებს წერს: „ამილახვრიშვილი ბეჟან გამომიგზავნია და ჩვენ სიტყვას ყველას ეს გიამბობთ, ჩვენთანაც ჩამოდით, ქართლშიც იარეთ, ვერცა ვინ დაგიჭერთ, ვერცა ვინ რას გაწყენინებთ“.[1]

აღნიშნულ სავაჭრო საქმიანობაში თვით მალყარელი და ყარაჩაველი ტაუბიებიც მონაწილეობდნენ, მათ საკუთარი პირუტყვი გადმოჰყავდათ რაჭაში გასასყიდად გეზე-ვცეკის უღელტეხილით. ჭიორელი და ღებელი ემჩეკები ხაზეიმო შეხვედრას უწყობდნენ კერძ ტაუბიებს, რომლებსაც შემდეგ თავისი პირუტყვით ქუთაისისა და ონის ბაზრებისაკენ მიაცილებდნენ, მეგზურობასა და თარჯიმნობას უწევდნენ, თან სავაჭრო საქმიანობაში ეხმარებოდნენ. ტაუბიები მეგობრობდნენ ქუთაისის მაღალი წოდების მოსახლეობასთანაც, რომლებიც მათ გულუხვად ხვდებოდნენ, ტაუბიები ქართველ ყონაღებს ასაჩუქრებდნენ ცხენებით, სამაგიეროდ თვითონაც კარგ საჩუქრებს იღებდნენ. ხშირი იყო შემთხვევა ჩრდილოკავკასიელი პირუტყვით მოვაჭრე კერძების მიერ მთას იქიდან პირუტყვის გადმოყვანისა. ქუთაისის გუბერნიაში 1899 წლის ცნობით, მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში ყარაჩაველებს საქართველოს ბაზრებზე გასასყიდად გადმოუყვანიათ 161 სული მსხვილფეხა და 262 თხა-ცხვარი.

რაჭის სადაბო და სასოფლო ბაზრობებში ჩრდილოკავკასიელი მთიელების მონაწილეობას მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, ისინი წერენ: რაჭის მაზრაში ვაჭრობა ძირითადად ონში და ამბროლაურში წარმოებს. ვაჭრობენ შინ ნაწარმი

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, საბ., 1375.

ქსოვილებით, ღვინით, მესაქონლეობის პროდუქტებით, ხილეულით... ბუგეულში ყოველთვიურად იმართებოდა შვიდღიანი ბაზრობა, სადაც ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ ვაჭრებს შეხვდებოდით. სვანური ქოლოქოლის ეთნოგრაფიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ ცენტრალური კავკასიონის მთიელთა შორის ოდითგანვე გაცხოველებული აღებ-მიცემობა ყოფილა გაჩაღებული, რაც ძირითადად გზაჯვარედინებზე მდებარე აღნიშნულ სოფლებსა და დაბებში ხდებოდა. საქართველოსთან დიგორისა და ბასიანის ვაჭრობით დიდი დაინტერესება კარგად ჩანს 1831 წელს გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლისადმი გაგზავნილ სიმონოვიჩის წერილიდან, რომელშიც ნათქვამია: „თქვენი ბრწყინვალების წერილის პასუხად გაუწყებ, რომელ როგორც თქვენგან ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებულთ დიგორელთ, აგრეთვე მეზობელთაცა მათ და ბასიანის მცხოვრებთა დაუყვავოთ და კიდეც ატაროთ რაჭას ისინი, რომელთაც რუსეთის მართებულობისათვის ბოროტი განზრახვა არა ჰქოდესთრა. და როგორც გწერთ ოდეს ჩამოსხან მათ ცხენის ჯოგი გასაყიდათ, მაშინ ჭიდროტის ციხეში მათგან სახელმწიფოდ ბაეიც აიღონ“[1]. რიონის მარჯვენა ნაპირზე უწერის მახლობლად, ჭიდროთის ციხესთან, მართლაც დიდი საბაჟო ყოფილა, რომლის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი. იმერეთის მეფეს აღნიშნული საბაჟოდან ქუთაისის შემდეგ ყველაზე დიდი შემოსავალი ჰქონია.

რაჭის მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიგორის სიახლოვეს, საიდანაც გაჭირვების ჟამს ზურგით გადმოჰქონდათ კერძებისაგან ნაჩუქარი თუ წვრილმან საქონელში გაცვლით აღებული სიმინდი. ა. გოგიევის (აული ნარი) გადმოცემით, რაჭველებს ალაგირის ხეობის აულებში მიჰქონდათ ხის ჭურჭელი და ცვლიდნენ სიმინდზე, ამრიგად, მთელი რაიონის ზემო წელის მოსახლეობა და ონის მახლობელი სოფლების მცხოვრებლები პურისა და სიმინდის მარცვალს, ძირითადად, ჩრდილო კავკასიიდან ეზიდებოდნენ. რაჭველებს კერძმოკეთეების დახმარებით

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sb, საბ., 1672.

ბრავალჯერ უხსნიათ თავი შიმშილისაგან. გაზეთ „შრომის“ 1882 წლის 15 სექტემბრის ნომერში, ეწერა: „რაჭველები, შიმშილისაგან თავი რომ დაიხსნან, მიდიან კავკასიის მთის გადაღმა ადგილებში, პურისა და სიმინდის საყიდლად, მაგრამ უგზოობის გამო ვაი-ვაგლახით გადმოაქვთ მარცვალი ცხენით მამისონის გზით. კოდი პური რომ ადგილზე მანეთად იყიდონ, მოტანა უსათუოდ ორი მანეთი დაუჯდებათო“. 1894-1895 წლებში მოუსავლიანობით შეწუხებულ რაჭის მოსახლეობას ისევ კერძებისათვის მიუმართავს დახმარებისათვის, მათგან შეუსყიდიათ სიმინდი. შემდეგში ოს მეურმეებს თვით დაუწყიათ სიმინდის რაჭაში გადმოტანა და სოფელში კარდაკარ დატარებით მოსახლეობისათვის მიყიდვა, ონის ბაზარზეც მიჰქონდათ მარცვალი გასასყიდად, 1890 წლის 7 სექტემბრის გაზეთ „ივერიაში“ კი წერია: „ონში სალიგვარდიდან და თერგის ოლქის სხვა აულებიდან ოსებს სიმინდი ბლომად გადმოაქვთ ურმებით. კოდი სიმინდი იყიდება რვა აბაზად, ოსური საწყო კი ოთხ აბაზად“. ამ პერიოდში იმდენად გახშირებულა ჩრდილო ოსეთიდან რაჭაში სიმინდის შემოტანა, რომ გზისპირა უწერელ გლეხებს ხშირად უნახავთ სოფლის შარაგზაზე გამწკრივებული ურმების ქარავანი, რომლებსაც ჩრდილო კავკასიიდან სიმინდი მოჰქონდათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მთის რაჭის სოფლებში მამაკაცთა საკრებულო მოედანზე, ე. წ. სანახშოებზე, ყანთარად წოდებული ხის დიდი უღელა სასწორები ჰქონდათ გამართული და კერძებისაგან ფუთობით ყიდულობდნენ სიმინდის მარცვალსო, ამბობენ რაჭველები.

მარცვლეულის შეძენის მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ჩრდილო ოსეთის ბარი, ე. წ. „მინდორი“, საიდანაც რაჭველები მამისონის გზით ცხენ-ურმით ეზიდებოდნენ სიმინდს მათთვის ხელსაყრელ ფასებში, რითაც კონკურენციას უწევდნენ ოს მეურმეებს.

მთის რაჭის მოსახლეობა ოდესღაც კერძებთან საძოვარი მთების მიქირავებითაც ყოფილა დაკავშირებული. მეზობელი მთიელები ზაფხულში არენდით იღებდნენ საძოვარ მთებს, სადაც ძირითადად საქართველოს ბაზრებში გასაყიდი პირუტყვი

გადმოჰყავდათ იმ განზრახვით, რომ პირუტყვს ჯერ მთაში გაასუქებდნენ, მერე გვიან შემოდგომით, როცა საუღელტეხილო გზებზე მიმოსვლა შეწყდებოდა და რაჭველ ვაჭრებს მთის იქიდან პირუტყვის გადმოყვანის საშუალება აღარ ექნებოდათ, თანაც ბაზრებში პირუტყვის ფასი აიწევდა, რაჭალეჩხუმის ბაზრებზე მაშინ წაიყვანდნენ პირუტყვს გასასყიდად. საძოვარი მთების გაქირავების საუკეთესო პირობები ჰქონდათ ღებსა და გლოლას. ყარაჩაი-მალყარი-დიგორისა და ბასიანის, დვალეთის მეჯოგეები ტერიტორიული სიახლოვისა და მოხერხებულობის გამო რაჭის მთებს ეტანებოდნენ. მალყარლები, ყარაჩეველები, დიგორლები და ბასიანლები უმეტესად ღების ფასის მთის მიდამოებს ქირაობდნენ, აქ მოგზაურებს ხშირად უნახავთ ჩრდილო კავკასიელი ბეჯოგეები თავისი პირუტყვით.

კონსტანტინე მიზნაევი (აული მახჩესკა) გადმოგვცემს გლოლის მთებში სამ თვეს—ივნისს, ივლისსა და აგვისტოს ვაძოვებდით ცხვარს, ქირად 100 ცხვარზე ერთ ცხვარს ვაძლევდითო.

მთების გაქირავება ხდებოდა სოფლის თავკაცების ბეჯოგეებთან სიტყვიერი გარიგებით, რაც ზოგჯერ წერილობითაც ფორმდებოდა. ერთ სულ ცხვარზე ქირად დადგენილი იყო 5 კაპიკი. ამას გარდა, მეჯოგეს 100 სულ ცხვარზე ერთი ცხვარი უნდა მიეცა. როგორც ჩანს, მთების ქირა თანდათან გაზრდილა. საძოვარ მთებს აქირავებდნენ როგორც კერძო ოჯახებს, ისე სასოფლო თემებსა და საზოგადოებებს. შემოსავალი სოფლის ყოველ კომლზე თანაბრად ნაწილდებოდა, ან სასოფლო საქმეს ხმარდებოდა. ჩრდილოკავკასიელ მთიელებზე საძოვრების ქირით გაცემა ერთხანს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ხდებოდა. ამის შესახებ სერგო რეხვიაშვილი გადმოგვცემს, ზაფხულობით გლოლის, ჭიორისა და ღების მთებში თერგის ოლქიდან გადმოჰყავდათ ათიათასობით თხა-ცხვარი. საძოვრები იჯარით იცემოდა ჯერ რაჭის აღმასკომის მიწით მოქმედების განყოფილებისა და, შემდეგ 1924-1925 წლებში კერძო მოჯამაგირეების მიერო.

ასე მჭიდრო და განუწყვეტელი იყო ქართველ და ჩრდი-

ლოკავკასიელ მთიელთა სახელოსნო და სავაჭრო საღებმიმ-
ცემო კავშირი, მაგრამ მათი ურთიერთობა ამით როდი ამოი-
წურებოდა.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკუ-
რი თვალსაზრისით გარე სამუშაოზე გასვლას დადებითი შე-
დეგი მოჰყოლია, რაც ძირითადად სოფლის მშრომელი მოსახ-
ლეობის მოწინავე რევოლუციური იდეებით გათვითცნობი-
ერებით გამოიხატა. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელ-
თა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში დაიწყო რევოლუციი-
ური თანამეგობრობის ახალი ეტაპი.

ძერძმოკეთეობა და მთიელთა რევოლუციური თანამეგობრობა

ქართველი მთიელების ბედი მუდამ ჰგავდა მეზობელი ჩრ-
დილოკავკასიელი ხალხების ბედს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიამ მტკიცედ
მოიკიდა ფეხი კავკასიაში; თვითმპყრობელური რეჟიმის მო-
ხელეები, რომლებიც დაწესებულებებს ჩაუყენეს სათავეში,
არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ ტრადიციებსა
და ადათ-ჩვეულებებს, საშინლად ავიწროებდნენ ხალხს. ყო-
ველივე ეს მთიელთა აღშფოთებასა და უკმაყოფილებას იწ-
ვევდა. გადასახადები და მძიმე შრომითი ბეგარა საშინელ
განსაცდელში აგდებდა ისედაც გაძვალტყავებულ მთიელ
გლეხებს.

ტანჯულ მთიელებს დიდხანს ედოთ გულში ჩაგვრელების
ზიზღი და შურისგება, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში გა-
უთვითცნობიერებლებს უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად
ხსნის გზა ვერ გამოენახათ. თუმცა უსამართლობის წინააღმ-
დეგ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების საუკუ-
ნოვან ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი გადაიზარდა
ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისა და ცარიზმის კოლო-
ნიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XX საუკუნის დასაწყისი რუსეთის იმპერიაში აღინიშნა
მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის

აღმავლობით. ამ მოძრაობამ განსაკუთრებით ორგანიზებული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. რევოლუციის ქარიშხალმა უფრო მეტად აღანთო მთიელები მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად და ერთსულოვნად დარაზმა ისინი.

ამიერიდან ხალხთა ტრადიციულ ძმობასა და მეგობრობას ახალი გასაქანი მიეცა. კავკასიის ხალხებმა იგრძნეს, როგორ ახლოვდებოდა ახალი ეპოქა, რევოლუციურ ძალთა ახალი აზვირთება, რომელსაც სათავეში რუსეთის სახელოვანი მუშათა კლასი ედგა. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების დაახლოებას მრავალი ფორმა ჰქონდა. სიმბოლური იყო თუნდაც ის ამბავი, რომ ოსეთის დიდი მგოსნის კოსტა ხეთაგუროვის დასაფლავებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი რევოლუციონერები, (კერძოდ ნოე ბუაჩიძე), როგორც ადრე თვითონ კოსტამ სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე წერილი გამოაქვეყნა დიდი ქართველი მწერლის ალექსანრე ყაზბეგის ტრაგიკულ ბედზე. ყველაფერი ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ ხალხები ძმურად უწვდიდნენ ხელს ერთიმეორეს.

ახლო ლიტერატურული ურთიერთობა უშუალოდ უკავშირდებოდა პოლიტიკურ ბრძოლას. იგივე ნოე ბუაჩიძე ხშირად მიდიოდა მუშებთან გროზნოს ნავთობის სარეწებში და ეწეოდა დაუცხრომელ პროპაგანდისტულ საქმიანობას. 1905 წლის მაისიდან რევოლუციურმა მოძრაობამ ჩრდილო კავკასიაში ნამდვილი სახალხო ხასიათი მიიღო.

1905-1907 წლებში მთის რაჭაში ბოლშევიკური ორგანიზაციები არ იყო, გლეხთა შორის რევოლუციური იდეების გავრცელებას ეწეოდნენ ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენტები, დემობილიზებული ჯარისკაცები, ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის სამრეწველო ცენტრებსა და სოფლებში მომუშავე რაჭველი მუშები, ხელოსნები... ასეთ პროპაგანდისტებს რაჭველები „მერუსეთეებს“ ეძახდნენ.

„მერუსეთეები“ რაჭაში დღემდე შემორჩენილ მამაკაცთა ტრადიციულ საკრებულო ადგილზე — სანახშოზე იკრიბებოდნენ, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო; ორატორები გლე-

ხობას მოუწოდებდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისმოდა მოწოდებები: „გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობას“! „ძირს ნიკოლოზი“! და ა. შ.

ჩრდილო კავკასიაში 1905 წლის რევოლუციისა და შემდგომ პერიოდებში რევოლუციურ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რაჭველი ახალგაზრდები, რომლებიც გაჭირვებული ცხოვრების პირობებმა, მათს მამებთან ერთად, საშუშაოდ იქაურ ქალაქებსა და მივარდნილ აულებში გადახვეწა. შემთხვევითი არ არის, რომ მათგან ბევრი შემდგომში ცნობილი რევოლუციონერი გამოვიდა. მათ შორის ღებელი მიხეილ (მიხა) შახის ძე ლაშხი-ლობჯანიძე.

მიხა ლაშხ-ლობჯანიძესა და სხვა ქართველ რევოლუციონერებს ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან კერძმოკეთეობის მამაპაპურმა ჩვეულებამ დიდად შეუწყო ხელი რევოლუციურ საქმიანობაში; ჩრდილო კავკასიის შორეულ სოფლებში მათ მთელი ხალხის თანაგრძნობა, გულთბილი შეხვედრა ელოდათ და საფრთხის დროს თავშესაფარს აძლევდნენ, ძველი ტრადიციით, აულში ყონაღის გაცემას ვერავინ გაბედავდა, პურის ჭამაცა და ღამის გათევაც უფასო ჰქონდათ. ამ წესიდან გადახვევა მთელი საგვარეულოსა და აულის დიდ სირცხვილად ითვლებოდა, კერძმოკეთის მოღალატე ხალხის რისხვას ვერ ასცდებოდა; ამიტომ იყო, რომ ამ მიუვალოებში ქართველ რევოლუციონერებს რეაქციის შავბნელ ხანაშიც კი უვნებლად და თამამად შეეძლოთ ბოქმედება. მიხა და მისი მეგობრები, კერძმოკეთის იმედით გამხნევებულნი, ჩრდილოკავკასიელ მთიელებში რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ, საბრძოლველად მოუწოდებდნენ, პროკლამაციებს ავრცელებდნენ. მოსახლეობას ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას განუმარტავდნენ და მშრომელ ხალხს მჩაგვრელების დასამხობად გულს აღუნთებდნენ. მიხა ლაშხ-ლობჯანიძესა და მის რაზმს კერძების მხარდაჭერამ და ხელშეწყობამ გააბედვინა ზამთრის დღეებში დიგორიდან კირტიშოსა და კარაგომის უღელტეხილებით რაჭაში გადასვლა. მიხას რევოლუციურ ბრძოლებში მხარში ედგნენ თანასოფლელები, შემდეგში ცნო-

ბილი რევოლუციონერები: კანდიდ თედეოსის ძე და ილია ვასილის ძე გობეჯიშვილები.

1918 წლის ივნისის ბოლოს საშა გეგეჭკორის რაზმი მამისონის გზით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. პარტიზანები ალაგირში კონტრრევოლუციონერთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იქ მცხოვრები ქართველი რევოლუციონერების დახმარება რომ არა, ვინ იცის, რა განსაცდელი ელოდა რაზმს. ქართველებმა ოსი კერძმოკეთეების პირით შეატყობინეს მოწინააღმდეგეს, თუ გეგეჭკორის რაზმს წინააღმდეგობას გაუწევთ, მთელი ალაგირი თქვენს წინააღმდეგ აჯანყდებაო; ქართველებისა და ოსი კერძების ერთობლივმა და მტკიცე მოთხოვნამ გასჭრა, კონტრრევოლუციონერებს ხელფეხი შეეკრათ, გეგეჭკორი და მისი რაზმი მოსალოდნელ საფრთხეს გადაურჩა.

გეგეჭკორის რაზმს ალაგირელმა ქართველებმა დროებით სადგომად სკოლის შენობა დაუთმეს და იქვე სადილიც გაუმართეს.

ჩრდილო კავკასიაში, სადაც სოციალურ უთანასწორობას ნაციონალური ჩაგვრაც ემატებოდა, მშრომელი მასების ბრძოლამ თავიდანვე შეუპოვარი ხასიათი მიიღო. როცა ოსმა კონტრრევოლუციონერებმა ალაგირელ მასწავლებელს, ოს ევგენი ბიტაროვს მოკვლა დაუპირეს, მის დასაცავად ალაგირის ქართული სკოლის პედაგოგი მარუსია ჯაფარიძე აღიმართა და შესძახა — არ ესროლოთ! მაგრამ უკვე გვიან იყო, თოფი გავარდა, მტრის ტყვია ბიტაროვს ასცდა, მაგრამ საბედისწერო გასროლით მარუსია სამუდამოდ ხეიბარი დარჩა, მარჯვენა ხელი დაჰკარგა. ამის შემდეგ მტერზე შურს იძიებდა მარუსიას და, ისიც პედაგოგი მატრონა ჯაფარიძე, რომელმაც არა ერთი და ორი მოღალატე გამოასალმა წუთისოფელს. ამიტომ მშრომელი ოსი მოსახლეობა იცავდა და დიდ პატივს სცემდა მას. ალაგირის არეულობის დროს იმ მოწინავე ადამიანებს, ვინც გაქცევა ვერ შეძლო, სიცოცხლე მოუსპეს. შავი დღე ელოდა მოხუც სოლომონ მეტრეველს, რომელიც იმ ხანად ალაგირში დარჩა, მაგრამ იგი ოსმა კერძმოკეთეებმა იხსნეს. დუდარ ტულპანოვმა სოლომონ მეტრეველი ღამე ურ-

მით ვლადიკავკავში გააპარა, იქიდან კი საქართველოში გაიცილეს.

ასეთ თავდადებას იჩენდნენ კერძმოკეთეები ქართველი რევოლუციონერებისადმი.

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო კერძმოკეთეების მეგობრობის ძალა და მნიშვნელობა სამოქალაქო ომის დღეებში. კერძი და მისი ქართველი მოკეთე ყონაღი, წინასწარ უთანხმდებოდნენ ერთმანეთს, როგორ ებრძოლათ საერთო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, აწყობდნენ გეგმებს, ეძებდნენ მომხრეებს და ჩაგრულ მთიელებსაც ამხედრებდნენ მდიდრების წინააღმდეგ. ისინი უპირველეს მოვალეობად ბოლშევიკების დახმარებას მიიჩნევდნენ.

ჩრდილო კავკასიაში დენიკინის ბანდების თარეშის მძიმე წლებში რევოლუციურად განწყობილი არა ერთი და ორი ახალგაზრდა, არამედ იყო შემთხვევები, როცა აულის მთელი მოსახლეობა მასიურად გადმოდიოდა მთის რაჭის სოფლებში და აველა თავის ყონაღთან აფარებდა თავს. დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფბის აღდგენისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მშრომელები.

ალექსანდრე ხიდეშელის გადმოცემით, როცა თეთრგვარდიელებს ალაგირი დაურბევიათ, ქართველები ოჯახებით ოსეთის მივარდნილ აულებში მამაპაპურ კერძმოკეთეებს შეხიზვნიან; იმ დროს ქართველ ლტოლვილთა უმეტესობას აულ ქრისტოლავში (ამჟამად დიგორა—რაიონული ცენტრი) მოუყრია თავი და ოს კერძებთან ერთად აქტიური რევოლუციური საქმიანობა და აგიტაცია გაუჩაღებიათ. რევოლუციის მომხრე და თანამგრძნობი აულში მრავალი გამოჩენილა; ეს გამხდარა იმის მიზეზი, რომ კონტრრევოლუციურ ბანდებს მთელი ქრისტოლავი აუწიოკებიათ, ამიტომ იქაურ რევოლუციონერთა უმრავლესობა რაჭაში გადახვეწილა და იქ ქართველ მოკეთეებს შეფარებია.

1920 წლის გაზაფხულზე მენშევიკების ბატონობით უკმაყოფილო გლოველი მამაკაცები, რომლებიც ბოლშევიკებს

ეხმარებოდნენ, სოფლიდან გადახვეწილან. ესენი იყვნენ: ნელიტონ და დავით ბაღაშვილები, იოკიმე გიორგაშვილი, ივანე ხარებაშვილი, მიხეილ ბელაშვილი, თედო ძიძიშვილი, ვასილ გუტაშვილი; ისინი მამისონის გზით წავიდნენ, ღამე აულ ქალაქაში, შიო ბაღაშვილის კერძის — სოფრომ ანზოროვის ოჯახში გაათიეს, იქედან ალაგირში ფეხით ჩავიდნენ, აქ რევკომში გამოცხადნენ, გეგეჭკორის რაზმში ჩაეწერენ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ფიცხელ ბრძოლაში ჩაებნენ.

1919 წლის მაისის შუა რიცხვებში დიგორელი პარტიზანები სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ დენიკინელთა წინააღმდეგ. გაჭირვების დროს ისინი რაჭველ ყონაღებს მიმართავდნენ დახმარებისათვის, საიდანაც ხშირად გადაჰქონდათ სურსათი, ტყვია-წამალი და თოფ-იარაღი. ერთხანს თეთრგვარდიელების მომძლავრების პერიოდში, დიგორის პარტიზანთა რაზმი იძულებული გამხდარა კარაგომის თოვლიან-ყინულოვანი გზით რაჭაში გახიზნულიყო და სოფელ ჭიორაში შეეფარებინა თავი. რაზმის შემადგენლობაში იყვნენ შემდეგში ცნობილი ოსი კომუნისტები: ანდორ თაკოევი, სიმონ თაკოევი, ყაზბეგ ბუტაევი, მასწავლებელი მიხეილ გარდანთი და სხვები. სოფელ ჭიორაში რაზმს ძმები ალექსი და ანდრია (გოგელეენთი) რეხვიაშვილები შეხვდნენ. ცხრა ოსი კომუნისტი, თავიანთი მამა-პაპური კერძმოკეთენი მათ სტუმრად მიიწვიეს, დანარჩენები კი მოსახლეობას შორის გაანაწილეს და თითო-ოროლა მებრძოლი ყველას ოჯახში დააბინავეს. ყველამ თავისი კერძმოკეთე მიიწვია შინ. დიგორის რევოლუციური რაზმის ჭიორაში გადმოსვლის ამბავი რომ შეუტყვია, ონიდან მეორე დღესვე ამოსულა რაჭის მაზრის პოლიციის უფროსი ვანო ბაქრაძე, რომელსაც წითელ პარტიზანთა განიარაღება და მათი მეთაურების მენშევიკური მთავრობისათვის გადაცემა მოუთხოვია. ხალხი აღშფოთებულა, კერძების შეურაცხყოფის უფლებას ცოცხალი თავით არავის დავანებებთო, უთქვამთ და პოლიციელი ვანო ბაქრაძე კუდამოძუებული ონისაკენ გაუსტუმრებიათ. საქართველოში პარტიზანთა რაზმი 1919 წლის ოქტომბრამდე დარჩენილა. წასვლისას რაზმს მეგზურად ალექსი და ანდრია რეხვიაშვილები გაჰყოლიან და დიგორ-

ში ულუბლად გადაუყვანიათ. ამის შემდეგ დივორის რეაქ-
ციური რაზმი რაზმში კიდევ ორჯერ გადმოსულა.

სამოქალაქო ომის წლებში მალყარეთის მთებში მოქმედებ-
და წითელ პარტიზანთა რაზმი ჰაჯიმურატ ასანოვის (აული
მუხოლი) მეთაურობით. წითელი პარტიზანები მტერს თავ-
ზარს სცემდნენ.

1918 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში რეაქციამ იმძ-
ლავრა და მაშინ, როცა ჩრდილო კავკასიის ბარში დენიკინის
თეთრგვარდიელი ბანდები თარეშობდნენ, მალყარელ მთი-
ელებსაც მტრის რაზმებმა შემოუტიეს, მათ ჩეგემის ციწრო
ხეობაში გზა გადაუღობეს წითელ პარტიზანებს, დროებით
წარმატებას მიაღწიეს და საბჭოთა ხელისუფლებისათვის
მებრძოლი მშრომელი მოსახლეობისა და ბოლშევიკების ხო-
ცვა-ჟლეტა დაიწყეს. აულებში სახრჩობელები გაშართეს.
სამჯერ ჩამოუკიდიათ სახრჩობელაზე ჰაჯიმურატის თანამებ-
რძოლი ჯანალა და სამჯერვე გაწყვეტილა თოკი, მაგრამ ვულ-
ქვა ჯალათებს მამაცი პარტიზანი არ დაუნდვიათ, ბოლოს მა-
ინც ჩამოუხრჩვიათ. მტრის ვერაგობით აღშფოთებულმა წი-
თელმა პარტიზანებმა შური იძიეს და სულ მალე სამაგიერო
მიუზღეს მას, ვინც მათი მეგობარი სიცოცხლეს გამოასალმა.
სახრჩობელაზე სიკვდილი ელოდა სასწაულით ცოცხლად
გადარჩენილ ჰაჯიმურატ ასანოვსაც, რომელმაც მტრის გარე-
მოცვას თავი დააღწია და მთაში ერთგულ ოჯახებს შეეხიზნა.

ძნელი დრო დაუდგათ მალყარელ პარტიზანებს, თოვლით
დაფარული მაღალი მთებით შემოსალტული ჩეგემის მიწა-
წყალი მათთვის ხაფანგად გადაიქცა. ნალჩიკიდან ჩეგემისაკენ
მიმავალი ერთადერთი გზა მტერს ეჭირა, წასასვლელი არსაით
იყო, დღეს თუ ხვალ ყველას მტრის ხელით სიკვდილი ელო-
და. სიცოცხლის გადასარჩენად და შემდგომი ბრძოლებისათ-
ვის ძალების მოსაკრებად მხოლოდ ერთი იმედიღა რჩებოდა—
კავკასიონის ძნელადსავალი საუღელტეხილო გზების გადა-
ლახვა და საქართველოს მთიელებში თავის შეფარება, რომ-
ლებთანაც მალყარლებს საუკუნოვანი კერძმოკეთეობის
კარგი ტრადიცია აკავშირებდათ. აპრილში კავკასიონის ქედზე
ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა, თოვლის დნობა და გაჩუდმე-

ბული ზვავები, დახეთქილი ნაპრალები და მთის მწვერვალებიდან ქვების ცვენა ადამიანს ყოველ წუთს დაღუპვას უქადის. ჰაჯიმურატ ასანოვი ჩეგემიდან ფარულად ჯერ დიდმალყარში გადასულა, ოჯახი მოუნახულებია, შემდეგ ბერიკაცებს მიუსწავლებიათ, რომელი გზით წასულიყო საქართველოში და, ვისთან მისულიყო სტუმრად. მის ნათესავებს მამაპაპური, უახლოესი მოკეთეები ჰყავდათ სოფელ ჭიორაში, ეს იყო სეხნო, მათე და პავლე (სეხნოენთი) რეხვიაშვილების ოჯახები.

დრო აღარ ითმენდა, მტერი ჰაჯიმურატს გაფაციცებით დაეძებდა. ის მალყარეთიდან ჯერ დიგორში გადასულა, მერე დიდი გაჭირვებით კარაგომის ულელეხილი გადაუვლია და ჭიორამდე მიეღწევია, მაგრამ შორი და ძნელი გზით დაღლილ-დაქანცულს, მშიერ-წყურვალსა და ფეხებდაძრულს სიარული აღარ შესძლებია, ნაძვის ხის ძირას წაქცეულა და ველარ წამომდგარა. ვინ იცის, რა უბედურად დამთავრდებოდა მებრძოლი ვაჟკაცის ბედი, რომ შემთხვევით გამვლელ ჭიორელ კაცს არ ეშველა. მიხა რეხვიაშვილს უცხო კაცი რომ შეუნიშნავს, მასთან მისულა, ძველი ნაცნობი მალყარელი ჰაჯიმურატი უცვნია და ძალზე გაჰკვირვებია, აქ საიდან გაჩნდაო. მიხას ერთ დროს მალყარის აულ ყოსფართაში სავაჭრო დუქანი ჰქონია, მეზობელ მთიელებთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, მალყარული ენა და ზნე-ჩვეულება კარგად სცოდნია და ჰაჯიმურატს მშობლიურ ენაზე გამოლაპარაკებია მისი გადმოხვეწის ამბავი რომ შეუტყვია, საპატიო სტუმრისათვის გულთბილობა არ დაუკლია, პატივი უცია, პური უჭმევია, მოუსულიერებია და სოფელში წაუყვანია. იმ დროს ჭიორაში თემობაზე მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში ყოფილა თავშეყრილი. მიხას ჭიორლების კერძი მიუწვევია თემობაზე, სადაც მას მრავალი ნაცნობი გამოჩენია. მალყარელი პარტიზანი, კერძიკაცი ჰაჯიმურატი ჭიორლებს დიდი პატივით მიუღიათ. რაჭაში განთქმული მკურნალი თედორა ჩაგელიშვილი დაუბარებიათ, კერძმოკეთის მკურნალობა უთხოვიათ. თედორას ავადმყოფი მოურჩენია. ამის შემდეგ ჰაჯიმურატისთვის დაფლეთილი ტანსაცმელი ახლით შეუცვ-

ლიათ და მთელ სოფელს შინაკაცად მიუღია. მალყარელი კერძი სოფელში სტუმრად სამ თვეს დარჩენილა. ამ ხნის განმავლობაში მას ილიკო (თაზელეენთი) ჩაგელიშვილთან ერთად, მოსახლეობაში რევოლუციური აგიტაცია გაუჩაღებია. იგი სანახშოზე ხალხს ჩრდილოეთკავკასიელი მთიელების ბრძოლის ამბავს, მამაც პარტიზანთა თავგადასავალს მოუთხრობდა.

ჰაჯიმურატ ასანოვი, გამოჯანმრთელების შემდეგ, მალე მშობლიურ მალყარეთში დაბრუნებულა და, იქ მტერთან ბრძოლაში დაღუპულა.

კერძმოკეთეობის ძველისძველმა კეთილშობილურმა ტრადიციამ თავისი როლი შეასრულა იმ მღელვარე დღეებშიც, როცა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა აქტიური ბრძოლა გააჩაღეს და აჯანყება მოაწყვეს მენშევიკური რეჟიმის დასამხობად. აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს მეთერთმეტე არმიას, რუს თანამოძმეებს.

თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული გამანთავისუფლებელი წითელი არმიის პოლკები მოძმეთა დასახმარებლად გამოეშურნენ, შამისონისა და კირტიშოს უღელტეხილებით, მაგრამ კავკასიონის ხეობებზე გზა მეტად ძნელი და სახიფათო იყო. ამ ხანებში ქართველმა, რუსმა, ოსმა და მალყარელმა თანამოძმეებმა კვლავ გაუწოდეს ერთმანეთს დახმარების ხელი, იმავე ხანებში შეიქმნა დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი ძანდორ თაკოევის მეთაურობით, რომელმაც ახალი ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ძმობისა და მეგობრობის მატიანეში.

1921 წლის 25 თებერვალს მთელ საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ ისტორიულ მოვლენას აღტაცებით შეხვდნენ ჩრდილოკავკასიელი ხალხები; ჩრდილო ოსეთის ოლქის მესამე ყრილობის მონაწილენი საქართველოს რევკომისადმი მისალმებაში წერდნენ: „ამიერიდან კავკასია ერთხელ და სამუდამოდ თავისუფლია, მთლიანად მუშურ-გლეხური და სოციალისტურია. დიდება ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მსოფლიოს პროლეტარულ ოჯახში შევიდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონად! გაუმარჯოს საბ-

ჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს კავკასიისა და მთელი მსოფ-ლიოს მუშათა და გლეხთა ძმურ კავშირს!“.

თავის მხრივ საქართველოს კომპარტიის რაჭის სამაზრო ბიურო ძანდორ თაკოევის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში დიდ მადლობას მოახსენებდა დიგორის პირველი რევოლუციური რაზმის მეომრებს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს. ასევე მადლობელ სალამს უთვლიდნენ დიგორის რევოლუციურ რაზმს ტყიბულისა და ქუთაისის რევკომები.

ძმურად ხელის გაწვდენისათვის, საბრძოლო თავდადებისათვის საქართველოს რევკომმა დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი დააჯილდოვა წითელი დროშით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „რევოლუციური დიგორის სახელოვან რაზმს. ბუშურ-გლეხური საქართველოსაგან“.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება დასაწყისი გახდა ახალი ერისა, წინათ ჩაგრული ხალხების ყოფა-ცხოვრებიდან განიდევნა წარსული სიდუხჭირე, მთიელმა გლეხკაცმა შვებით ამოისუნთქა, ასრულდა მისი საუკუნოვანი ოცნება — მიიღო მიწა და თავისუფლება, კიდევ უფრო განმტკიცდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა მეგობრობა.

შინაარსი

შესავალი	3
რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, მოსახლეობა	6
საუღელტეხილო გზები და ბილიკები	11
ისტორიული წარსული (მოკლე მიმოხილვა)	20
სტუმარმასპინძლობა	28
მცნაურობა	32
კერძობა	33
დაკერძება	40
შეჯილებება	47
მგზავრად წასვლა	53
გარე სამუშაოზე გასვლა	56
მუედლობა	58
დურკლობა	62
ქალტოზობა	67
ვაჟრობა, აღებ-მიცემობა	70
პირუტყვით ვაჭრობა	71
მეწვრილმანეობა	74
ღიდვაჭრობა	76
კერძები რაჭა-ლეჩხუმის ბაზრობებზე	80
კერძმოკეთეობა და მთიელთა რევოლუციური თანამეგობრობა	85

Спартак Ильич Рехвиашвили

Из истории дружбы горцев Грузии и Северного Кавказа

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1977

რედაქტორი ნ. ასათიანი
მხატვარი აკ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი მ. ჯაველიძე
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 12/V-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-77 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1 ზომა 84×108 1/32 პირობ. ნაბ. თაბახი 5.04
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 4.31
უე 06862 ტირაჟი 3.000 შეკვ. №5883
ფასი 18 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.